ლელო

№252 (12 322) **25** ოქტომბერი ხუთშაბათი 2007 გამოდის 1934 წლიდან ფასი 50 თეთრი

# დროებითი პრეზიდენტობა გოგი თოფაძეს დაევალა

## 14 დეკემბრამდე. შემდეგ...

ირაკლი თავაძე

გუშინ გამართული საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომა მოსალოდნელი შედეგით დასრულდა - სეოკ-ის პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებლად ვიცე-პრეზიდენტი **გოგი თოფაძე** აირჩიეს. სხდომას აღმასკომის 38 წევრიდან 34 ესწრებოდა, თუმცა ორმა ნაადრევად დატოვა დარბაზი და კენჭისყრაში მონაწილეობა 32-მა მიიღო. აქედან ღია კენჭისყრაში თოფაძეს მხარი 19-მა დაუჭირა, სეოკ-ის პირველ ვიცე-პრეზიდენტ **ლერი ხაბელოვს** - 9-მ, სხვებმა კი თავი შეიკავეს.

სხდომაზევე გადაწყდა წლევანდელი საანგარიშო სესიის თარიღიც - 14 დეკემბერი. თოფაძეც სწორედ იქამდე უთავკაცებს სეოკ-ს. სწორედ მაშინ გაირკვევა, თოფაძე თანამდებობას პეკინის ოლიმპიადამდეც შეინარჩუნებს, თუ ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. ჩანს, დეკემბერში სეოკ-ს ახალი მესაჭე მოევლინება, რადგან მოგვიანებით, სხდომის დამთავრების შემდეგ მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობა თავად თოფაძემ კატეგორიულად გამორიცხა. მაგრამ საქმე ისაა, რომ თუ მას უფლებამოსილება არ გაუგრძელდა, მაშინ სეოკ-ის წესდება უნდა შეიცვალოს, რადგან ახლანდელის თანახმად, პეკინის ოლიმპიადის დამთავრებამდე, ანუ მოქმედი პრეზიდენტისთვის ვადის ამოწურვამდე, ვადამდელი არჩევნები ვერ გაიმართება.



გოგი თოფაძე აღმასკომის სხდომის შემდეგ

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მოქმედი წესდებით, თუ პრეზიდენტი მიზეზთა გამო, თავის ფუნქციას ვერ ასრულებს, მაშინ მის მოვალეობას პირველი ვიცე-პრეზიდენტი ითავსებს. მისი უარის შემთხვევაში - ვიცე-პრეზიდენტი და ასე შემდეგ. ამიტომ, როგორც გითხარით, ახალი პრეზიდენტის არჩევის შემთხვევაში წესდება უნდა შეიცვალოს. როგორც მედიისთვის დახურული გუშინდელი სხდომის დამთავრების შემდეგ შევიტყვეთ, 14 დეკემბერს ხელისუფლება სწორედ ამას აპირებს.

გუშინდელი სხდომის დღის წესრიგში ოთხი საკითხი იყო, **ბადრი პატარკაციშვილის** განცხადების დაკმაყოფილება სეოკ-ის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა, სეოკ-ის წლევანდელი საანგარიშო სესიის მოწვევის თარიღის განსაზღვრა და სხვადასხვა.

სხდომაზე თავიდან რამდენიმე ჟურნალისტი დაგვიშვეს, თუმცა მოგვიანებით მთავრობის წარმომადგენლებმა ან ყველას დასწრება და სხდომის ღიად ჩატარება მოითხოვეს, ან - ყველასთვის დახურვა. საბოლოოდ, დარბაზში ყველა შეუშვეს, მაგრამ ამდენი ხალხისთვის აშკარა სივიწროვე იყო, სხდომაც სასწრაფოდ დახურეს და ჩვენც გარეთ გამოგვისტუმრეს.

11

კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი

# ლვამიჩავამ მოიგო, იზორია დამარცხდა



ლევან ლვამიჩავა

ჩიკაგოში დაიწყო მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიოა. გუშინ, გამოთენიისას, ორი ქართველი გამოვიდა რინგზე და ერთი უკვე გამოეთიშა შეჯიბრებას. არადა, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი **ნიკოლოზ იზორია** (54 კგ), პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვების ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად მიიჩნეოდა. სამწუხაროდ, იზორიამ მხოლოდ სამი რაუნდი გაუძლო იტალიელ **ვიტორიო პარინელოს**. მესამე რაუნდში, იტალიელის უპირატესობამ შეადგინა 20 ქულა. შესაბამისად, მსაჯებმა შეხვედრა შეაჩერეს და გამარჯვება პარინელოს უბოძეს.

სამაგიეროდ, იმავე სცენარით მოიგო **ლევან ლვამიჩავამ** (64 კგ), რომელმაც ყირგიზი **იაკუბ შიდაევი** დაამარცხა. მესამე რაუნდის დაწყებიდან 41 წამში ლევანი 26:6 დაწინაურდა და გამარჯვებაც მას უბოძა რეფერიმ. 26 ოქტომბერს, ლვამიჩავა მეორე წრეში შეხვდება გაიანელ **ჰენდრიკ პელსვიჟკის**.

დღეს, რინგზე გამოვა მორიგი სამი ქართველი. 54 კილოგრამში, **კობა ფხაკაძე** მსოფლიო ჩემპიონატზე პირველ შეხვედრას გამართავს ბოსნიელ **ადნან ჰაძინაჯიჩთან**. 75 კილოგრამში, **გიორგი ნაკანი** შეხვდება ყაზახ **არტაიევ ბახტიარს**, ხოლო მძიმეწონოსანი **ბექა ლობჟანიძე** ბულგარელ **კუბარტ ფულევს** დაუპირისპირდება.

კობა ხატისაშვილი

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

## 33 ნაბიჯი ფიფას რეიტინგში! 3

შოთა არველაძე:

**ასაკობრივი ნაკრების ყველა მწვრთნელს მადლობა უნდა გადავუხადოთ და დავითხოვოთ. ამ ახალგაზრდებს ნიჭი არ აკლიათ, მათ ისეთი მწვრთნელი სჭირდებათ, ვინც სწორად თამაშს ასწავლის.**

**ვფიქრობ, მიხეილ ყაველაშვილი კარგად გაართმევს თავს რომელიმე ასაკობრივი ნაკრების გაწვრთნას** 3

ხელბურთი 12-13

**დღეს ჩელენჯ ტროფი იწყება. 18:30, სპორტის სასახლე. საქართველო-აზერბაიჯანი**

რაგბი. ინტერვიუ IRB-ს ჩინოვნიკთან

**მარკ იგანი:**

## საქართველოს შეუძლია მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირს უმასპინძლოს 12

ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 16

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს
## ჯგუფური რაუნდი. III ტური

დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპი მაინც მეორეხარისხოვანი ტურნირია და იგი ძირითადად, სენსაციების გამო თუა მიმზიდველი. მოულოდნელი შედეგი კი ამ ტურშიც დაფიქსირდა - მთავარი ამბავი მცხეთაში მოხდა, სადაც პირველლიგელმა "მაღაროელმა" სამი ქულა აილო, გამოსარჩევია გორელთა შედეგებიც, "დილამ" და "ცხინვალმა" ბოლო ფინალისტებთან ფრეს მიაღწიეს.

# რჩეული დილმელი

**B ჯგუფი**

**ლოკომოტივი-დინამო 1:2**

24.10. თბილისი. მ. მესხი
250 მაყურებელი

1:0 იმედაძე (19. პენალტით), 1:1 დილმელაშვილი (48), სპასოევიჩი (73. დილმელაშვილის პასით)

ლოკომოტივი: გვარამაძე – გ. კვახაძე, ფოფხაძე, ლ. ჩაგელიშვილი, ქუხილავა – ბუდალაშვილი, ტიკურიშვილი (86. დ. ჩაგელიშვილი), მ. ყულენტი (46. ხოხონიშვილი) – ალავერდაშვილი, იმედაძე (65. ცერცვაძე).

სათადარიგოები: ა. კობიაშვილი, ქურდაძე, კირკიტაძე, მიქაძე.

დინამო: ოვონო – შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში – ოდიკაძე, სპასოევიჩი, დილმელაშვილი, გონჩაროვი (70. ვანაძე), კობახიძე (78. ბ. ბოლქვაძე) – აკირემი.

სათადარიგოები: ლორია, თომაშვილი, გ. კაშია, ქავთარაძე.

გაფრთხილება: ლ. ჩაგელიშვილი (27), ლ. ჩაგელიშვილი (63), გვარამაძე (64).

გაძევება: ლ. ჩაგელიშვილი (64), გვარამაძე (64)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

ბოლო პერიოდში ჩატარებული მატჩებისგან განსხვავებით, გუშინ "ლოკომოტივი" საგრძნობლად უკეთ გამოიყურებოდა. თუკი **გიორგი კიკნაძის** გუნდი ჩემპიონატშიც ასე იასპარეზებს, სატურნირო მდგომარეობას უცილობლად გამოისწორებს. მასპინძელთა შორის გამორჩეული **გიორგი ალავერდაშვილი** იყო. დიდი ძალაა გუნდისთვის **გია იმედაძეც**, თუმცა ჯერ კიდევ არაა ოპტიმალურ ფორმაში. რაც შეეხება სტუმრებს, "დინამომ" გუშინ ერთბაშად 5 ფეხბურთელი ვერ გამოიყენა. **გიორგი მერებაშვილმა, ლევან ხმალაძემ** და **მიხეილ ხუციშვილმა** დისკვალიფიკაციის (სამი გაფრთხილება) გამო გამოტოვეს მატჩი, **გიორგი ფეიქრიშვილსა** და **ნიკა ფირცხალავას** კი ტრავმები აწუხებთ. კიდევ ორიოდე ფაქტია აღსანიშნი და ახლავე მოგახსენებთ. გუშინ, გუნდის კაპიტანმა **დავით დილმელაშვილმა** "დინამოს" მაისურით ოფიციალურ მატჩში პირველი გოლი გაიტანა. გუშინვე შედგა ახალგაზრდა ნახევარმცველის **ბაჩი ბოლქვაძის** ოფიციალური დებიუტი მთავარ გუნდში.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, თამაშის სტარტზევე გამოჩნდა, რომ მასპინძლები იოლად არაფერს დათმობდნენ და ანგარიშიც მალევე გახსნეს. **ალავერდაშვილის** მიერ მოპოვებული პენალტი **იმედაძემ** ზუსტად შეასრულა. ამის მერე თამაშის სადავეები სტუმრებმა იგდეს ხელთ, მაგრამ გატანა მეორე ტაიმამდე ვერ შეძლეს. მასპინძლებმა პირველი ტაიმი რომ მოიგეს ეს მეკარე **დავით გვარამაძის** დამსახურებაა. თუმცა მეორე ტაიმში მომხდარის გამო ვერც გვარამაძეს გავამართლებთ და ვერც მცველ **ლევან ჩაგელიშვილს**.

მეორე ნახევარი დინამოელებმა აქტიურად დაიწყეს და 48-ე წუთზე დილმელაშვილის მიერ მეკარისგან შორეულ დაბალ კუთხეში დარტყმული ბადეში აღმოჩნდა. 1:1. წონასწორობის აღდგენამ მასპინძლები გაააქტიურა. დინამოელებიც არ იყვნენ უქმად, 63-ე წუთზე **ილია სპასოევიჩი** საჯარიმოში მოცელეს. წესების დარღვევა ერთი შეხედვით პენალტს ჰგავდა, თუმცა არბიტრმა **არსენ ნონიკაშვილმა** საჯარიმოს ხაზთან ჯარიმა დანიშნა. მასპინძლები რატომღაც ამან აღაშფოთა და გადაწყვეტილება გააპროტესტეს, ერთ მომენტში ნერვები ვერ მოთოკეს, რასაც ყვითელ-წითელი ბარათები მოჰყვა და "ლოკომოტივის" ორ ფეხბურთელს, მათ შორის მეკარე გვარამაძეს, მოედნის დატოვება მოუწია. გვარამაძის ნაცვლად კარში **ავთანდილ ცერცვაძე** ჩადგა. ახალგაზრდა მეკარეს მოედანზე გამოსვლიდან ათ წუთში სპასოევიჩმა კი გაუტანა, მაგრამ ბოლოს დინამოელებს რამდენიმე სახიფათო დარტყმა აულო და "დინამომ" დიდი ანგარიშით რომ ვერ მოიგო, მისი დამსახურებაა.

**დავით ცაბაძე**

**ვიტ ჯორჯია-მაღაროელი 0:1**

24.10. მცხეთა. არმაზი. 50 მაყურებელი

0:1 ტყებუჩავა (78)

ვიტ ჯორჯია: მიქაბერიძე - პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე - რაზმაძე, ინჯგია, ბეჭვაია, ლიპარტია (83. მაისაშვილი) - ბერიაშვილი (81. სახოკია), ლუჭაშვილი (81. გელაშვილი)

მაღაროელი: დოლაძე - მგელაძე, შუკაკიძე, ბრეგვაძე, ტყემალაძე (34. ეგაძე) - ქირია, ილურიძე, ზაბახიძე, ტყებუჩავა, გამცემლიძე - ხაჭაპურიძე (90. სეფერთელაძე)

არბიტრი: ლ. სილაგავა

"ვიტ ჯორჯიამ" თასის ჯგუფურ ეტაპზე ამჯერადაც შერეული შემადგენლობით ითამაშა, მაგრამ ვეტერინართა ეს მარცხი მაინც გასაკვირია. ჭიათურელებმა კლასით მაღალ მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდეს და მატჩის ბოლოს გამარჯვების გოლიც გაიტანეს. ვეტერინართა მწვრთნელმა **ნესტორ მუმლაძემ გიორგი დათუნაიშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი** და მეკარე **გრიგოლ ბედიაშვილი** დაასვენა, **ნიკოლოზ გელაშვილი** და **ზაზა სახოკია** კი შეცვლაზე ათამაშა. თუკი ჯორჯიელები თასზე აქცენტს აკეთებენ, დარჩენილ მატჩებში ქულების დაკარგვის უფლება აღარ აქვთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 7-3 | 9 |
| 2. მაღაროელი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 0 | 2 | 5-4 | 3 |
| 4. ლოკომოტივი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |

**მომდევნო ტური**

**1 ნოემბერი**

მაღაროელი-დინამო

ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია

**A ჯგუფი**

# ამერმა მდგომარეობა გაირთულა

**სპარტაკი-ამერი 2:1**

23.10 გორი. თ. ბურჯანაძე. 200 მაყურებელი

1:0 ჯანელიძე (17. ძარიას პასით), 2:0 ჩირიკაშვილი (57. ჯანელიძის პასით), 2:1 დიდავა (66)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**მესხეთი-ტორპედო 4:0**

24.10 ახალციხე. მ. იაძე. 700 მაყურებელი

1:0 გვირჯიშვილი (20), 2:0 მ. ლონლაძე (49), 3:0 ინასარიძე (71), 4:0 მ. თაყაძე (82)

არბიტრი: ვ. გუბერიძე

ამ ჯგუფში სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა. თუკი ორი ტურის შემდეგ "ამერი" გამოკვეთილ ფავორიტად მიგვაჩნდა, ახლა მასაც მოუწევს დაძაბული ბრძოლების გადატანა. როგორც ხედავთ, მეოთხედფინალის ორი საგზურისთვის სამი გუნდი იბრძვის და წესით, მომდევნო შეხვედრები კიდევ უფრო საინტერესო უნდა გამოდგეს. აუტსაიდერმა "ტორპედომ" ვერც ამჯერად ივარგა და ამჯერად "მესხეთთან" დაყარა ფარ-ხმალი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 3 | 2 | 0 | 1 | 11-3 | 6 |
| 2. სპარტაკი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 3. მესხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 4. ტორპედო | 3 | 0 | 0 | 3 | 1-12 | 0 |

**მომდევნო ტური**

**1 ნოემბერი**

სპარტაკი-მესხეთი

ტორპედო-ამერი

**C ჯგუფი**

**ბათუმი-ოლიმპი 0:1**

24.10. ბათუმი. ადელი
100 მაყურებელი

0:1 რ. ჯიქია (33. დვალიშვილის პასით)

ბათუმი: თოთლაძე - ლ. მახარაძე, კ. მახარაძე, გალოგრე, მარკარიანი - კუნჭულია, ცანავა (65. ბ. მახარაძე), ბეჟანიძე (83. ბაციკაძე), დარჩიძე, ოქრუაშვილი (34. დემურაძე) - ტუღუში.

სათადარიგოები: მამინაშვილი, ბაჯელიძე, თედორაძე, მამულაძე.

ოლიმპი: მერლანი - ორბელაძე (46. მგელაძე), მახვილაძე, აკუასაგა - ნავალოვსკი, სილაგაძე (67. კოშკაძე), დევდარიანი (46. ჩივაძე), კახელიშვილი, ქებაძე - დვალიშვილი, ჯიქია.

სათადარიგოები: ალავიძე, ჟივკოვიჩი, მასუანგა, ყრუაშვილი.

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი.



გურამ ტურაშვილის ფოტო

# გოლი რომ გაიტანო, კარში უნდა დაარტყა

წლევანდელ სეზონში ბათუმელებმა „მერანის“ (თასის გათამაშებაში) გარდა ვერც ერთი გუნდის ძლევა ვერ მოახერხეს და ჩემპიონატისა თუ თასის გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტის, რუსთავის „ოლიმპის“ დამარცხებას მათგან არავინ ელოდა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები სტუმრებს დიდად არ ჩამოუვარდებოდნენ, სასურველი შედეგით ვერც ერთი კომბინაციის დაგვირგვინებას ვერ ახერხებდნენ. მათ **მერლანის** კარში პირველად 23-ე წუთზე დაარტყეს, ისიც არაზუსტად. ეს **დარჩიძემ** გააკეთა. „ოლიმპს“ რაც შეეხება, პირველი მომენტი გუნდმა უკვე მე-4 წუთზე შექმნა. **დვალიშვილის** პასით მეკარესთან პირისპირ გავიდა **რევაზ ჯიქია**, მცველები ამჯერადაც თამაშგარის მოლოდინში ლაინსმენს შეაჩერდნენ, **თოთლაძემ** ალღო აუღო სიტუაციას და დროულად დატოვა კარი. რუსთაველმა ფორვარდმა თოთლაძეს გვერდი კი აუარა, მაგრამ დარტყმა დააგვიანა და ბურთს უკვე მცველები გადაეღობნენ და მომენტიც გაფუჭდა.

მე-17 წუთზე ჯიქიას წაქცევისთვის საჯარიმო დარტყმა დაინიშნა, რომლის შესრულებაც **მახვილაძემ** ითავა. კარგადაც დაარტყა, თოთლაძის ნახტომი ამაო იქნებოდა, „დინამოს“ ძელი რომ არ შემველებოდა.

21-ე წუთზე ჯიქიამ უკვე სოლო-რეიდი წამოიწყო, კარგადაც შეიჭრა საჯარიმოში, მაგრამ დარტყმა არც ისე ძლიერი გამოუვიდა და თოთლაძემ ბურთის მოგერიება შეძლო.

33-ე წუთზე კი გოლი მაინც გავიდა. დვალიშვილმა ჯიქიას მისამართით გააკეთა გადაცემა, **კახა მახარაძე** შეცდა, ბურთი ფეხზე აუსხლტა, რომელსაც ჯიქია დაეუფლა და კარისკენ დაიძრა. მისი შეჩერება ველარავინ მოახერხა და მანაც თოთლაძეს ახლოდან გაუტანა. გატანილი გოლის შემდეგ რუსთაველებმა ბათუმს სათამაშო ზონები გადაუკეტეს და პრესინგიც ეთამაშეს. ბათუმელებმა სცადეს რამდენიმე კონტრშეტევის წამოწყება, მაგრამ უშედეგოდ.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

**ბორჯომი-მერანი 1:0**

24 ოქტომბერი. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 300 მაყურებელი

1:0 შ. ჯიქია (60)

არბიტრი: ო. ხეცაძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 2. ბორჯომი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 3. მერანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-2 | 3 |
| 4. ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 3 |

**მომდევნო ტური**

**1 ნოემბერი**

მერანი-ოლიმპი

ბათუმი-ბორჯომი

**D ჯგუფი**

# დილა თასზე დაუმარცხებელია

**დილა-ზესტაფონი 1:1**

24.10. გორი. თ. ბურჯანაძე. 400 მაყურებელი

0:1 ბ. გოცირიძე (23), 1:1 დ. ხანიშვილი (80)

დილა: ილურიძე - ბალიაშვილი, მასურაშვილი, დ. ხანიშვილი, ბალაშვილი - ნ. ნოზაძე, იჩქითი, ტლაშაძე (46. სირბილაძე), სულთანიშვილი (58. ი. თაყაძე), შატაკიშვილი - ლომიძე (58. ბუზალაძე)

სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, კურტანიძე, თურმანიძე, სამადაშვილი

ზესტაფონი: ჭანტურია - ს. თოდუა, შ. ლონლაძე, რ. ონიანი, კ. ჩხეტიანი - ნ. კვასხვაძე, ყონატასი, გ. ნუგ. ჭელიძე - ფიფია, ბიტოო, ბ. გოცირიძე (46. იონანიძე)

სათადარიგოები: ჯალალონია, ხიდეშელი, ლობჟანიძე, ვიეირა, კესანი, გ. ნოდ. ჭელიძე

გაფრთხილება: შ. ლონლაძე (36), ბ. გოცირიძე (41)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

**მგლები-კახეთი** დღეს, 15:00

"მგლებისა" და "კახეთის" შეხვედრა, წესით, გუშინ უნდა გამართულიყო, მაგრამ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე და პროფლიგის თანხმობით, დღეისთვის გადმოიტანეს. გორში კი "დილამ" ჩემპიონატის ლიდერ "ზესტაფონს" ტოლი არაფერში დაუდო და მატჩის მინურულს ქულაც გამოჰგლიჯა. გორელები ჩემპიონატში უსახურად გამოდიან, თასზე კი ჯერ არ დამარცხებულან და მეოთხედფინალში გასვლის შესანიშნავი შანსიც აქვთ. ფეროელთათვის კი ეს ფრე დიდი დანაკარგი არაა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 3 | 2 | 1 | 0 | 11-4 | 7 |
| 2. დილა | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 3. მგლები | 2 | 0 | 1 | 1 | 4-7 | 1 |
| 4. კახეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |

**მომდევნო ტური.**

**31 ოქტომბერი**

დილა-მგლები

**1 ნოემბერი**

კახეთი-ზესტაფონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# მეოთხე ყატარია

საქართველოს ეროვნული ნაკრები 17 ნოემბერს ამხანაგურ მატჩს კი ჩაატარებს, მაგრამ ვისთან ამ დრომდე უცნობია. ამ თამაშთან დაკავშირებით ქართულ მხარეს აქამდე სამი წინადადება ჰქონდა. ბოსნია მზადაა თბილისში გაგვეჯიბროს, იორდანია თავისთან გვეპატიჟება, სენეგალი კი მზადაა **კლაუს ტოპმიოლერის** გუნდს საფრანგეთში ეთამაშოს. ფედერაციას საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. გუშინ კი კიდევ ერთი შეთავაზება მივიღეთ. ჩვენი ფეხბურთის ფედერაციაში მოსული ფაქსის თანახმად, ყატარის ნაკრები მზადაა, 17 ნოემბერს ჩვენს ეროვნულ გუნდს თბილისში ესტუმროს.

ფიფას რეიტინგში ყატარი 84-ე ადგილზეა. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ურუგვაელი **ხორხე ფოსატია**. ყატარის ეროვნულმა გუნდმა ბოლო სამ შეხვედრაში წარმატებით იასპარეზა, აგვისტოში ომანთან შინ 1:1 ფრე ითამაშა, მერე ერაყი 3:2 დაამარცხა. ბოლოს, 21 ოქტომბერს კი შრი ლანკას სტუმრად 1:0 სძლია.

**დავით ცაბაძე**



ლევან ცქიტიშვილი

# ლევან ცქიტიშვილი საქართველოში რჩება?

**ლევან ცქიტიშვილი** კვლავ უგუნდოდაა. როგორც თავად საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა გვითხრა, თბილისის "ლოკომოტივში" ივარჯიშებს და არც ის გამორიცხა, რომ გუნდს ერთი-ორ შეხვედრაში დაეხმაროს. ეს ფორმის შესანარჩუნებლად სჭირდება.

ლევანმა იტალიასთან შეხვედრისას კუნთი გაიჭიმა და მცირე მკურნალობა დასჭირდება. რაც შეეხება **კლაუს ტოპმიოლერის** შესაძლო დახმარებას "კაიზერსლაუტერნში" მოწყობის თაობაზე, ეს ჯერ მხოლოდ შესაძლებლობაა და არა კონკრეტული ვარიანტი.

ნაკრების მწვრთნელის ასეთი სატრანსფერო რეკომენდაციები მხოლოდ მისასალმებელია.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ შოთა არველაძესთან

# არიოლ-რეშკა უნდა დამთავრდეს

## არის ტალანტები, გვინდა ახალი მწვრთნელები

**მოხდება** თუ არა ცვლილებები საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების შტაბში და თუ მოხდება, როგორი - ამ ეტაპზე ალბათ, ეს არის ყველაზე მწვავე და მნიშვნელოვანი საკითხი ქართული ფეხბურთისთვის.

ასეთ შემთხვევაში ისეთი ხალხის აზრიც უნდა იყოს გათვალისწინებული, ვისაც თანამედროვე ფეხბურთის ინჩი-ბინჩი ესმის და ვისაც ცნობილ ევროპელ მწვრთნელებთან უმუშავია.

რესპონდენტად შოთა არველაძე ავირჩიეთ და ალბათ არ შევმცდარვართ...

**- როგორ ფიქრობ, რა პოლიტიკა უნდა გატარდეს ასაკობრივ ნაკრებებში?**

- საქართველოს ახლა ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავს, ანუ არის კარგი მასალა, მაგრამ ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებმა ვერ გაამართლეს. მიმაჩნია, რომ ნაკრების ყველა მწვრთნელს მადლობა უნდა გადავუხადოთ და დავითხოვოთ. ამ ახალგაზრდებს ნიჭი არ აკლიათ, მათ ისეთი მწვრთნელი სჭირდებათ, ვინც სწორად თამაშს ასწავლის. ვალენსიაში საქართველოს 19-წლამდელთა ამასწინანდელ თამაშებს ტელევიზორში რომ ვუყურე, ამანაც განმიმტკიცა ასეთი აზრი.

**- მიგაჩნია, რომ ფეხბუთის ფედერაციამ სხვა უცხოელი მწვრთნელები უნდა მოიწვიოს ასაკობრივი ნაკრებებისთვის თუ ასპარეზი ქართველებს უნდა დაუთმოს?**

- ვფიქრობ, მიხეილ ყაველაშვილი კარგად გაართმევს თავს რომელიმე ასაკობრივი ნაკრების განვრთნას, ის ამისთვის უკვე მზად არის. რაც შეეხება კიდევ ორ კანდიდატურას, აქაც თანამედროვე ფეხბურთში გამოცდილი, პროგრესული და ჟინიანი მწვრთნელები გვჭირდება და ასეთს საქართველოში ბევრს ვერ ვხედავ.

**- ანუ, სამი ასაკობრივი ნაკრებიდან ორს უცხოელი უნდა წვრთნიდეს?**

- ალბათ, კი. ახლა გარდამტეხი პერიოდია ქართულ ფეხბურთში, სახელმწიფო ყველანაირად ეხმარება ფეხბურთს, იხარჯება ფული, აშენდება სტადიონები, შეიქმნა ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების პროგრამა - ასეთი შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. არიოლ-რეშკის აგდების დრო აღარ არის, თუ სწორ გადაწყვეტილებას არ მივიღებთ, ეს უპატიებელი შეცდომა იქნება ფეხბურთის ფედერაციისთვის. აღარ გვინდა მარჩიელობა, გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდები, ქართული ფეხბურთის ხვალინდელი დღე, რომელთაც კარგი მწვრთნელები სჭირდებათ.

ჩემი პოზიცია მკვეთრია, მაგრამ მისი არგათვალისწინება არ შეიძლება. ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩემს ხედვაში რაღაცეები ალბათ საკამათოა.

**- მაინც, რა?**

- გია გეგუჩაძე საინტერესო მწვრთნელად მიმაჩნია, შესაძლებელია გიორგი დევდარიანისა და კახა ცხადაძის პოტენციალის გამოყენებაც. მოკლედ, ქართველ მწვრთნელებზეც გვმართებს დაფიქრება. კიდევ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კლაუს ტოპმიოლერის აზრიც ჩვენი ასაკობრივი ნაკრებების მომავალ ხელმძღვანელებზე.

**დავით თავართქილაძე**



შოთა არველაძე



შოტლანდიასთან გამარჯვებამ ჩვენი ნაკრები ფიფას რეიტინგში 71-ე ადგილზე აწია

ფიფას რეიტინგი

# საქართველომ რეკორდი მოხსნა!

## არნახული პროგრესი: ჯვაროსნები 33 ადგილით დაწინაურდნენ!

**გუშინ** ფიფამ ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. შოტლანდიასთან გამარჯვებამ უდიდესი სამსახური გაუწია საქართველოს. ფიფას რეიტინგში ქვეყნის ჩართვის შემდეგ, ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა ჯერ არნახულ პროგრესს მიაღწია და მთელი 33 საფეხურით დაწინაურდა. მან 104 ადგილიდან 71-ეზე გადაინაცვლა.

პირველი ათეულში ცვლილებებია - ჩვენმა მეტოქემ, მსოფლიო ჩემპიონმა იტალიამ ორი ადგილით უკან დაიხია და პირველობა არგენტინას გადაულოცა. ასევე ორი ადგილით წინ წავიდა საფრანგეთი.

| ათეული ასე გამოიყურება. | |
|---|---|
| 1. (2) არგენტინა | 1533 |
| 2. (3) ბრაზილია | 1459 |
| 3. (1) იტალია | 1387 |
| 4. (6) საფრანგეთი | 1271 |
| 5. (4) გერმანია | 1245 |
| 6. (7) ესპანეთი | 1226 |
| 7. (5) ჰოლანდია | 1207 |
| 8. (8) პორტუგალია | 1203 |
| 9. (11) ჩეხეთი | 1174 |
| 10. (10) ხორვატია | 1155 |

(ფრჩხილებში მითითებულია წინა თვის ადგილი)

ახლა ჯგუფზეც ვისაუბროთ. ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფის ნაკრებები შემდეგი თანამიმდევრობით განლაგდნენ:

| | |
|---|---|
| 3. (1) იტალია | 1387 |
| 4. (6) საფრანგეთი | 1271 |
| 13. (14) შოტლანდია | 1049 |
| 22. (17) უკრაინა | 828 |
| 71. (104) საქართველო | 447 |
| 90. (84) ლიტვა | 380 |
| 194. (195) ფარერები | 12 |

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ქვეყნებში დიდი ხნის შესვენების შემდეგ, რუსეთმა უკრაინას გადაასწრო:

| | |
|---|---|
| 16. (26) რუსეთი | 960 |
| **22. (17) უკრაინა** | **828** |
| 61. (81) მოლდოვა | 497 |
| 63. (64) უზბეკეთი | 490 |
| **71. (104) საქართველო** | **447** |
| 82. (87) სომხეთი | 400 |
| 86. (94) ლატვია | 386 |
| 90. (84) ლიტვა | 380 |
| 94. (70) ბელორუსი | 358 |
| 116. (117) აზერბაიჯანი | 279 |
| 122. (124) ყაზახეთი | 249 |
| 130. (134) ესტონეთი | 211 |
| 133. (149) ყირგიზეთი | 203 |
| 152. (153) ტაჯიკეთი | 128 |
| 158. (174) თურქმენეთი | 102 |

ფიფას ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა თვის ყველაზე დიდი პროგრესისა და რეგრესის მქონე ნაკრებების სამეულიც:

| პროგრესი | |
|---|---|
| 1. საქართველო | +33 (+120 ქულა) |
| 2. ახალი ზელანდია | +28 (+113 ქულა) |
| 3. ლუქსემბურგი | +26 (+88 ქულა) |

| რეგრესი | |
|---|---|
| 1. კაბო ვერდე | -36 პოზ. (-131 ქულა) |
| 2. ბელარუსი | -24 პოზ. (-87 ქულა) |
| 3. ბოლივია | -17 პოზ. (-64 ქულა) |

როგორც ხედავთ, პოსტსაბჭოეთში საქართველო მეხუთე ადგილზეა. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველომ ბელორუსსა და ლატვიას პირველად გაუსწრო.

პოსტსაბჭოელებში ყველაზე დიდი წინსვლა საქართველოს (+33), მოლდოვასა (+20) და რუსეთს აქვთ (+16). მოლდოვა თურქეთთან ფრემ ამოასუნთქა, ყველაზე მეტად უკან ბელარუსებმა (-24 ადგილი) და ლიტვამ დაიხიეს (- 6).

დაბოლოს, 1995 წლიდან მოყოლებული ჩვენი ნაკრების საუკეთესო მაჩვენებელი (42-ე ადგილი) 1998 წლის სექტემბერში **ყიფიანი-ძოძუაშვილის** მწვრთნელობის დროს დაფიქსირდა, ყველაზე უარესი კი 1994 წლის მარტში, როდესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფიფაში გაწევრიანდა და ბუნებრივია, დაბალი დაბალი საფეხურით დავიწყეთ. თუკი ამას არ ჩავთვლით, უარესი ადგილი (109-ე ადგილი) 2004 წლის აგვისტოში **ალენ ჟირესის** მწვრთნელობის პერიოდში გვქონდა.

იმედია, საქართველოს პროგრესი შემდგომშიც გაგრძელდება და გადავლახავთ 70 ადგილიან ბარიერს, რაც ბრიტანეთში ქართველ ფეხბურთელებს შედარებით იოლად მოხვედრის გარანტიაა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



გიორგი ივანიშვილი

U19. ინტერვიუ გიორგი ივანიშვილთან

# მეტი შემიძლია

**19-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩვენმა ჭაბუკებმა ჯგუფში ყველა მატჩი წააგეს, მაგრამ გუნდში გამოჩნდნენ პერსპექტიული ფეხბურთელები. ერთ-ერთი მათგანია გიორგი ივანიშვილი. ის შვეიცარიაში, "ციურიხის" დუბლებში ასპარეზობს. ამ ბიჭისგან კარგი ფეხბურთელი დადგებაო – ასეთია ფეხბურთის სტაჟიანი გულშემატკივრებისა და სპეციალისტების შეფასება.**

**- გიორგი, სანაკრებო დონეზე შენი დებიუტი, 18 ოქტომბერს ჰოლანდიასთან მატჩში შედგა. იმ დღეს 18 წლის გახდი...**

- დიახ, ასე იყო. ჩემი დებიუტი დაბადების დღეს დაემთხვა და ემოციები დიდი იყო. მართალი გითხრათ, ცოტას ვნერვიულობდი კიდეც... თუმცა ეს მატჩის სტარტზე, მერე კი ნერვიულობა მომეხსნა. ვფიქრობ, ჰოლანდიასთან პირველ ტაიმში კარგად ვითამაშე. მორე ნახევარში ჩვენი ფეხბურთელი გააძევეს და ამან მთელი გუნდი მოშალა.

**- როგორ ფიქრობ, სადებიუტო მატჩში შენი შესაძლებლობების რამდენი პროცენტი გამოავლინე?**

- ალბათ ნახევარზე ცოტა მეტი... კიდევ მეტი შემიძლია და ამას სხვა შეხვედრებში დავამტკიცებ.

**- ნორვეგიასთან მატჩს როგორ იხსენებ?**

- თამაში კარგად დავიწყეთ. ამ შეხვედრაში ძალიან გვჭირდებოდა მოგება და საგოლე მომენტებიც გვქონდა. მათ შორის მეც შემეძლო ბურთის გატანა, მაგრამ შანსი ვერ გამოვიყენე. ალბათ, საგოლე მომენტების გამოუყენებლობის გამო დავისაჯეთ.

**- ახლა შენს საკლუბო კარიერაზეც ვთქვათ. დიდი ხანია "ციურიხში" ხარ...**

- 10 წელია უკვე "ციურიხში" ვარ. ბავშვთა გუნდიდან დავიწყე და მიმდინარე სეზონში უკვე დუბლებში ვასპარეზობ...

**- რამდენ მატჩში ითამაშე?**

- თავდაპირველად არ მიწევდა თამაში, რადგან ალბანელი გეზიმ სადიკო მყავდა კონკურენტად და მწვრთნელები მას ანიჭებდნენ უპირატესობას. მერე ის "შაფჰაუზენში" გადავიდა და ახლა უკვე გზა ხსნილი მაქვს. მიმდინარე სეზონში ორ ოფიციალურ მატჩში ვითამაშე, ბურთი არ გამიტანია, მაგრამ სამი საგოლე პასი გავაკეთე.

**- "ციურიხში" რა პოზიციაზე გათამაშებენ?**

- "ციურიხის" დუბლები ერთი ფორვარდით თამაშობს და ის ერთადერთი თავდამსხმელიც მე ვარ.

**- რამდენადაც ვიცი, შვეიცარიის ჭაბუკთა ნაკრებში ასპარეზობა შემოგთავაზეს, მაგრამ შენ საქართველო არჩიე... ასეა?**

- დიახ, შვეიცარიის 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი მესაუბრა და ნაკრებში თამაში შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი. ქართველი ვარ და მინდა ჩემს ნაკრებს გამოვადგე.

**- ჰოლანდიასთან და ნორვეგიასთან მატჩებში გამოჩნდა, რომ პირველ ტაიმში მეორეზე უკეთ თამაშობ...**

- ფიზიკურად ცუდად არ გამოვიყურები, მაგრამ მომატება ნამდვილად მჭირდება. ნორვეგიასთან მატჩში, ფიზიკურად კარგად ვგრძნობდი თავს, ვიდრე ჰოლანდიასთან, მაგრამ ორი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენე და ფსიქოლოგიურად, ამან ჩემზე გარკვეული გავლენა იქონია. ამას მეორე ტაიმში მივხვდი...

**- თამაშის მანერით მიხეილ ყაველაშვილსაც ჰგავხარ. მისგან რა ისწავლე?**

- მიშასგან ფეხბურთში თითქმის ყველაფერი ვისწავლე. მართალი გითხრათ, სამი წლის წინათ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ დონეზე შევძლებდი თამაშს. მიშას დახმარებითა და ჩემი მონდომებით ეს შევძელი. გარწმუნებთ, ამით არ დავკმაყოფილდები, უფრო მაღალ დონეზე მინდა ვითამაშო და მჯერა ამას შევძლებ კიდეც.

**- მიხეილ ყაველაშვილის ფაქტორი რამდენად გეხმარება?**

- მეხმარება, მაგრამ არ მინდა მის ჩრდილში ვიყო. უკეთეს დონეზე მინდა ვითამაშო. კარგად ვიცი, თუ ძალიან მოვინდომებ, ეს გამომივა კიდეც.

**- ვიცით, რომ შენით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული. "ციურიხში" რამდენ ხანს დარჩები?**

- მიმდინარე სეზონის წინ, "ციურიხთან" ერთი წლით გავაგრძელე კონტრაქტი. ჩამთავრდება სეზონი და დანარჩენზე მერე ვიფიქრებ.

**დავით ცაბაძე**

არჩევნები აჭარაში

# ვისთვის იქნება დღეს ბათუმი უმი

დღეს აჭარის ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებია. დელეგატები ბათუმში 14 საათზე შეიკრიბებიან და ორ კანდიდატს უყრიან კენჭს - **სულხან გოგიბერიძესა** და **დავით თავართქილაძეს**.

კენჭისყრაში 19 დელეგატი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც 14 სუბიექტს წარმოადგენენ. ორი ხმა ოთხ სუბიექტს აქვს - მათ შორის საფეხბურთო სკოლა "ლუკას", რომლის პრეზიდენტი სულხან გოგიბერიძეა.

ამ კანდიდატისკენ იხრება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სიმპათიაც. აი, რა გვითხრა სფფ-ის ერთ-ერთმა ვიცე-პრეზიდენტმა **რევაზ არველაძემ**: *"გოგიბერიძე ჩვენთვის მისაღები კანდიდატურაა, მას კარგი რეპუტაცია აქვს და მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში საქმეს კარგად გაუძღვება."*

გოგიბერიძეს ბოლო მომენტში გამოუჩნდა კონკურენტი - დავით თავართქილაძეც ბიზნესმენი გახლავთ და კონკრეტულ დაპირებასაც გამოდის - ბათუმის "დინამოს" სტადიონსაც ავუშენებ და ბაზასაცო.

*"დელეგატებთან შეხვედრებიდან გამომდინარე, არჩევნებზე მინიმუმ ათი ხმა უნდა მივიღო, რაც საკმარისი იქნება გამარჯვებისთვის. დებულებით კენჭისყრა ღია უნდა იყოს, მაგრამ თუ დელეგატები დააყენებენ საკითხს ფარული არჩევნების თაობაზე, შესაძლოა, არჩევნები ღია აღარ იყოს. ჩემი პრიორიტეტი ბავშვთა ფეხბურთი და მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება.* რაც შეეხება თავართქილაძის განცხადებას ბათუმის "დინამოსთვის" *სტადიონისა და ბაზის აშენებაზე, ეს დაახლოებით 20 მილიონი ჯდება და დავფიქრდი, თუ ეს კაცი მართლა აპირებს ასეთ დიდ საქმეს, ხელს ხომ არ ვუშლიმეთქი"*, - აღნიშნა გოგიბერიძემ.

საცაა გამოქვეყნდება საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სტადიონების მშენებლობაა და ალბათ ამ პროგრამის მიღმა არც ბათუმის სტადიონის მშენებლობა დარჩება.

მანამდე კი აჭარაში არჩევნებია - თავართქილაძე თუ სფფ-ს ფავორიტი გოგიბერიძე?

**დავით თავართქილაძე**

# მოდებაძე რისკს ერიდება და ოლიმპს მოერიდა

კიდევ ერთი უგუნდო ფეხბურთელმა, **ირაკლი მოდებაძემ** ზაპოროჟიეს "მეტალურგთან" ახალი კონტრაქტი არ გააფორმა და უკრაინიდან საქართველოში ჩამოვიდა.

წამოსვლისას, ირაკლიმ "ლელოს" გაუმხილა, რომ დროებით, ფორმის შესანარჩუნებლად, შესაძლებელი იყო რუსთავის "ოლიმპში" თამაშს დათანხმებულიყო. ასე იცოდნენ კლუბშიც.

ეტყობა, ვითარება შეიცვალა, მოდებაძემ ყველაფერი კარგად აწონ-დაწონა და ახალ გუნდში კონტრაქტის გაფორმებამდე დროებით თამაშზე უარი თქვა.

ეს თავად ირაკლიმ გვითხრა გუშინ: *"რუსთავში ორ-სამ დღეში დავიწყებ ვარჯიშს. ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ჩემს მდგომარეობას გაითვალისწინებს და ხელს შემიწყობს. ამას მპირდება მენეჯერი მამუკა ჯუღელი, პრობლემა არ იქნებაო. თუმცა ალბათ, რუსთავში არ ვითამაშებ. ზამთარში წასვლას ვაპირებ, მინდა, რუსულ კლუბს პირველივე შეკრებაზევე გავყვე, კარგად რომ მოვემზადო და სეზონს დალაგებულად შევხვდე. თავიდან მართლა მსურდა "ოლიმპში" თამაში, მაგრამ ჩამოსვლის შემდეგ ვიფიქრე და რისკს მოვერიდე. პირველი წრის დასრულებამდე თვენახევარია დარჩენილი და რამე რომ მომივიდეს, მერე ხომ მექნება სანანებელი? ამის შიშით "ოლიმპზე" უარი ვთქვი. თუმცა ჯერ საბოლოო პასუხი არ მითქვამს."*

ირაკლი არ ჩქარობს იმ კლუბების გამხელას, რომლებიც მისით დაინტერესდნენ: *"ჩემი სურვილი კარიერის რუსეთში გაგრძელებაა. გარკვეული ინტერესი არსებობს, ისევე როგორც უკრაინაში. ვერ ვიტყვი, რომ ნებისმიერი კლუბი ამიყვანს, მაგრამ უკრაინაში დარჩენა პრობლემა არაა. მე უფრო რუსეთისკენ მიმიწევს გული. იქ შედარებით მაღალი დონის ჩემპიონატია. იმედია, დეკემბრისთვის ყველაფერი გაირკვევა."*

მოდებაძის თქმით, **დათო კვირკველია** ზაპოროჟიეს "მეტალურგის" აღიარებული ლიდერია და მასთან შელევას კლუბი არ აპირებს: *"დათოს გუნდში უზომოდ ემადლიერებიან. ის "მეტალურგის" ნამდვილი ლიდერია. ამას ჩვენი მეგობრობა არ მალაპარაკებს. შემთხვევით უკრაინაში ქართველს კაპიტნად არ დანიშნავენ."*

**მერაბ მამულაშვილი**



ირაკლი მოდებაძე

ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადება

არგენტინაში,

დიეგო მარადონას სამშობლოში

16, 17, 18, 19 წლის ასაკის ფეხბურთელების საყურადღებოდ!!!

მათ, ვისაც სურთ ჯერ აიმაღლონ ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური დონე არგენტინაში, და შემდეგ გარკვეული პერიოდი ითამაშონ იქაური საფეხბურთო კლუბებში, მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს გაემგზავრებიან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში. ფეხბურთელებს მოამზადებს წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და ამჟამად მწვრთნელი ედუარდო დელგადო.



მომზადების პერიოდი 6 თვიდან ერთ წლამდეა. ამ პერიოდში ფეხბურთელებს ექნებათ ამხანაგური თამაშები, რომლის დროსა მათზე მოხდება დაკვირვება. სრულყოფილი მომზადების შემდეგ, ედუარდო დელგადო ფეხბურთელებს წარადგენს არგენტინის კლუბებში, სადაც გააგრძელებენ ოფიციალურ თამაშებს.

არგენტინის მხარე მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს. ასევე, არგენტინის ვიზების, მგზავრობის, მომზადებისა და ადგილზე ცხოვრების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მობრძანდით არგენტინის წარმომადგენელთან მიმდინარე წლის 25 ოქტომბრამდე, მისამართზე: ლეონიძის ქ №4 (ყოფილი კიროვის ქუჩა თავისუფლების მოედანთან), ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ.

გასაუბრებისთვის მსურველები წინასწარ უნდა ჩაეწერონ არგენტინის წარმომადგენელთან, შემდეგ ტელეფონზე: 899 23 55 20.

მესხეთი. ინტერვიუ კობა თედიაშვილთან

# ერთწლიანი გუნდი არ გეგონოთ



კობა თედიაშვილი

საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიმდინარე სეზონში გადასული სამივე გუნდი, ზუგდიდის „მგლები“, ცხინვალის „სპარტაკი“ და ახალციხის „მესხეთი“, დებიუტანტის კვალობაზე საკმაოდ ნორმალურად ასპარეზობს და მათი თამაშიდან გამომდინარე ადვილი შესაძლებელია, სამივე გაისადაც უმაღლეს ლიგაში ვიხილოთ. ეს გუნდები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონს წარმოადგენენ და იქ ფეხბურთის გამოცოცხლებისთვის მნიშვნელოვანი როლის თამაში უკვე შეძლეს.

ვფიქრობთ, განსაკუთრებით „მესხეთის“ როლის დანახვაა იოლი სამხრეთ საქართველოში ფეხბურთის გამოცოცხლებაში. ახალციხელებს ქართულ ელიტურ ლიგაში უწინ გუნდი არ ჰყოლიათ და მათი ჯერ პირველ ლიგაში, შემდეგ უმაღლესში მოულოდნელად კარგმა ასპარეზობამ რეგიონი საფეხბურთო თვალსაზრისით გვარიანად აამოქმედა.

მესხთა მთავარ მწვრთნელს კობა თედიაშვილს „სპარტაკთან“ მოგების შემდეგ ვესაუბრეთ.

**- ალბათ, კმაყოფილი იქნებით განვლილ 10 ტურში თქვენი გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგით. რამდენად მოსალოდნელი იყო სეზონის დასაწყისში?**

- სეზონის წინ, რა თქმა უნდა, ძნელი იქნებოდა იმაზე საუბარი, თუ როგორი სტარტი გვექნებოდა. ჩვენ მიზნად დავისახეთ ღირსეული თამაში და ქართული საფეხბურთო სამყაროსთვის იმის ჩვენება, რომ „მესხეთი“ არაა ერთწლიანი გუნდი.

**- რომელმა მატჩმა დაგტოვათ კმაყოფილი, ან პირიქით გულნაკლული?**

- თბილისში „ლოკომოტივთან“ ძალიან კარგი შეხვედრა ჩავატარეთ. თამაშიც ლამაზი იხილა მაყურებელმა და გოლებიც. თამაშით კარგად გაისარჯნენ ბიჭები ახალციხეში „სიონთან“, თუმცა დასანანი იყო, რომ საქმე გამარჯვებამდე ველარ მივიყვანეთ (2:2). ყველაზე უკმაყოფილო შინ „მგლებთან“ შეხვედრამ დამტოვა. მიუხედავად ფსიქოლოგიური მუშაობისა, ვინაიდან უმაღლეს ლიგაში პირველი ტური იყო, ჩვენმა ფეხბურთელებმა ვერ გაითავისუფლეს თავი, ასე ვთქვათ, დებიუტანტის მარწუხებისგან. საბედნიეროდ მაშინ ყველაფერი კარგად დასრულდა, მაინც შევძელით მოგება.

**- „მესხეთი“ დიდ ყურადღებას ფლანგების თამაშს უთმობს, სადაც გვირჯიშვილი და თაყაძე გამორჩევიან, პირველ ყოვლისა, ნახევარმცველთა გარჯით იქნებით კმაყოფილი...**

- ჩვენი ნახევარმცველები მართლაც კარგად ასპარეზობენ, თუმცა ვერც სხვა სათამაშო რგოლებზე ვიტყოდი აუგს. საიმედოა დაცვა, შეტევაში შესანიშნავია კაიდარაშვილი. ისე კი თითო კარგი ფეხბურთელის დამატება არცერთ რგოლს აწყენდა.

**- ჩემპიონატის სტარტისგან განსხვავებით ბოლო ტურებში კაიდარაშვილმა უკლო გატანას...**

- ისე მოხდა, რომ სეზონის დასაწყისში მან ზედიზედ სამი გოლი გაიტანა და მაყურებელი ალბად მისგან იგივეს მომდევნო ტურებშიც ელოდა, თუმცა მსგავსი სიხშირით გოლების გატანა მეტისმეტად ძნელია ნებისმიერი ფეხბურთელისათვის.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლებთ საქართველოს თასზე ჯგუფიდან გასვლას?**

- ეს სავსებით რეალურია. დაგეგმილიც გვაქვს, რომ მინიმუმ ჯგუფიდან უნდა გავიდეთ. შემდგომ კი მართალია თასის აღებას არ ვგეგმავთ, მაგრამ რაც უფრო შორს წავალთ, ცხადია, უკეთესი იქნება.

**- როგორც ვიცით, ახალციხეში სტადიონის რემონტი იგეგმება და მისი დაწყების შემდგომ საშინაო მატჩების გამართვას სად აპირებთ?**

- ბორჯომში ან აწყურში, ჯერ გადაწყვეტილი არაა. სტადიონის რემონტი და საერთოდ კლუბის ხელმძღვანელობის მწვრთნელ-ფეხბურთელთა გვერდში დგომა ნებისმიერი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ვასილ ბალახაძე



მალხაზ ასათიანი

# ასათიანი ატლეტიკოს დასამარცხებლად ემზადება

დღეს უეფას თასის ჯგუფური ეტაპი იწყება. მოსკოვის "ლოკომოტივი" მადრიდის "ატლეტიკოს" მასპინძლობს. ამ მატჩის თაობაზე რუსულ პრესასთან საუბარში **მალხაზ ასათიანმა** მცირე კომენტარი გააკეთა.

*"ძალიან საინტერესო და დაძაბული მატჩის მოლოდინში ვარ. ეს ჯგუფური ტურნირის პირველი შეხვედრაა და ამიტომ ამ თამაშს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. კარგია, რომ ტურნირს შინ ვიწყებთ და თუ სამ ქულას მოვიპოვებთ, მეთექვსმეტედფინალისკენ უდიდეს ნაბიჯს გადავდგამთ. მადრიდში რომ ვთამაშობდეთ, გამარჯვება ძალიან გაგვიჭირდებოდა, მოსკოვში კი ამ ამოცანის შესრულება სავსებით რეალურია. ჩვენი გულშემატკივრების იმედი მაქვს, ესპანეთის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს ერთობლივი ძალისხმევით უნდა ვძლიოთ"*, - ამბობს საქართველოს ნაკრების ლიდერი.

მან იქვე დასძინა, რომ "ატლეტიკოს" ყველაზე ძლიერ ფეხბურთელებად **დიეგო ფორლანი** და **მაქსი როდრიგესი** მიაჩნია.

ლევან ჯანეზაშვილი

# ქართველები ოქროს შუალედში

რუსეთის პირველი დივიზიონის გასულ ტურში მხოლოდ ორმა ქართველმა ითამაშა. ბრიანსკის "დინამო" სტუმრად "ავანგარდთან" 0:1 დამარცხდა, **პაატა ჯინჭარაძე** ძირითადში იყო და მატჩის მიწურულს, 88-ე წუთზე შეცვალეს. მახაჭყალის "ანჟიმ" კი ასევე გასვლით შეხვედრაში "მორდოვიას" 2:0 მოუგო. "ანჟის" მთავარმა მწვრთნელმა **ომარ თეთრაძემ გოჩა ხოჯავა** 90 წუთი ათამაშა. "დინამომაც" და "ანჟიმაც" პრემიერლიგაში აღზევების შანსი კარგა ხნის წინათ დაკარგეს, სატურნირო ცხრილში ისინი, შესაბამისად, მე-8 და მე-10 ადგილებზე არიან 56 და 52 ქულით. ამ გუნდებს არც გავარდნის საფრთხე ემუქრებათ. პირველი დივიზიონის დასრულებამდე სამი ტურილა დარჩა.

ლევან ჯანეზაშვილი

# არველაძემ ადვოკაატი გაიხსენა

უეფას თასზე პეტერბურგის "ზენიტი" და ჰოლანდიის "ალკმაარი" ერთ ჯგუფში მოხვდნენ. ჰოლანდიელთა ყოფილ კაპიტანს, **შოთა არველაძეს** "სოვეტსკი სპორტი" ესაუბრა. მათთვის საინტერესო იყო რას ფიქრობდა ქართველი ფორვარდი "ზენიტის" შანსებზე. მან პეტერბურგელთა დღევანდელ მწვრთნელ **დიკ ადვოკაატთან** მუშაობის პერიოდი გაიხსენა.

*"ადვოკაატი ძალიან გამოცდილი და კვალიფიციური სპეციალისტია. მკაცრია თუ არა? რას ნიშნავს მკაცრი? განა ზაევი მკაცრი არაა? ვარჯიშზე ნებისმიერმა მწვრთნელმა უნდა იცოდეს ზოგჯერ ფეხბურთელისთვის შეძახება, აუხსნას, რას აკეთებს არასწორად, რალაცით დაეხმაროს. თუმცა არ მახსენდება, რომ ადვოკაატს სიმკაცრეში გადაემლაშებინოს. უბრალოდ, ის დისციპლინირებული ადამიანი და მწვრთნელია. იუმორი არ დაეწუნება. ყოველთვის ხუმრობს, მოედნის მიღმა უყვარდა ფეხბურთელებთან ურთიერთობა. თუმცა, რა თქმა უნდა, სასმელად არ გვეპატიჟებოდა."*

დათო მეფარიშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ინ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა



ვენგერს ლემანი სამზე ურჩევნია

არსენალი

# ლემანი: ვენგერი უსამართლოდ მექცევა!

## საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ზამთარში იენსი ლონდონს დატოვებს...

ბევრი ითმინა თუ ცოტა, "არსენალის" გერმანელმა მეკარე **იენს ლემანმა** გუშინწინ, ჩემპიონთა ლიგის მორიგი მატჩის შემდეგ ("სლავიასთან" 7:0), "მეთოფეების" მთავარ მწვრთნელ **არსენ ვენგერს** მაგრად შეუტია. როგორც იცით, ლონდონური კლუბის დამრიგებელი ლემანს აღარ ათამაშებს და კარს რეგულარულად მის შემცვლელ **მანუელ ალმუნიას** ანდობს. 37 წლის ლემანი აქამდე ჩუმად იყო, მაგრამ როგორც ჩანს, იმ ფაქტმა, რომ "ბოლტონთან" ვენგერმა ის განაცხადშიც კი არ შეიყვანა, გერმანიის ნაკრების მეკარეს მოთმინების ფიალა აუვსო. "ბოლტონთან" სათადარიგოთა სკამზე არა ლემანი, არამედ 22 წლის პოლონელი კიპერი **ლუკაშ ფაბიანსკი** იჯდა და იენსის გააფთრებაც სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია.

აი, რა განაცხადა ლემანმა გერმანული ტელეკომპანია "პრემიერ უორლდისთვის" "სლავიასთან" მატჩის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში: *"უკვე აშკარაა, რომ მწვრთნელი ჩემს დეგრადირებას ცდილობს. სამწუხაროდ, იძულებული გავხდი, რომ ასეთი დასკვნა გამეკეთებინა, რადგან ფაქტია, რომ მწვრთნელი უსამართლოდ მექცევა. მინდა, ვენგერს ვუთხრა, რომ ფეხბურთელის დეგრადირება არ შეიძლება. "არსენალი" დიდი გუნდია, რომელიც ძალიან შემიყვარდა და ნამდვილად არ ვაპირებ იმას, რომ ამ გუნდიდან ასე უსახელოდ და სამარცხვინოდ წავიდე!"*

ფაქტი ის გახლავთ, რომ თუ ასე გააგრძელებს, ლემანი "არსენალიდან" უსახელოდ არა, მაგრამ დიდი სკანდალით კი ნამდვილად წავა. ხსენებულ ინტერვიუში იენსმა კონკურენტ ალმუნიაზეც ისაუბრა და გუნდის მესამე მეკარე ფაბიანსკიზეც: *"ვენგერი ამბობს, რომ მსოფლიო კლასის სამი მეკარე ჰყავს. დიდი მადლობა, რადგან გამოდის, რომ მეც მსოფლიო კლასის მეკარე ვარ, მაგრამ მაინტერესებს, რა დამსახურებით მიიღეს ასეთი სტატუსი ალმუნიამ და ფაბიანსკიმ? რამდენადაც ვიცი და თუ მეხსიერება არ მღალატობს, ტიტული, ჩემგან განსხვავებით, არც ერთს არ მოუგია. და მიუხედავად ამისა, ვენგერი მათზე ამბობს, რომ მსოფლიო კლასის მეკარეები არიან. ალმუნიამ დღემდე ვერ დაამტკიცა, რომ გუნდის გადარჩენა შეუძლია."*

ვენგერმა ლემანს მალევე უპასუხა. აი, რა განუცხადა "მეთოფეების" დამრიგებელმა გერმანულ "კიკერს": *"იენსთან ამ თემაზე უკვე მქონდა საუბარი და სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა და გავბრაზდი, როცა გავიგე, რაც თქვა ინტერვიუში. არავის დეგრადირებას არ ვცდილობ, ეს მას ჰგონია ასე!"*

ასეა თუ ისე, ფაქტი ის გახლავთ, რომ ჩვენი ინგლისელი კოლეგები უკვე ალაპარაკდნენ, ზამთარში ლემანი "არსენალიდან" აიბარგებაო...

ჰამბურგი

# ზეელერი: გაყიდეთ ვან დერ ვაარტი!

## დიდი უვე ფიქრობს, რომ როცა ფეხბურთელს წასვლა უნდა, მის შენარჩუნებას აზრი არა აქვს...

დიდი ხანია, **რაფაელ ვან დერ ვაარტის** გარშემო სიმშვიდემ დაისადგურა. მას მერე, რაც "ჰამბურგის" ხელმძღვანელებმა ჰოლანდიელი "ვალენსიაში" არ გაუშვეს, ვან დერ ვაარტი ძალიან კარგად ათამაშდა და სანამ ტრავმას მიიღებდა, მოედანს უგოლოდ არ ტოვებდა - რაფაელმა **უვე ზეელერის** რეკორდი გაიმეორა (ზედიზედ 7 თამაშში გოლი გაჰქონდა). ახლა კი, თვით ზეელერმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ "ჰამბურგმა" მომავალ ზაფხულს ჰოლანდიელი ნახევარმცველი აუცილებლად უნდა გაყიდოს.

*"თუ მას წასვლა უნდა და ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ეს ასეა, მაშინ მის შეჩერებას აზრი არა აქვს, უნდა გაყიდონ! ჩვენ ყველანი რეალისტები უნდა ვიყოთ, ვან დერ ვაარტის შენარჩუნება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. და რაკი ეს ასეა, მაშინ გუნდის ბოსებმა მომავალზე უნდა იფიქრონ, რაფაელის სანაცვლოდ დიდი ფული უნდა აიღონ და ახალ ფეხბურთელში დააბანდონ, ოღონდ ისეთში, რომელიც ვან დერ ვაარტს ღირსეულად შეცვლის!"* - აცხადებს HSV-ს ცოცხალი ლეგენდა "შპორტ-ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

როგორც იცით, ჩრდილოგერმანული კლუბის ბოსები **დიტმარ ბაიერსდორფერი** და **ბერნდ ჰოფმანი** ჰოლანდიელის გაშვებას არც ზაფხულში აპირებენ და ამბობენ, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ შევინარჩუნოთო, მაგრამ ზეელერის აზრით, უკმაყოფილო ფეხბურთელის გუნდში გაჩერება არ შეიძლება. "ჰამბურგს" რაფაელის სანაცვლოდ დიდი ფულის მიღება მხოლოდ გაისადლა შეუძლია. მართალია, ჰოლანდიელს კონტრაქტის ვადა 2010 წლამდე აქვს, მაგრამ 2009 წელს მას HSV-ს დატოვება სულ რაღაც 1.5 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეეძლება. ასე რომ, მომავალი ზაფხული "ჰამბურგისთვის" ბოლო შანსია (თუ, რა თქმა უნდა, ვან დერ ვაარტმა კონტრაქტი არ გააგრძელა, რაც, ფაქტობრივად, გამორიცხულია). ზეელერის აზრით, ჰოლანდიელის ფასი დღესდღეობით მინიმუმ 25 მილიონია. შეგახსენებთ, რომ აგვისტოში "ვალენსია" მზად იყო, რაფაელის სანაცვლოდ 22 მილიონი გადაეხადა.

ირლანდიის ნაკრები

# სტონტონი სახლში გაუშვეს

ირლანდიის ნაკრები მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. ევროპული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ფედერაციის ხელმძღვანელობამ **სტივ სტონტონთან** თანამშრომლობის გახანგრძლივება არ ისურვა და ის სახლში გაუშვა. ირლანდიელთა დამრიგებელმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწია. მან ევრო 2008-ის საგზური ვერ მოიპოვა და გულშემატკივრები უზომოდ აღაშფოთა. რა თქმა უნდა, ქვეყნის საფეხბურთო მამებიც უკიდურესად უკმაყოფილოები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ სტონტონს ეროვნულ გუნდში 2010 წლის მუნდიალის დასრულებამდე მუშაობის იმედი ბოლო წამამდე ჰქონდა, მას კონტრაქტი მაინც გაუწყვიტეს.

მიმომხილველები სტონტონის გადაყენებას უკვე რამდენიმე დღეა წინასწარმეტყველებდნენ. მწვრთნელს განსაკუთრებული კრიტიკა მას შემდეგ დაატყდა თავს, რაც ირლანდიამ კვიპროსთან საშინაო პაექრობა ფრედ 1:1 დაასრულა. ჯერ ერთი, რომ კვიპროსი ირლანდიელ ქომაგებს ღირსეულ მოწინააღმდეგედ არასოდეს მიაჩნდათ და მასთან ქულების დაკარგვა შეურაცხყოფად მიიღეს. რაც მთავარია, ამ ყაიმის შემდეგ ნაკრებმა ავსტრიასა და შვეიცარიაში ასპარეზობის თეორიული შანსიც დაკარგა. მოკლედ, ირლანდიის ნაკრები ზედიზედ მესამე ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს.

ფეხბურთელის რანგში სტონტონმა სამ მუნდიალზე ისპარეზა. 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დარჩენა მთელმა ქვეყანამ სერიოზულად განიცადა. სტონტონმა მაშინ პირობა დადო, რომ კრიზისში მყოფ ეროვნულ გუნდს ააღორძინებდა და ევროპის ჩემპიონატის ფინალური სტადიის საგზურს მოაპოვებინებდა. ფედერაციის მაღალჩინოსნებმა ამ ადამიანის იწამეს და კონტრაქტიც გაუფორმეს. სტონტონმა **ბრაიან კერი** შეცვალა, თუმცა ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ დაკისრებული მოვალეობები ვერ შეასრულა. სხვათა შორის, გულშემატკივართა უდიდესი ნაწილი აღნიშნავს, რომ კერი გაცილებით უკეთესი სპეციალისტი იყო.

... მაგრამ სტონტონის მეგობრები ამბობენ, რომ მას პერმანენტულმა ტრავმებმა ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევის საშუალება მოუსპო. ამტკიცებენ, წამყვანი ფეხბურთელების ხშირი ტრავმების გამო, სტივი იძულებული იყო, ერთი ამპლუის მოთამაშე მეორე პოზიციაზე დაეყენებინა, ან ძირითად შემადგენლობაში სულაც გამოუცდელი ბიჭები ეთამაშებინაო. ასე იყო თუ ისე, სტონტონმა ირლანდიის ნაკრებში მთლიანობაში 17 შეხვედრა ჩაატარა. მან მხოლოდ მატჩების 35 პროცენტი მოიგო. ჟურნალისტები მრავლისმეტყველად აღნიშნავენ, რომ ეროვნულ გუნდს ასეთი სამარცხვინო მაჩვენებელი 80-იანი წლების შემდეგ არასოდეს ჰქონია. მოკლედ, საბრალო სტივ სტონტონმა D ჯგუფის ფავორიტებს, გერმანიასა და ჩეხეთს კონკურენცია ვერ გაუწია, თუმცა არც ესაა ერთადერთი უბედურება. შეგახსენებთ, ირლანდიელებმა კვიპროსთან გასვლითი პაექრობა 2:5 დათმეს. ან სან მარინოსთან წვალებით მოპოვებული გამარჯვება (2:1) რად ღირს?! ამ ყოველივეს შემდეგ გასაკვირი სულაც არ არის, რომ სტონტონს კარისკენ მიუთითეს.




სტივ სტონტონი

სარაგოსა

# ფერნანდესმა დალესანდრო ვარჯიშიდან გააგდო

## არგენტინელის ბედი გუნდის შედეგებსა და მწვრთნელის ყოფნა-არყოფნაზეა დამოკიდებული

"სარაგოსას" პრობლემები არ ელევა. მოგახსენებდით, რომ "ატლეტიკოსთან" განცდილი მარცხის (0:4) შემდეგ, არაგონული კლუბის ხელმძღვანელობა **ვიქტორ ფერნანდესის** გათავისუფლებაზე დაფიქრდა. გუნდისა და საკუთარი ტყავის გადასარჩენად, სენიორ ფერნანდესს სიმშვიდე სჭირდება, მაგრამ ის ამას ვერა და ვერ ეღირსა. უეფას თასიდან გამოვარდნას, პრიმერა დივიზიონში გახშირებულ ფიასკოებს შიდა ბანაკში არსებული პრობლემებიც დაემატა.

"სარაგოსის" გუშინდელი ვარჯიშის მსვლელობისას **ანდრეს დალესანდრო** ძალიან თავხედურად და გამომწვევად იქცეოდა. ის ჯერ თანაგუნდელებს უხირდებოდა და ფეხებში დაუნდობლად ურტყამდა, შემდეგ კი მთავარ მწვრთნელთან მოურიდებლად კამათობდა. ბუნებრივია, ფერნანდესმა შეგირდს თავშეკავებულობისკენ მოუწოდა. როცა ზედიზედ რამდენიმე მოწოდებამ შედეგი არ გამოიღო, სენიორ ვიქტორმა ხმას აუწია და არგენტინელს ყველას გასაგონად დაუღრიალა, ბოლოს და ბოლოს, მოგვცემ ნორმალურად მუშაობის საშუალებასო? დალესანდრომ ამის შემდეგაც არ დაიხია უკან. პირიქით, ახალგაზრდა ნახევარმცველმა კონტროლი დაკარგა და საკუთარ დამრიგებელს გაუგონარი შეურაცხყოფა მიაყენა - ვის უყვირი, ძალიან მაინტერესებს, გირჩევნია, საკუთარ თავს უღრიალო და აღიარო, რომ "სარაგოსის" ყველა პრობლემა შენი ბრალია. აზრზე არ ხარ რას აკეთებ. გუნდი ქაოსში ჩააგდეო...



ანდრეს დალესანდრო

დაგვეთანხმებით, ასეთ გამოხდომას ვერც ერთი თავმოყვარე მწვრთნელი ვერ მოითმენს. ვიქტორ ფერნანდესმა კამათის გაგრძელება აღარ ისურვა და დალესანდრო უმალ ვარჯიშიდან გააძევა. ანდრესი გასახდელში ფიზმომზადების სპეციალისტთან ერთად წავიდა. დრო უქმად რომ არ გაეცდინა, მუშაობა მან ტრენაჟორების დარბაზში გააგრძელა. ფერნანდესმა ამის შესახებ მალევე შეიტყო, ვარჯიში რამდენიმე წუთით შეწყვიტა და შეგირდს მიუვარდა. მისი კატეგორიული მოთხოვნით დალესანდრომ სასწრაფოდ შხაპი გადაივლო, ჩაიცვა და სახლში წავიდა. აღსანიშნავია, რომ არგენტინელი ჭირვეული ხასიათით ადრეც გამოირჩეოდა. ის არაერთხელ დასჯილა, თუმცა ამჯერად ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. "სარაგოსასთან" დაახლოებული ჟურნალისტების თქმით, ანდრესს სასტიკი სასჯელი არ აცდება. სავარაუდოდ, მას ერთი თვის ხელფასს დაუქვითავენ და რამდენიმე მატჩში მონაწილეობას აუკრძალავენ. ხოლო, თუ არაგონელები სატურნირო მდგომარეობას გამოასწორებენ და ფერნანდესი თანამდებობას შეინარჩუნებს, შესაძლოა, მწვრთნელმა ხელმძღვანელობის წინაშე დალესანდროს გუნდიდან გაგდების საკითხიც კი დააყენოს.

ჩელსი

# დროგბას საფრანგეთში დაბრუნება შესთავაზეს

გასულ კვირაში, **დიდიე დროგბამ** "ჩელსის" გულშემატკივრები შოკში ჩააგდო. აფრიკელმა ფორვარდმა განაცხადა, რომ **ჟოზე მოურინიოს** გაშვების შემდეგ გუნდის დატოვების სურვილი გაუჩნდა. დროგბას ეს სიტყვები ევროპული კლუბების მესვეურებს ძალიან საინტერესოდ ენიშნათ და 29 წლის ფორვარდზე ნადირობა დაიწყეს. ორი დღის წინათ მადრიდის "რეალის" დაინტერესებაზე დაიწერა, ამჯერად კი დიდიეს თანამშრომლობა "ლიონმა" შესთავაზა. ფრანგული კლუბის პრეზიდენტი **ჟან მიშელ აულა** მზადაა, ლონდონელ კოლეგებთან დღესვე დაიწყოს მოლაპარაკებები. ის დარწმუნებულია, რომ საფრანგეთში დაბრუნება დროგბას სასიკეთოდ წაადგება. ლიონელები მას მუდმივად ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას აძლევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ რაფაელ ბენიტესთან

# ეს ლივერპული ძალიან ძლიერია

**რაფაელ ბენიტესს შეიძლება მხოლოდ მიუსამძიმრო. მისი კლუბი დაუმარცხებლად თამაშობს პრემიერლიგაში, მაგრამ ამის მიუხედავად, მისი მისამართით მხოლოდ კრიტიკას თუ მოისმენთ - მის კლუბს საჩემპიონო ტიტულისთვის ბრძოლის შანსი, რა თქმა უნდა, არ დაუკარგავს, მაგრამ ვერაფრით ახერხებს გულშემატკივარი დააჯეროს, რომ თეორიულის გარდა, ამის პრაქტიკული შესაძლებლობაც არსებობს. მისი გუნდი მე-10 ტურის შემდეგ ლიდერ "არსენალს" 6 ქულით ჩამორჩება (ორივე გრანდს თითო შეხვედრა თადარიგში აქვს). ESPN-თან ინტერვიუში რაფა გულახდილად საუბრობს გუნდის შესახებ და ღია ტექსტით პასუხობს ოპონენტებს, მათ, ვისაც ესპანელის როტაციული სისტემა არ მოსწონს.**

**- რისი თქმა შეგიძლიათ ახლანდელ "ლივერპულზე"?**

- ვთვლი, რომ ახლა ყველაზე ძლიერი შემადგენლობა მყავს მას შემდეგ, რაც ეს კლუბი ჩავიბარე. ჩემი გუნდით კმაყოფილი ვარ.

**- ახლა თქვენ უკეთესი ადგილი გიკავიათ ცხრილში, ვიდრე შარშან ამავე დროს, მაგრამ იმაში კი უნდა გამოტყდეთ, რომ რალაც ეტაპზე, გუნდმა თავდაჯერება დაკარგა. როგორ აპირებთ ამ რწმენის დაბრუნებას?**

- ფეხბურთში ამის გაკეთება ძალიან ადვილია - უნდა გავიმარჯვოთ. რაც მთავარია, ვიცით, რომ საკუთარი ძალების რწმენა გვჭირდება. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ კარგად ვითამაშოთ, ბევრი გოლი გავიტანოთ და თამაშები მოვიგოთ. წარმატების საიდუმლო სულ ესაა.

**- რას ფიქრობთ საერთაშორისო თამაშების განახლებაზე. დატვირთვასთან ერთად მოთამაშეთა ტრავმიანობის რისკიც იზრდება.**

- ყველაფერი საკმაოდ რთულია. ხანდახან მართლა აუტანელი ხდება, როცა ჩემი ფეხბურთელები მთელ მსოფლიოს მოედებიან ხოლმე და ვარჯიშზე მრჩება ერთი მეკარე და მინდვრის რამდენიმე მოთამაშე. ამ პირობებში მომზადება საკმაოდ რთულია.

**- და რას საქმიანობთ მაშინ, როცა ლივერპულელი ფეხბურთელები ნაკრებებში მიმოიფანტებიან ხოლმე. ახალ ტაქტიკას ამუშავებთ?**

- საჭიროა მეტოქეთა ვიდეოჩანაწერების ნახვა და შესწავლა, ჩემი გუნდის თამაშის ანალიზი, ის თუ როგორ ვითამაშეთ ამა თუ იმ მატჩში. ასევე მაქვს ხოლმე შეხვედრები კლუბის ხელმძღვანელობასთან, ვატარებ ვარჯიშებს იმ ფეხბურთელებთან, ვინც სახლში რჩება, როგორც წესი, 4-5 კაცთან.

**- თქვენ ისაუბრეთ ზოგადად გუნდზე. მოდით, ახლა ფეხბურთელებზე გადავიდეთ. როგორ აფასებთ ფერნანდო ტორესის თამაშს?**

- ჩემი აზრით, ყველაფერი კარგადაა. რაო, თქვენ ასე არ გეჩვენებათ? სეზონის დაწყებამდე მასთან ყველას ჰქონდა კითხვები. მაგრამ "ელ ნინიომ" შთამბეჭდავად დაიწყო. 12 თამაშში მას 7 გოლი აქვს გატანილი. ახლა უკვე ყველა ლაპარაკობს, რომ ის ფანტასტიკურია, რომ ის არის ბომბარდირი, რომელსაც პრემიერლიგაში მინიმუმ 20 გოლის გატანა შეუძლია. ვიცოდი, რომ ადაპტაციისთვის გარკვეული დრო დასჭირდებოდა, მაგრამ ის სიტუაციას ადვილად მოერგო. ხანდახან მას გამოსდის საკუთარი თამაში, ხან - არა. თუმცა მუდმივად მონდომებულია. ჩემი დაკვირვებით, ის ადვილად ეგუება ჩვენს გუნდს.

**- ეს უფრო ადვილად ხდება, ვიდრე თქვენ ელოდით?**

- არა. როცა მას ვყიდულობდით, ვიცოდით, რომ ფერნანდო ძლიერი ფეხბურთელი იყო და ადვილად შეეგუებოდა აქაურობას, პირველ რიგში, ფიზიკური გამძლეობა ეყოფოდა ამისთვის.

**- რაც შეეხება სხვა ახალწვეულებს?**

- თუკი მათ შეხედავთ, მიხვდებით, რომ ბევრი მათგანი პერსპექტივისთვისაა შეძენილი. ლეტო, ლეივა, ბაბელი. რაც შეეხება ვორონინსა და ბენაიუნს, ისინი გამოცდილი ფეხბურთელები არიან და შედარებით ადვილად ათამაშდნენ. ზოგს მეტი დრო დასჭირდება ამისთვის.

**- სეზონის დასაწყისი ძალიან წარმატებული იყო, ახლა მცირე ჩავარდნა გაქვთ. ამას რა ახსნას უძებნით?**

- ჩვენ ისე ძლიერად დავიწყეთ სეზონი, რომ ყველამ იფიქრა, მომდევნო პერიოდიც ასეთივე წარმატებული იქნება. გვქონდა შესაძლებლობები, მაგრამ ყოველთვის ვერ გაგვქონდა გოლი, მერე ფეხბურთელებმა დაიწყეს ფიქრი იმაზე, რომ წინ სულაც არ ელოდათ ბედნიერი სეზონი. ვფიქრობ, რომ გუნდი ცოტა არეულია. ვერ ვხვდები, რა უფრო სასურველია, სეზონი ძლიერად დავიწყოთ, თუ ნელ-ნელა მოვუმატოთ სიჩქარეებს. მეჩვენება, რომ ყველაფერი მალე დალაგდება, ჩვენ მალე მოვუმატებთ, რაც აშკარად გვჭირდება.

**- ასევე სიმართლეა ის, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი ფორმიდან უკვე ამოვარდნილია. რასთანაა ეს დაკავშირებული?**

- გუნდის წევრების უმეტესობა საკუთარი ქვეყნის ნაკრების წევრიცაა. არც ისე ადვილია, რომ ამდენი იმოგზაურო და მაინც ფორმაში იყო. ხანდახან საკმარისია, რომ გუნდის 2-3 მოთამაშე ირჯებოდეს მაღალ დონეზე და დანარჩენები მათ ფეხს აუწყობენ. ახლა უამრავი ფეხბურთელი გვყავს ვისაც მცირე ტრავმა აწუხებს და ამის გამო ისინი შესაძლებლობების ზღვარს ქვემოთ თამაშობენ. ამიტომ გუნდიც ვერ თამაშობს ისე, როგორც შეუძლია.

**- მოდით, ახლა ჩემპიონთა ლიგაზე ვისაუბროთ. შემდეგი თამაში "ბეშიქთაშთან" გაქვთ. რას ფიქრობთ, "ლივერპულისთვის" რამდენად სერიოზული მოწინააღმდეგეა?**

- ეს თამაში ჩვენთვის ძალიან სერიოზულია, ასე არაა? გვესმის, რომ ლიგაში არცთუ ძლიერად დავიწყეთ, ჩვენ უნდა მოვიგოთ ეს თამაში სტამბულში და შემდეგზე დავიწყოთ ფიქრი. სამი ქულისთვის მაქსიმალურად კონცენტრირებულნი უნდა ვიყოთ.

**- თქვენი გათვლით რამდენი ქულა იქნება საკმარისი იმისთვის, რომ 1\8-ში მოხვდეთ?**

- ამის ზუსტად თქმა შეუძლებელია. მთავარია, მოვიგოთ ჩვენი თამაშები და დაველოდოთ, რას იზამენ "პორტუ" და "მარსელი". უკეთესი იქნება, თუკი ყოველი თამაშის წინ კონკრეტულად მასზე ვიფიქრებთ. ქულების დაანგარიშებას მერეც მოვასწრებთ.

**- "მარსელთან" მატჩი დიდი იმედგაცრუება იყო. რას ფიქრობთ, რა არ იყო წესრიგში?**

- თითქმის ყველაფერი. ამ მატჩისთვის ცუდად მოვემზადეთ როგორც ტაქტიკურად, ისე ტექნიკურად. "ლივერპულის" წინააღმდეგ იდგა გუნდი, რომელიც მაქსიმალურად კარგად იყო მზად ჩვენთან სათამაშოდ. მათ სუფთა 10 დღე ჰქონდათ მოსამზადებლად, მშვენიერ განწყობაზე იყვნენ. მატჩი კარგად დავიწყეთ, მაგრამ უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ. ჩვენ თავდაჯერება არ გვეყო. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ მათ კარგად ითამაშეს და ჩვენ - ცუდად.

**- ქალალდზე თქვენი ჯგუფი არც თუ ისე ძლიერად გამოიყურება. არ გაგიკვირდათ, თუ რამდენად ძნელი ალმოჩნდა ფრანგებთან თამაში?**

- კენჭისყრის უმალ ვთქვი, რომ ჩვენ გამოცდილი მოწინააღმდეგეები გვერგო და ჯგუფი საკმაოდ რთული იყო. რაშიც შეგიძლიათ, ახლა თავად დარწმუნდეთ. იმედი მაქვს, საბოლოოდ ყველაფერი ისე დასრულდება, როგორც ჩვენ გვინდა. ამისთვის კი სერიოზული მუშაობა მოგვიწევს. სამივე გუნდი ხომ ზეგამოცდილი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული.

**- უბრალოდ ვალდებულნი ვართ, რომ თქვენს საკადრო პოლიტიკას შევეხოთ. თვალშისაცემია, რომ მიზნად ისახავთ მთელი შემადგენლობის დატვირთვას, გამოწრთობას, რათა სეზონის ბოლოს ხელთ იდეალური გუნდი შეგრჩეთ.**

- ხანდახან ფეხბურთელების შეცვლისას შეიძლება მწვრთნელმა რისკი გაწიოს, მაგრამ თუკი ეს საშუალებას მისცემს, რომ ტიტულებისთვის ბრძოლა განაგრძოს, ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგადაა. ჩემი საკადრო პოლიტიკის აზრიც ესაა.

**- ოდესმე მოთამაშეებს ღიად თუ გაუპროტესტებიათ როტაციის თქვენეული პრინციპი?**

- განსაკუთრებულად არავის. ისინი არ ამბობენ, რომ ამა თუ იმ გუნდთან ითამაშებენ და სხვასთან არა. ამას ყველა შეეჩვია. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ეს საკითხი "ლივერპულში" ერთნაირად წყდებოდა. ვფიქრობ, მოთამაშეებს ესმით ჩემი. შეიძლება არ სიამოვნებთ, როცა სკამზე რჩებიან, მაგრამ მათ იციან, რომ ეს გუნდის სასიკეთოდ კეთდება.

**- თქვენ მუდმივად ასე აკეთებდით. რა არის მიზეზი იმისა, რომ უცბად ეს სალაპარაკოდ იქცა?**

- რამდენჯერმე ფრედ ვითამაშეთ და რამდენიმე თამაში წავაგეთ. როცა ვიგებდით, ეს არავის ახსენდებოდა.

**- თქვენ თუ თვლით, რომ სწორედ როტაციულმა პოლიტიკამ გახადა შესაძლებელი, რომ გუნდს ერთხელ ლიგა მოეგო და ერთხელაც ფინალში ეთამაშა?**

- ვთვლი, რომ ხალხს მოკლე მეხსიერება აქვს. სეზონის სწორს ხანდახან ჩვენ ორი ფინალი გვაქვს ხოლმე სათამაშო. ეს ნიშნავს, რომ გუნდი მზადაა, მზადაა ფეხბურთელების ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და იმის წყალობით, რომ მთელ სიმძიმეს ერთეულების ზურგზე არ გადაუვლია.

**- უფრო მეტი ყურადღება საითკენაა, ლიგის გათამაშების თუ პრემიერლიგისკენ?**

- ჩვენ სეზონი დავიწყეთ იმ განწყობით, რომ ყველა ტურნირის მოგება გვინდა. თუკი შემეკითხებით, თუ რის მოგებას ვარჩევდი ყველაზე მეტად, გეტყვით, რომ პრემიერლიგის. ქვეყნის ჩემპიონობის მოგება ყველას ძალიან უნდა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაც, ინგლისის თასიცა და ლიგის თასიც ძალიან მნიშვნელოვანია.

**- ახლა დადებითზეც ვილაპარაკოთ. მალე კარს ნოემბერი მოგვადგება და თქვენს გუნდს პრემიერლიგაში ჯერ თამაში არ წაუგია. კმაყოფილი ხართ?**

- რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. გულდასაწყვეტი იყო "ტოტენჰემთან" საშინაო ფრე, ორი გოლი არ უნდა გაგვეშვა, ორივე შემთხვევაში ხომ სულელური შეცდომები მოგვივიდა. ამის მიუხედავად, დაუმარცხებლად ასპარეზობა მაინც საამაყოა.

**- რამდენად მძიმეა ის მომენტი, რომ "არსენალს" ექვსი ქულით ჩამორჩებით?**

- მეჩვენება, რომ ახლა ჩემი გუნდი უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე შარშან. ეს მნიშვნელოვანია. თუკი 2-3 თვე ცხრილის ზედა ნაწილში ადგილს შევინარჩუნებთ და როტაციის პრინციპს განუხრელად დავიცავთ, სეზონის მიწურულს, მშვენიერი შანსი გვექნება, რომ ყველაზე ამბიციურ გეგმებს შევწვდეთ.

**- დაბოლოს, რისი იმედი გაქვთ და რას ელით ამ სეზონში?**

- ტიტულებს ველოდები. უახლოეს მომავალში კი თამაშის გამოსწორებას.



რაფა ბენიტესი

## ბაიერნი ტონისა და რიბერის გარეშე

"ბაიერნის" მთავარ მწვრთნელ **ოტმარ ჰიტცფელდს** სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. როგორც იცით, დღეს რეკორდმაისტერი უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე პირველ შეხვედრას მართავს (ბელგრადში, "ცრვენა ზვეზდასთან"). ჰიტცფელდმა სერბეთის დედაქალაქში **მარტინ დემიკელისი**, მისი შემცვლელი **დანიელ ვან ბუიტენი**, **ფრანკ რიბერი** და **ლუკა ტონი** ვერ წაიყვანა. დემიკელისსა და ტონის გრიპი აქვთ, ვან ბუიტენსა და რიბერის კი კუნთები აქვთ დაჭიმული. შესაბამისად, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ **ბასტიან შვაინშტაიგერი**, **ლუკას პოდოლსკი** და **ფილიპ ლამი**, რომელიც ახლახან გამოჯანმრთელდა. ეს უკანასკნელი დაცვის მარჯვენა ფლანგზე ითამაშებს, ცენტრში კი, დემიკელისს, **კრისტიან ლელი** შეცვლის.

## მაგათი: ვეწეოდი და ვსვამდი!

"ვოლფსბურგის" მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** ჟურნალ "11 ფროინდესთვის" მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ აქტიური სპორტული კარიერის დროს თამბაქოსაც ეძალებოდა და ალკოჰოლსაც. *"დიახ, ვეწეოდი კიდეც და უარს არც სასმელზე ვამბობდი. ოღონდ, როცა ბევრი მომდიოდა, მეორე დღეს იმას კი არ ვამბობდი, ცუდად ვარ და ვერ ვივარჯიშებ-მეთქი, არამედ გაორმაგებული მონდომებით ვვარჯიშობდი. დღეში ერთი კოლოფი სიგარეტი არ მყოფნიდა, ხშირად ორ კოლოფს ვათავებდი,"* - აცხადებს "დესპოტი ფელიქსი" ხსენებულ ინტერვიუში და იქვე ამატებს, სიგარეტს თავი 1982 წლის 22 თებერვალს, მუხლის ოპერაციის დღეს დავანებე და მას მერე აღარ მომიწევიაო.

დღეს მაგათი ალკოჰოლისგანაც ძალიან შორს დგას. მან "ბაიერნი" ზედიზედ ორჯერ გახადა გერმანიის ჩემპიონი, მაგრამ არცერთ ზეიმზე ერთი კათხა ლუდიც კი არ დაულევია. ფელიქსი დღეს უპირატესობას მინერალურ წყალსა და მწვანე ჩაის ანიჭებს.

## ტოტი მილანთან ვერ ითამაშებს?

ჩემპიონთა ლიგის წინა ტურში "რომას" კაპიტამა **ფრანჩესკო ტოტიმ** ტრავმა მიიღო. **ლიედსონთან** შეჯახების შემდეგ მას ფეხი იმდენად ეტკინა, რომ თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო და მოედანი პირველივე ტაიმში დატოვა. რომაელმა ექიმებმა გუნდის ვარსკვლავს სასწრაფო სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს. აღმოჩნდა, რომ საგანგაშო არაფერია, თუმცა შესაძლოა, ტოტის "მილანთან" პრინციპული მატჩის გამოტოვება მაინც მოუხდეს. ექიმები **ლუჩანო სპალეტის** ურჩევენ არ გარისკოს და ფრანჩესკოს დასვენების საშუალება მისცეს.

ჩემპიონთა ლიგა მუშტი-კრივის თანხლებით

## სისხლიანი ჩხუბი კიევში

22 ოქტომბერს, ადგილობრივი დროით 22:15 წუთზე კიევში მიხაილოვსკის 22 ნომერში მდებარე კაფე "ბუდმოში" "დინამოსა" და "მანჩესტერის" გულშემატკივრების მასობრივი და დაუნდობელი ჩხუბი მოხდა. ნუ იფიქრებთ, რომ დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს შემთხვევით გადაეყარნენ. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, ერთ-ერთი დაკავებული კიეველის ჩვენების ფრაგმენტს გაგაცნობთ: *"ინტერნეტით "მანჩესტერის" ერთ-ერთი გულშემატკივრის ნომერი ვიპოვნეთ. მას შეტყობინება გავუგზავნეთ და ვკითხეთ, სურვილი ხომ არ ჰქონდა, კიეველ ბიჭებთან მუშტი-კრივი გაემართა. ცოტა ხანში დადებითი პასუხი მივიღეთ. ამის შემდეგ ჩვენი რაზმი შევკრიბეთ. ჯერ ერთ-ერთ მეტროსადგურთან მივედით, დამატებით ხალხი შევაგროვეთ და შემდეგ დათქმული ადგილისკენ გავემართეთ. 20 ინგლისელი დაგვხვდა. სიტყვის უთქმელად მათ შევესიეთ და სასტიკი ჩხუბი დაიწყო."*

ხულიგანთა ანგარიშსწორებას კაფე შეეწირა. დამსხვრეულია ყველა ჭურჭელი, ჩამტვრეულია ფანჯრები, ჩამოგლეჯილია ჭაღი, დამტვრეულია ავეჯი, კარ-ფანჯარა. განადგურებულია ძვირადღირებული სასმელები. პოლიცია შემთხვევის ადგილზე გამოძახებიდან ზუსტად შვიდ წუთში მივიდა, მაგრამ ეს მცირე დროც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ინგლისელებსა და უკრაინელებს ერთმანეთისთვის ცხვირ-პირი გაეერთიანებინათ. ერთ-ერთი ბრიტანელი საავადმყოფოში მოხვდა, თუმცა პირველადი სამედიცინო დახმარების მიღებისთანავე გაიქცა. შეეშინდა, რომ უკრაინის პოლიცია დააპატიმრებდა. სამართალდამცველებმა მოჩხუბრები მართლაც დააკავეს, თუმცა მათ მხოლოდ სამი ადამიანის დაჭერა შეძლეს. სამივე მათგანი კიეველია. ექსპერტების თქმით, მოჩხუბარ ბიჭებს დიდი უსიამოვნება ელით. საუკეთესო შემთხვევაში, კაფის მეპატრონეებისთვის ზარალის 100 პროცენტით ანაზღაურება და ხულიგნობისთვის ბიუჯეტში დამატებით სოლიდურის თანხის გადახდა დაეკისრებათ. თუმცა გამორიცხული არ არის, პროკურორმა ოთხი წლით პატიმრობა მოითხოვოს.

## მილიციამ ტიფოზები დაიცვა

ცსკა-სა და "ინტერის" საჩემპიონთალიგო შეხვედრაზე მოსკოვის შინაგან საქმეთა სამმართველომ წესრიგის დასაცავად სტადიონზე მილიციელთა სოლიდური შემადგენლობა გაუშვა. სამართალდამცველები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ უსიამოვნო ინციდენტებს საღამო არ გაეფუჭებინა. საბედნიეროდ, სერიოზული არაფერი მომხდარა, თუმცა მილიციელები იძულებულები გახდნენ, 40 კაცი მაინც დაეპატიმრებინათ. მოსკოვის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის **ევგენი გილდეევის** თქმით, უკლებლივ ყველა გულშემატკივარი ნასვამი იყო და იტალიელი სტუმრების მიმართ გამომწვევად იქცეოდა. ისინი აშკარად ჩხუბის პროვოცირებას ცდილობდნენ. რამდენიმე მათგანმა "ინტერის" ტიფოზებისკენ გატეხილი ბოთლებითაც კი გაიწია. მილიციელებმა შეზარხოშებულთა ჯგუფის დაკავება სწორედ ამ იერიშის მცდელობისას გადაწყვიტეს. განყოფილებაში დაკავებულებს ადმინისტრაციული აქტი შეავსებინეს. უახლოეს დღეებში არმიელთა ქომაგებს სასამართლოს წინაშე წარადგენენ. მოსალოდნელია, რომ მათ სხვადასხვა სახის ფულადი ჯარიმა დაეკისრებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური

# არსენა და მხიარული ახალგაზრდობა




შტუტგარტი- ლიონი. ბენზემას გააქვს მეორე გოლი გერმანელთა კარში

## E ჯგუფი

### შტუტგარტი–ლიონი 0:2

**შტუტგარტი:** რ. შეფერი, ოსორიო, ტასკი, მეირა, ფარნერუდი, პარდო, ჰილბერტი, მაისნერი (62. ხედირა), ბაშთურქი (71. ევერტონი), კაკაუ, გომესი.

**ლიონი:** ვერკუტრი, რევეიერი, სკილაჩი, კლებერი, გროსო, ჟუნინიო, ფაბიო სანტუში, კალსტრიომი, გოვუ (85. კლერი), ბენზემა (84. ბოდმერი), ბენ არფა (74. კეიტა).

**გოლები:** 0:1 ფაბიო სანტუში (56), 0:2 ბენზემა (79)

**მაყურებელი:** 51 300

**არბიტრი:** ლუსილიუ ბატიშტა (პორტუგალია)

"შტუტგარტმა" მიმდინარე სეზონი გერმანიის ჩემპიონის რანგში იმდენად ამაზრზენად დაიწყო, რომ ამ მატჩის წინ, შვაბური კლუბის გულშემატკივრები ფიქრობდნენ, ამაზე უარესი რაღა უნდა მოხდესო და შესაბამისად, "ლიონთან" მინიმუმ იმას მაინც ელოდნენ, რომ **არმინ ფეეს** გუნდი ღირსეულად იასპარეზებდა. მაგრამ "შტუტგარტს" პროგრესი ოდნავაც არ დასტყობია - გერმანიის ჩემპიონმა "ლიონთანაც" კრახი განიცადა და ფაქტია, რომ გერმანიის ჩემპიონს (ჯგუფიდან გასვლას ვინლა ჩივის), მესამე ადგილიც სანატრელი გაუხდა.

ფეეს საფინალო სასტვენის შემდეგ, მოედანი არ დაუტოვებია, სათადარიგოთა სკამზე ძალიან დიდხანს, ჩაფიქრებული იჯდა. ფაქტია, რომ მისი სკამი მორყეულია. ფანებმა "გოტლიბ-დაიმლერ-შტადიონი" მატჩის დამთავრებამდე დატოვეს, მანამდე კი საყვარელი გუნდი სტვენით აიკლეს. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან სამშაბათის შემდეგ ერთი რამ უკვე საბოლოოდ ცხადია: "შტუტგარტმა" გერმანული ფეხბურთი მთელს ევროპაში ძალიან მაგრად შეარცხვინა! მასპინძელთაგან ყველაზე უარესი **ილდირაი ბაშთურქი** გახლდათ და ფანებიც ყველაზე მეტად სწორედ თურქ ნახევარმცველს ემდურიან. VFB-ს ვერც კაპიტან **ფერნანდო მეირას** დაბრუნებამ უშველა - "ლიონს", იმ ორი გოლის გარდა, კიდევ რამდენიმე რეალური შანსი ჰქონდა და საჭირო იყო მხოლოდ ცოტა მეტი იღბალი იმისათვის, რომ "შტუტგარტისთვის" კიდევ 2 ან 3 გოლი გაეტანა.

მე-40 წუთზე **კარიმ ბენზემა რაფაელ შეფერთან** პირისპირ გავიდა, მაგრამ ააცილა. 45-ე წუთზე კი, **სიდნი გოვუს** შეეძლო "შტუტგარტის" დამწუხრება, როცა ბენზემას დარად შვაბთა მეკარესთან ისიც პირისპირ დარჩა, მაგრამ შეფერმა აუღო. სამაგიეროდ, 55-ე წუთზე შეფერი უკვე უძლური გახლდათ: ფრანგებმა კუთხური ჩააწოდეს, რის შემდეგაც "შტუტგარტის" საჯარიმოში სრული ქაოსი იყო, რითაც **ფაბიო სანტუშმა** ისარგებლა და 16 მეტრიდან დაარტყა - ბურთი **რიკარდო ოსორიოს** მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და შეფერის კარის ბადეში გაეხვია. ეს გახლდათ "ლიონის" პირველი გოლი ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში - ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ "შტუტგარტს" ნებისმიერი გუნდი გაუტანდა.

ისე, როგორც ამ სეზონში ძალიან ხშირად, გაშვებული გოლის შემდეგ, "შტუტგარტი" კიდევ უფრო აირია, რასაც ის მოჰყვა, რომ შვაბებმა მეორე გოლიც მიიღეს: 79-ე წუთზე "ლიონის" ხანგრძლივი შეტევა ბენზემამ დააგვირგვინა - 0:2. ამრიგად, გერმანიის ჩემპიონმა 1992 წლის შემდეგ, ჩემპიონთა ლიგაში ყველაზე უარესი სტარტი აიღო: სამი თამაში, სამი წაგება. არადა, მატჩის წინ **მარიო გომესი** ამბობდა, შიშს უნდა ვძლიოთო. პირიქით მოხდა: "შტუტგარტში" ქაოსი, შიში და გაურკვევლობა კიდევ უფრო მასშტაბური გახდა.

**არმინ ფეე**: *"სამწუხაროდ, არაფერი შეცვლილა: ჩვენ ისევ დამსახურებულად წავაგეთ. "ლიონს" დღეს გრანდიოზული და განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, მაგრამ ის, რაც ამ გუნდმა გააკეთა, საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ფრანგები შინ სამი ქულით ხელდამშვენებულები გამგზავრებულიყვნენ. ჩვენ კი ისევ ნულზე ვართ."*

**ალენ პერენი**: *"ძალიან მნიშვნელოვანი თამაში მოვიგეთ. ვიცოდით, რომ "შტუტგარტი" მაქსიმალურად შეეცდებოდა, წნეხის ქვეშ მოვექციეთ და მიხარია, რომ მეტოქეს ეს არ გავაკეთებინეთ. ვფიქრობ, მესამე ადგილზე აუცილებლად გავალთ, მაგრამ ჯგუფიდან გასვლისთვის ბრძოლასაც ვაგრძელებთ."*

### რეინჯერსი–ბარსელონა 0:0

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, ჰატონი, უეირი, კუელარი, პაპაცი, მაკკალოხი, კუზენი, ფერგიუსონი, ადამი, დარშევილი, ნოვო (72. ბიზლი).

**ბარსელონა:** ვალდესი, ტურამი, პუიოლი, მილიტო, აბიდალი, ინიესტა, ჩავი, გუდიონსენი, რონალდინიო, მესი, ანრი (82. ჯოვანი).

**მაყურებელი:** 49 957

**არბიტრი:** კონრად პლაუტცი (ავსტრია)

"რეინჯერსისა" და "ბარსელონის" დაპირისპირებაში, რომელიმე მათგანის გამარჯვება ავტომატურად იმის ნიშანი იქნებოდა, რომ მოგებული მერვედფინალში ითამაშებდა. პირველი ორი თამაში ორივე მათგანს მოგებული ჰქონდა და თუკი "ბარსას", როგორც მთელი ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტის წარმატება არავის გაჰკვირვებია, გლაზგოელთა ასეთი სვლა საკმაოდ დიდი სიურპრიზი გახლდათ. მაგრამ "რეინჯერსმა" "ბარსელონასთანაც" დაამტკიცა, რომ ტყუილად არ არის ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი. კატალონიელები კი ნამდვილად ვერ იამაყებენ იმით, რომ გლაზგოში კარი მშრალად შეინახეს.

"აიბროქსის" გადაჭედილმა ტრიბუნებმა "რეინჯერსის" ფეხბურთელები აიძულა, თავიდანვე მხოლოდ შეტევებზე ეფიქრათ. **უოლტერ სმიტის** ბიჭები ტრადიციულად, ბრიტანულ სტილში უტევდნენ - ფლანგებიდან ბურთს **ვალდესის** საჯარიმოში აწოდებდნენ. დაცვაში ჩაჯდომა, ცხადია, არც კატალონიელებს უფიქრიათ - **რიიკაარდის** შეგირდები მუდმივად იმას ცდილობდნენ, რომ **მესი** და **ანრი** დასარტყმელ პოზიციაზე გაეყვანათ. ერთ-ერთი შეტევისას, ანრიმ გლაზგოელთა ცენტრი გაარღვია და მესის უპასა, მაგრამ ამ უკანასკნელმა დარტყმა დააგვიანა, მერე კი ბურთი შორეულ კუთხეში გაგზავნა, კუთხეში, რომელიც შოტლანდიელ მცველს ჰქონდა ამოკეტილი. პირველ ტაიმში ორივე გუნდი თანაბრად უტევდა და გლაზგოელთაგან ყველაზე მეტად **ნოვო** გამოირჩეოდა, კატალონიელთაგან კი **რონალდინიო**, რომელიც შორი დისტანციიდან სამჯერ დაემუქრა **მაკგრეგორის** კარს, აქედან, ერთხელ ბურთი ხარიხას მოხვდა. მაგრამ ტაიმის ბოლო წუთებმა მაინც "ბარსას" კარნახით გაიარა. რიიკაარდის ბიჭები მრავალმხრივი კომბინაციებით ცდილობდნენ ხიფათის შექმნას, მაგრამ ე.წ. "ბოლო პასი" აღარ გამოსდიოდათ. სმიტის გუნდი კი კონტრშეტევებზე ეცადა ვალდესის კარამდე მიღწევას, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

მეორე ტაიმიც "ბარსას" უპირატესობით დაიწყო, მაგრამ კატალონიელები მაკგრეგორის კართან მიახლოვებას ვერ ახერხებდნენ. შოტლანდიელები კი უკვე უფრო დაცვაზე ფიქრობდნენ და კონტრიერიშების იმედი ჰქონდათ. გამოსარჩევია ანრის მომენტი, როცა ეს უკანასკნელი მაკგრეგორის კარს კუთხურის შემდეგ, თავით დაემუქრა, მაგრამ მისი დარტყმა არაზუსტი გამოდგა. "რეინჯერსმა" კი მხოლოდ ესლა მოახერხა: **კუზენის** პასის შემდეგ, **ბარი ფერგიუსონს** უფრო სწრაფად რომ ემოქმედა, საგოლე მომენტი შეექმნებოდა, მაგრამ ვერ ივარგა. მატჩის ბოლოს რეალური მომენტები აღარ ყოფილა: "რეინჯერსმა" ორივე ფლანგიდან ორი კუთხური ჩააწოდა, რომელთაგანაც მეორე შემთხვევაში, ბურთი კუზენს მიუვიდა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა - ეს იყო და ეს. საბოლოოდ, ფრემ შოტლანდიელები უფრო გაახარა, ვიდრე კატალონიელები.

**უოლტერ სმიტი**: *"ჩემი ბიჭების თამაშით აღფრთოვანებული ვარ. მაქსიმუმი გავაკეთეთ, ფრით კმაყოფილი ვარ, რადგან დღეს ჩვენი მეტოქე თვით "ბარსელონა" იყო. ვფიქრობ, თუ "კამპ ნოუზეც" ასეთი თავდადებით ვიბრძოლებთ და გაგვიმართლებს კიდეც, ხელცარიელები არც ესპანეთიდან დავბრუნდებით."*

**ფრანკ რიიკაარდი**: *"ვფიქრობ, რომ ჩემმა გუნდმა საკმაოდ კარგად ითამაშა და მოგება შეეძლო, მაგრამ "რეინჯერსი", განსაკუთრებით მეორე ტაიმში, თავს ძალიან კარგად იცავდა."*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 2. რეინჯერსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 3. ლიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| 4. შტუტგარტი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

7 ნოემბერი

**ლიონი-შტუტგარტი**

**ბარსელონა-რეინჯერსი**

## F ჯგუფი

### დინამო–მანჩესტერი 2:4

**დინამო:** შოვკოვსკი, გიოანე (46. მილევსკი), დიახატი, გავრანჩიჩი, ნესმაჩნი, კორეა (83. როტანი), გუსევი, იუსუფი, ბანგურა, რინკონი, შაცკიხი (46. ბელკევიჩი).

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი (80. კუშჩაკი), ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ო'ში, ანდერსონი, გიგზი (80. სიმპსონი), კრისტიანო რონალდო, რუნი, ტევესი (73. ნანი).

**გოლები:** 0:1 ფერდინანდი (10), 0:2 რუნი (18), 1:2 რინკონი (34), 1:3 კრისტიანო რონალდო (41), 1:4 კრისტიანო რონალდო (68-პენ), 2:4 ბანგურა (78)

**მაყურებელი:** 38 000

**არბიტრი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, კიევის "დინამოს" მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს, "მანჩესტერს" კი, რომელიც ამ თამაშში, ცხადია, ფავორიტი გახლდათ, შეეძლო მშვიდად ეკონტროლებინა სიტუაცია, რადგან **სერ ალექს ფერგიუსონის** სამწყსოს ორივე თამაში მოგებული ჰქონდა. მატჩის დასაწყისი **იოჟეფ საბოს** გუნდს კარგს არაფერს უქადდა, რადგან მანკუნიანელებმა პირველივე წუთიდან აგრძნობინეს მეტოქეს, რომ მთელი მატჩის განმავლობაში მოედნის ბატონ-პატრონები იქნებოდნენ. ვერ ვიტყვით, რომ "მენიუმ" "დინამოს" შტურმი მოუწყო, უბრალოდ, "მანჩესტერი" თავიდანვე დაეუფლა უპირატესობას და აჩვენა, რომ ამ გუნდის კლასი "დინამოზე" გაცილებით მაღალია. შესაბამისად, თავიდანვე ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ინგლისელთა მხრიდან გოლის გატანა მხოლოდ დროის ამბავი იყო. ასეც მოხდა: მე-10 წუთზე სტუმრები დაწინაურდნენ.

კიეველთა მეკარე **შოვკოვსკი** ბოლო დროს ძალიან ცუდად რომ თამაშობს, ეს გულშემატკივარს კარგად მოეხსენება. **რიო ფერდინანდის** გოლშიც გამოცდილ მეკარეს მიუძღვის ბრალი: **გიგზის** ჩაწოდების შემდეგ, შოვკოვსკიმ კარი არ დატოვა და ბურთისთვის არ იბრძოლა, ფერდინანდმა კი "დინამოს" მცველებს დაასწრო და ზუსტი თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. გაშვებული გოლის შემდეგ მასპინძლები არ გააქტიურებულან, საბოს სამწყსოს ხეირიანი არაფერი გაუკეთებია. ალბათ, უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ უკრაინელებს "მანჩესტერელებმა" არ გააბედინეს არაფერი - ფერგიუსონის გუნდმა დომინირება განაგრძო. მე-18 წუთზე სტუმრებმა "დინამოს" მეორე გოლი გაუტანეს (**რუნი**), რითაც მატჩის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვიტეს. აღსანიშნავია, რომ უახლოეს 10 წუთში სტუმრებს ანგარიშის გაზრდა კიდევ არაერთხელ შეეძლოთ (რუნი, **რონალდო, ტევესი**). ამის შემდეგ, მანჩესტერელებმა, როგორც ჩანს, მიიჩნიეს, რომ ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და ოდნავ მოეშვნენ, რასაც **დიოგო რინკონის** საპასუხო გოლი მოჰყვა. დინამოელებმაც მხოლოდ შეტევაზე დაიწყეს ფიქრი და უკანა ხაზი მოუშიშვლდათ, რამაც "მანჩესტერს" ძალიან სახიფათო კონტრშეტევების განხორციელების შანსი მისცა. სწორედ ერთ-ერთ ასეთ კონტრიერიშს მოჰყვა მესამე გოლი, რომლის ავტორიც რონალდოა (გიგზის პასით).

მეორე ტაიმში უკრაინული კლუბი მდგომარეობის გამოსწორებას ეცადა, მაგრამ უშედეგოდ. ცხადი გახდა, რომ როცა "მანჩესტერი" გააქტიურდებოდა, კიეველებს მეტოქის შეტევების მოგერიების შანსი არ ჰქონდათ. ჯერ **ანდერსონმა** მოარტყა ძელს, მერე რუნის დარტყმას **დიაკიტე** გადაელობა, ამის შემდეგ კი, შოვკოვსკიმ ტევესისა და რუნის დარტყმები მოიგერია. 58-ე წუთზე, ტევესის დარტყმის შემდეგ ბურთი **გავრანჩიჩს** ხელზე მოხვდა და მსაჯმაც პენალტი დანიშნა, რომელიც რონალდომ გამოიყენა. 78-ე წუთზე კი, **ბანგურამ** აუღებელი დაურტყა **ვან დერ სარს**, რითაც უკრაინული კლუბი სამბურთიანი სხვაობით წაგებისგან იხსნა.

**იოჟეფ საბო**: *"პირველ ტაიმში ისე ვნერვიულობდით, რომ შეცდომას შეცდომაზე ვუშვებდით. სამწუხაროდ, "მანჩესტერი" ჩვენზე გაცილებით ძლიერია."*

სერ **ალექს ფერგიუსონი**: *"ორივე გუნდმა შემტევი ფეხბურთი ითამაშა, რაც ძალიან კარგია. იმედი მაქვს, რომ "დინამო" დიდ პრობლემებს ვერც მომდევნო მატჩში შეგვიქმნის. გასვლით თამაშში 4 გოლის გატანა დიდ მიღწევად მიმაჩნია."*

### რომა–სპორტინგი 2:1

**რომა:** დონი, პანუჩი, ჟუანი, მექსე, ტონეტო, კასეტი, დე როსი, პისარო, მანსინი (87. სისინიო), ჟიული (73. ბრიგი), ტოტი (35. ვუჩინიჩი).

**სპორტინგი:** ტიაგო, აბელი, რონი (77. პუროვიჩი), ტონელი, ჟოაო მუტინიო, ვუკჩევიჩი (71. პარედესი), რომანიოლი, ველოსო, იზმაილოვი (81. სელსინიო), ლიდსონი, დიალო.

**გოლები:** 1:0 ჟუანი (15), 1:1 ლიდსონი (18), 2:1 ვუჩინიჩი (70)

*48-ე წუთზე მანსინიმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**მაყურებელი:** 30 000

**არბიტრი:** ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

"რომამ" თამაში, როგორც საერთოდ იტალიურ კლუბებს სჩვევიათ, მეტოქის დაზვერვით დაიწყო და რაკი შეტევებით თავს არც პორტუგალიელები იკლავდნენ, შედეგად ის მივიღეთ, რომ პირველი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი მხოლოდ მე-8 წუთზე შეიქმნა, როცა **ვუკჩევიჩის** დარტყმის შემდეგ, **დონიმ** ბურთი უხერხულად მოიგერია, მაგრამ რომაელმა მცველებმა მომენტი განმუხტეს. "რომას" პირველივე მომენტი კი, ძალიან სახიფათო გახლდა: **პისაროს** ჩაწოდების შემდეგ, **მექსეს** მე-13 წუთზე შეეძლო გატანა, მაგრამ ვერ ივარგა. სამაგიეროდ, ორ წუთში, იმავე პისაროს ჩაწოდებას **ჟუანი** გამოეხმაურა და ბურთი თავით **ტიაგოს** კარში გადაგზავნა. მაგრამ იტალიელებმა უპირატესობა დიდხანს ვერ შეინარჩუნეს: მე-18 წუთზე **ლიდსონმა** წონასწორობა აღადგინა (**აბელის** პასით). 35-ე წუთზე **ფრანჩესკო ტოტი** შესაცვლელი გახდა - რომაელთა კაპიტანმა ტრავმა ჯერ კიდევ მატჩის დასაწყისში მიიღო (ლიდსონთან შეჯახებისას), მაგრამ თამაშის გაგრძელება სცადა, თუმცა 35-ე წუთზე შეცვლა ითხოვა. **ლუჩანო სპალეტიმ** მის ნაცვლად თამაშში **ვუჩინიჩი** ჩართო, რომელმაც მოგვიანებით გამარჯვების გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმი, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და უკვე 47-ე წუთზე, **მანსინიმ** ვუჩინიჩის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა (ტიაგომ აუღო). მანსინის შეცდომის გამოსწორების შანსი მიეცა, როცა "სპორტინგის" მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა. ამის შემდეგ კი სტუმრებმაც შექმნეს სახიფათო მომენტი - პორტუგალიელთა დაწინაურება **იზმაილოვს** შეეძლო. ვუჩინიჩს გამარჯვების გოლი ულამაზესი გამოუვიდა: ჯერ აბელი გააცურა, მერე **ტონელი**, რის შემდეგაც ტექნიკური დარტყმით, ტიაგო უშანსოდ დატოვა. ამრიგად, "სპორტინგი" ვალდებულია, მომდევნო ტურში "რომას" შინ მოუგოს, რათა მერვედფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნოს.

**ლუჩანო სპალეტი**: *"უმნიშვნელოვანესი თამაში მოვიგეთ. კარგია, რომ გაშვებული გოლის შემდეგ შოკში არ ჩავვარდით. დარწმუნებული ვიყავი, რომ მეორე გოლს აუცილებლად გავიტანდით."*

**პაულუ ბენტუ**: *"წაგებას უიღბლობას ვაბრალებ. ძალიან კარგად ვითამაშეთ, მაგრამ არ გაგვიმართლა. ლისაბონში დავამტკიცებთ, რომ მეტოქეს არაფრით ჩამოუვარდებით."*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| 2. რომა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 3. სპორტინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 4. დინამო | 3 | 0 | 0 | 3 | 3-8 | 0 |

7 ნოემბერი

**მანჩესტერი-დინამო**

**სპორტინგი-რომა**

CHAMPIONS LEAGUE
ეროვნული ბიბლიოთეკა

## G ჯგუფი

**ცსკა-ინტერი 1:2**

**ცსკა:** მანდრიკინი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი (45. გრიგორიევი), კარვალიო, ალდონინი, რაჰიმიჩი, კრასიჩი, დუდუ (42. ედუარდო/76. იანჩიკი), ჟირკოვი, ჟო.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ძანეტი, კორდობა, სამუელი, მაქსველი, დაკური (77. სოლარი), ვიეირა (17. სტანკოვიჩი), კამბიასო, ფიგუ, იბრაჰიმოვიჩი, კრესპო (62. კრუსი).

**გოლები:** 1:0 ჟო (32), 1:1 კრესპო (52), 1:2 სამუელი (80)

**მაყურებელი:** 25 000

**არბიტრი:** მაიკ რაილი (ინგლისი)

ცსკა-მ პირველ ტაიმში კარგად ითამაშა და 1:0 მოიგო. ეს არ იყო სენსაციური შედეგი, რადგან "ინტერს" სხვა დროს უარესადაც უთამაშია. შესაძლოა, არმიული მექანიზმი ორი წამყვანი მოთამაშის, **დუდუსა და ალექსეი ბერეზუცკის** ტრავმებმა მოშალა. ყოველ შემთხვევაში, მეორე ტაიმის დასაწყისშივე **კრესპომ** ანგარიში გაათანაბრა. "ნერაძურის" მეორე გოლიც არგენტინული იყო: **სამუელმა** იმ **ფიგუს** პასით შეაგდო, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში მე-100 მატჩს ატარებდა. მაგრამ ეს უფრო ცსკა-ს მეკარე **მანდრიკინის** "დამსახურება" იყო, ვიდრე გოლის ავტორის...

ტრავმებზე თუ ვსაუბრობთ, მაშინ **ვიეირაც** უნდა ვახსენოთ. "ინტერმა" გაცილებით ადრე დაკარგა ნახევარდაცვის მთავარი ფიგურა. ამ მომენტისთვის რუსეთის ჩემპიონი უკვე ფლობდა უპირატესობას, თუმც **ვაგნერ ლავის** არყოფნის გამო, არმიელთა თავდასხმას აშკარად სიმწვავე აკლდა. 32-ე წუთზე **ვალერი გაზაევის** გუნდს მაინც გამოუვიდა საგოლე შეტევა. **კარვალიომ ჟოს** გადააწოდა, ამან თავგზა აუბნია **კორდობას**, სამუელმა კი პარტნიორი ვერ დააზღვია და ფორვარდმა ბურთი შორეულ კუთხეში ჩასვა.

მერე იყო რამდენიმე ორმხრივი შეტევა. იმავე ფიგუს პასით, **იბრაჰიმოვიჩმა** მანდრიკინს თავური დაურტყა, მაგრამ ამ ეპიზოდში ცსკა-ს კიპერს არაფერი შეშლია. შემდეგ **ალდონინმა** ხელსაყრელ სიტუაციაში მოუქნელად ითამაშა, ტაიმის ბოლოს კი **რობერტო მანჩინის** შეგირდები რამდენჯერმე მიუხტნენ მასპინძელთა დაცვას, მაგრამ უშედეგოდ.

ალბათ, გადამწყვეტი მაინც კრესპოს გოლი იყო, რადგან ამის შემდეგ "ნერაძურის" უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია. ეს გოლიც, ისევე, როგორც ბოლო, ფაქტობრივად, ნაჩუქარი იყო. **კრასიჩმა** უხეიროდ მოიგერია ბურთი და კრესპო მეკარესთან მარტო დარჩა. ზუსტი დარტყმა დაბალ კუთხეში და 1:1. ბოლოს კი მანდრიკინმა ულალატა თავისიანებს. სამუელის თავურს ის ადგილზე კი დახვდა, მაგრამ ბურთი ხელიდან აუცურდა და კარში აღმოჩნდა. ეს იყო დარტყმა, რის შემდეგაც ცსკა-მ გონს მოსვლა ველარ შეძლო.

მაგრამ, რა თქმა უნდა, აქ მარტო მეკარის ლაფსუსებში არ არის საქმე. მეორე ტაიმი "ინტერმა" ძლიერად ჩაატარა. მოკლედ, სად "ინტერი" და სად ცსკა!

**ვალერი გაზაევმა** მატჩი ასე შეაფასა: *"პირველი ტაიმი კარგად ვითამაშეთ, მომენტებიც შევქმენით, გოლიც გავიტანეთ... მაგრამ მეორე ნახევარში "ინტერმა" მკვეთრად მოუმატა და დამსახურებულად მოიგო. სამწუხაროდ, იძულებითი შეცვლების გაკეთება მოგვიხდა და ამან სერიოზულად გვაზარალა. შეცდომებიც დავუშვით, თან ისეთი შეცდომები, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში არავინ გაპატიებს. ვაგნერ ლავი რომ გვყოლოდა, უფრო უკეთ ვითამაშებდით და, შეიძლება, დადებითი შედეგიც მიგვეღო. ახლა სამი თამაში დარჩა და დარჩა შანსიც, მაგრამ რეალისტები ვიყოთ და ვაღიაროთ, რომ რაიმე განსაკუთრებულს არ უნდა ველოდოთ".*

**რობერტო მანჩინი:** *"ეს უაღრესად საჭირო გამარჯვებაა. ცსკა ძალიან კარგი გუნდია. თუმცა ჩვენ მოვახერხეთ უპირატესობის ხელში ჩაგდება და მეტის გატანაც შეგვეძლო. ყოველთვის საჭიროა ისეთი ფორვარდი, რომელსაც საჭირო მომენტში თამაშის მსვლელობის შეცვლა შეუძლია. სწორედ ასეთი ფორვარდია კრესპო. ჯგუფიდან გასვლა ჯერ არ გაგვინაღდებია, მაგრამ მიზანთან ახლოს ვართ. დღეს დიდი ნაბიჯი გადავდგით ამ მიმართულებით. საკმარისია, საშინაო მატჩები მოვიგოთ და ყველაფერი კარგად იქნება".*

**ეინდჰოვენი-ფენერბაჩე 0:0**

**ეინდჰოვენი:** გომეში, კრომკამპი, ადო (58. ზონეველდი), მარსელისი, სალსიდო, პერესი, სიმონსი, მენდესი (58. კუვერმანსი), ბაკალი (78. აისატი), ფარფანი, ლაზოვიჩი.

**ფენერბაჰჩე:** ვოლქან დემირელი, გოქანი, ლუგანო, ედუ, რობერტო კარლოსი, დენიზი, ალექსი (35. ბილგინი), აურელიო, ვედერსონი, დეივიდი, სემიჰი (72. ქაზიმი).

**გაძევება:** დეივიდი (64. ფენერბაჰჩე)

**მაყურებელი:** 33 000

**არბიტრი:** ჰოვარდ უები (ინგლისი)

"ფენერბაჰჩე" ერთადერთი გუნდია ამ ჯგუფში, რომელსაც თამაში არ წაუგია. მეორე ტაიმში თურქებს, თითქოს, ცუდად უნდა წასვლოდათ საქმე. "ეინდჰოვენმა" დაწოლას უმატა და ამას დაერთო "ფენერის" ფორვარდ **დეივიდის** გაძევებაც. თუმცა ლეგენდარული **ზიკოს** შეგირდთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დაგეგმილ ქულას (ბრაზილიელი მწვრთნელი მატჩამდე აცხადებდა, რომ ფრეზე გააკეთებდა აქცენტს) განსაკუთრებული საფრთხე არ შექმნია. ეს კი არა, სტუმრებმა თამაში უკეთ დაიწყეს და დიდხანს უპირატესობასაც ფლობდნენ. მერე მომენტები "ეინდჰოვენს" ჰქონდა. **დენიზ ბარიშმა** ფორვარდ **ლაზოვიჩს** ბოლო მომენტში ააცალა ბურთი ფეხიდან, ცოტა ხანში კი **მეჰმეთ აურელიომ კრომკამპის** თავური კარის ხაზიდან გამოიტანა. ამას მოჰყვა "ფენერის" პასუხი და იმავე დეივიდის დარტყმულმა ძელს სანტიმეტრებში ჩაუქროლა...

მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა. პსვ-ს შეტევებს სტუმრები მწვავე კონტრდარტყმებით პასუხობდნენ. **რონალ კუმანი** იძულებული გახდა, შეტევა გაეძლიერებინა. მან ორმაგი შეცვლა გააკეთა. **ზონეველდი** და **კუვერმანსი** აქტიურად ჩაერთვნენ თამაშში. სწორედ პირველ მათგანზე დაჯარიმდა დეივიდი, რომელსაც წითელი ბარათი აუფრიალეს. მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, თამაშის ბოლომდე "ეინდჰოვენს" მხოლოდ ერთი მწვავე შეტევა გამოუვიდა, როცა კუვერმანსმა დასცხო თავური, მაგრამ ესეც უშედეგო მცდელობა აღმოჩნდა.

0:0 აბსოლუტურად კანონზომიერი შედეგია და ეს აღიარა **რონალდ კუმანმაც**: *"ვთვლი, რომ შედეგი სამართლიანია. ტემპი არ იყო მაღალი იმიტომ, რომ არბიტრი ხშირად აჩერებდა თამაშს. მთლიანობაში, ჩემს გუნდს ცუდად არ უთამაშია, მაგრამ აშკარად გვიჭირდა შეტევის ორგანიზების მხრივ. მატჩის მიწურულს, რაც შეგვეძლო, მოვუმატეთ ტემპს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა".*

**ზიკო:** *"ქულით კმაყოფილი ვარ. კარგად ვითამაშეთ. მთავარი ის იყო, რომ მეტოქის სახიფათო ფორვარდები გავანეიტრალეთ. ჩინებულად გამოვიყურებოდით დაცვაში და გოლის გატანის კარგი შანსებიც გვქონდა... კარგი შანსი გვაქვს საიმისოდაც, რომ ჯგუფიდან გავიდეთ. ჩვენი უპირატესობა ისაა, რომ დარჩენილი სამი მატჩიდან ორს შინ გავმართავთ. ეს აუცილებლად მოსაგები თამაშებია. ასე რომ, ჩვენი ბედის ჩვენსავე ხელშია".*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 2. ფენერბაჩე | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 3. ეინდჰოვენი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 4. ცსკა | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 | 1 |

7 ნოემბერი

**ფენერბაჩე-ცსკა**

**ინტერი-ეინდჰოვენი**



ცსკა-ინტერი. ლუიშ ფიგუმ ჩემპიონთა ლიგაში მე-100 მატჩი ჩაატარა

## H ჯგუფი

**სევილია-სტიაუა 2:1**

**სევილია:** პალოპი, დანიელ ალვეში, მოსკერა, დრაგუტინოვიჩი, ადრიანო კორეია, ნავასი, პოულსენი, კაპელი (85. მარტი), კეიტა, ლუიშ ფაბიანო, კანუტე (71. რენატო).

**სტიაუა:** საპატა, გოიანი, მარინი, ემეგარა, რადა, ნიკოლიცა, დიკა (46. ბადეა), პეტრე, იაკობი (71. ზაჰარია), სურდუ (46. ნეაგა), კროიტორუ.

**გოლები:** 1:0 კანუტე (5), 2:0 ლუიშ ფაბიანო (17), 2:1 პეტრე (63)

**მაყურებელი:** 31 569

**არბიტრი:** რობერტო როსეტი (იტალია)

ამ ჯგუფში ყველაფერი გარკვეულია, თუმც საგზურების ოფიციალური გაფორმებაა საჭირო. "არსენალსა" და "სევილიას" პლეიოფში მოხვედრას ვერავინ დაუბლოკავს. "სტიაუა" და "სლავია" ამ დონის გუნდები რომ არ არიან, ეს შედეგებიდანაც ჩანს. თუმც რუმინელებმა, მეორე ტაიმში, სევილიური კლუბი ცოტათი მაინც ანერვიულეს. სხვათა შორის, "სანჩეს პისხუანთან" "სტიაუას" ლამაზი მოგონებები აკავშირებს. სწორედ ამ არენაზე დაამარცხა რუმინეთის მაშინდელმა ჩემპიონმა მრისხანე "ბარსელონა" და ევროპის ზეპრესტიჟული საკლუბო ჯილდო პირველად და ჯერჯერობით, უკანასკნელად მოიგო...

**ხუანდე რამოსის** მთავარი მოთხოვნა სწრაფი გოლი იყო და **კანუტემ** ეს დავალება "ხუთიანზე" შეასრულა. გოლი ასე იშვა: **კეიტამ** საკუთარ საჯარიმოში ორთაბრძოლა მოიგო და ახალგაზრდა გარემარბი **დიეგო კაპელი** ფლანგიდან გაიყვანა გარღვევაზე, ამან კი კანუტეს "დაუხატა" და ანგარიშიც გაიხსნა. "სევილიის" უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. თუ პირველ გოლს აფრიკული ფესვები ჰქონდა, მეორე უკვე ბრაზილიური გამოდგა. **დანიელ ალვეშმა** ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ **ლუიშ ფაბიანოს** დამაგვირგვინებელი დარტყმა შეესრულებინა - 2:0.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შესული **ნეაგა პეტრეს** საპასუხო გოლის გატანაში დაეხმარა. ამის შემდეგ, გარკვეული ხნით, უპირატესობა ბუქარესტული გრანდის ხელში გადავიდა, მაგრამ "სევილიამ" მკაცრად მიუთითა მეტოქეს, რომ უპირატესობის დათმობას არ აპირებდა. მატჩის დასკვნით ნაწილში უეფას თასის ბოლო გამარჯვებულს კიდევ შეეძლო გოლების შეყრა, მაგრამ 3 ქულისთვის 2:1-იც საკმარისი იყო.

რამოსმა მცირედ გააკრიტიკა თავისი ფეხბურთელები - ორის გოლის შემდეგ თამაში მოთავებულად ჩათვალეს, მოდუნდნენ და მეტოქის გალაღების საშუალება მისცესო: *"სხვა დროს ეს აღარ უნდა მოხდეს, რადგან ლიგაში ჩვენ შორს ვაპირებთ წასვლას და მერე უფრო ძლიერ გუნდებთან მოგვიწევს თამაში. თუ ბოლომდე არ ვიბრძოლეთ, ასეთ მოდუნებას არავინ გვაპატიებს".*

**არსენალი-სლავია 7:0**

**არსენალი:** ალმუნია, კლიში, გალასი, კოლო ტურე, სანია, ფაბრეგასი, ფლამინი (63. ჟილბერტო სილვა), გლები (63. როსიცკი), უოლკოტი, ებუე, ადებაიორი (63. ბენდტნერი).

**სლავია:** ვანიაკი, ტავარეში (63. ბელაიდი), ჰუბაჩეკი, შვეცი, პუდილი, სუჩი, კრაიჩიკი, ივანა (56. ვოლეშაკი), კალივოდა (46. იაბლონსკი), შენკერიკი, ვლჩეკი.

**გოლები:** 1:0 ფაბრეგასი (5), 2:0 ჰუბაჩეკი (24-საკ. კარში), 3:0 უოლკოტი (41), 4:0 გლები (51), 5:0 უოლკოტი (55), 6:0 ფაბრეგასი (58), 7:0 ბენდტნერი (89)

**მაყურებელი:** 59 621

**არბიტრი:** სტეფანო ფარინა (იტალია)

...მატჩი, რომელსაც კომენტარი არ სჭირდება. "არსენალმა", რომელმაც ყველა მიმდინარე ტურნირში ზედიზედ მე-12 გამარჯვება მოიპოვა, ბრწყინვალე თამაში აჩვენა. იშვიათია შემთხვევა, როცა ესა თუ ის გუნდი ერთნაირი ალმაფრენით ირჯება როგორც შინაურ, ისე ევროსარბიელზე. **არსენ ვენგერის** კრებული სწორედ ეს იშვიათი გამონაკლისია. ჯერჯერობით, ამ გუნდის ცქერა ერთი სიამოვნებაა. მერე კი ვნახოთ, "მეთოფეებს" ახალგაზრდული კრებული ჰყავთ და მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურობის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებათ. ვენგერის მთავარი ამოცანაც ის არის, რომ მოსალოდნელი ჩავარდნები გუნდს მაქსიმალურად უმტკივნეულოდ გადაატანინოს. და კიდევ: გამოვყოფდით ახალგაზრდა **თეო უოლკოტს**, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში პირველი გოლები გაიტანა.

**არსენ ვენგერმა** ასეთი კომენტარი გააკეთა: *"დღეს კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ თამაშიდან თამაშამდე პროგრესის გზით მივდივართ. მაღალი რიტმი, ეფექტური კომბინაციები... ბიჭები თამაშისგან დიდ სიამოვნებას იღებდნენ და ამ სიამოვნებას მაყურებელსაც ანიჭებდნენ. შეიძლება, შიგა და შიგ, ვჭარბებდით კიდეც ინდივიდუალური თამაშით, მაგრამ სამაგიეროდ, ტექნიკური ფეხბურთის დემონსტრირება მოვახდინეთ. არ უნდა დაგვავიწყდეს პრაგმატიზმიც. დღეს თითოეულ ფეხბურთელს უნდა მივულოცო კარგი თამაში. არაერთხელ მითქვამს, რომ ამ ფეხბურთელებისგან კიდევ მეტს უნდა ველოდოთ, რადგან ისინი ჯერ ძალიან ახალგაზრდები არიან. მათ ყველაფერი წინ აქვთ".*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 3 | 3 | 0 | 0 | 11-0 | 9 |
| 2. სევილია | 3 | 2 | 0 | 1 | 6-6 | 6 |
| 3. სლავია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-12 | 3 |
| 4. სტიაუა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-5 | 0 |

7 ნოემბერი

**სლავია-სევილია**

**სტიაუა-არსენალი**



არსენალი-სლავია. თეო უოლკოტმა ჩემპიონთა ლიგაში პირველი გოლები გაიტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



გიორგი ცინცაძე (8)

# როკი ლატვიაში

**გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკმა" მიმდინარე სეზონი წინასთან შედარებით, სუსტად დაიწყო. თუ შარშან "როკერები" ბალტიის ლიგაზე მხოლოდ გრანდებთან "ლიეტუვოს რიტასთან" და "ჟალგირისთან" მარცხდებოდნენ, წლეულს ოთხ მატჩში მესამე მარცხი იწვნიეს. ამჯერად ცინცაძის თანაგუნდელებმა ლატვიაში ასკ-სთან წააგეს - 59:78.

ესტონელები მასპინძლებმა პირველივე ტაიმის შემდეგ უშანსოდ დატოვეს - დიდ შესვენებაზე 18-ქულიანი ჩამორჩენით (28:46) გაუშვეს.

საინტერესოა, რომ "როკის" რიგებში ერთადერთმა კალათბურთელმა მიაღწია 10-ქულიან ნიშნულს - **ვალო აალინგუმ** 10 ქულა ჩააგდო. **გიორგი ცინცაძე** მას ორით ჩამორჩა, თუმცა მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით ბუ საუკეთესო "როკერი" იყო - მან მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო, 5-დან 4 ორქულიანი ჩააგდო და 8 ქულის გვერდით 5 შედეგიანი გადაცემა, 2 ჩაჭრა და 1 მოხსნა ჩაიწერა. ეს ყველაფერი გიორგიმ 26 წუთში მოასწრო.

გუნდის წარუმატებელი გამოსვლის "წყალობით", ცინცაძის მონაგარი ყურადღებას ნაკლებად იქცევს, თუმცა ოთხი მატჩის ჯამში ჩვენიანს ურიგო სტატისტიკა არ აქვს: საშუალოდ 28.3 წუთში 9.8 ქულა (ორუქლიანების 56.7 პროცენტს იყენებს), 4.3 მოხსნა, 3.3 პასი, 1.3 ჩაჭრა, 0.3 დაფარება და 2.3 შეცდომა.

მორიგ შეხვედრას "ტარტუ როკი" შინ "ვალმეირას" წინააღმდეგ 27 ოქტომბერს ჩაატარებს.

# ბექა და ნოდარი

**ლიტვის** მეორე ლიგაში (NKL) მოასპარეზე გუნდებმა 6 ტური მიილიეს. ამ შეჯიბრებაში ორი ჩვენიანი თამაშობს - გამთამაშებელი **ბექა ნივნივაძე** და ფორვარდი **ნოდარ შენგელია**. ისინი ორი წელიწადი მხარდამხარ იცავდნენ საქარველოს კადეტთა ნაკრების ღირსებას. ამჯერად კი ერთმანეთის კონკურენტები არიან - ნივნივაძე "ატლეტასში" თამაშობს, შენგელია - "აკადემიაში" (მარჩულიონისის).

ბექა მოედანზე საშუალოდ 12.2 წუთს ატარებს, 5.33 ქულას, 2.0 მოხსნასა და 4.7 პასს აგროვებს, რაც ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის. პასების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით იგი ლიგაში მეშვიდეა.

მიმდინარე სეზონში ნივნივაძემ საუკეთესო მატჩი "ბრემენას" წინაალმდეგ კაუნასში ჩაატარა: 21 წუთში 5 ქულა, 8 პასი და 3 მოხსნა მიითვალა. მისმა "ატლეტასმა" მეტოქე 85:59 დაამარცხა.

კაუნასელებს 6 შეხვედრიდან 4 აქვთ მოგებული და სატურნირო ცხრილში მე-4 პოზიციაზე იმყოფებიან. მათ ხუთი საფეხურით ჩამორჩება ნოდარ შენგელიას "აკადემია" (3 მოგება).

ნოდარი გასულ სეზონშიც აკადემიკოსთა ღირსებას იცავდა და მწვრთნელის ნდობა უკვე მოპოვებული აქვს - საშუალოდ 19 წუთს თამაშობს, 6.7 ქულას, 4.0 მოხსნასა და 0.7 შედეგიან გადაცემას აკეთებს. როგორც ჩანს, შენგელიამ ეს სეზონი ჩვეულად ვერ დაიწყო. ამის თქმის საფუძველს გასულ წელს მის მიერ შესრულებული ორმაგი დუბლები გვაძლევს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# უვნებელი ნაგება

**უკრაინის** ჩემპიონატში "კრივბასბასკეტის" კალათში ჩაგდებული 16 ქულის შემდეგ **მანუჩარ მარკოიშვილმა** თასის გათამაშებაში მისთვის უჩვეულოდ, არაზუსტად სტყორცნა. "კიევი"-"ბუდიველნიკის" (74:86) დაპირისპირებაში მანუმ 21 წუთში 4 ორქულიანი და 7 სამიანი ისროლა და ყველა ააცილა, თუმცა, მატჩის ოქმში, ქულების გრაფაში ნულიანის თავიდან ასაცილებლად ორიდან 1 საჯარიმო ზუსტად შეასრულა. 1 ქულის გვერდით მანუს 3 შედეგიანი გადაცემა და ამდენივე მოხსნა უწერია.

სამაგიეროდ, რაც ისროლა, ყველაფერი ჩააგდო უკრაინელთა **არტურ დროზდოვმა** და 20 ქულას მოუყარა თავი. მანუჩარ მარკოიშვილის კონცენტრაციის ნაკლებობა შეიძლება ერთ ფაქტს დაბრალდეს. "ბუდიველნიკთან" პირველ მატჩში დედაქალაქელებმა 106:63 იმარჯვეს და ნაადრევად გადაწყვიტეს ნახევარფინალში გამსვლელის ბედი. ასე რომ, კიევში ანგარიშით 74:86 დამარცხება ტრაგედია ნამდვილად არ ყოფილა. თუმცა, დედაქალაქელთა მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი საქმეს სერიოზულად უყურებს: *"ასე თამაში არ შეიძლება! პირველ ტაიმში მხოლოდ ორი პერსონალური შენიშვნა გვქონდა, რაც აგრესიულობის ნაკლებობაზე მიუთითებს. "ბუდიველნიკთან" დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, მეორე მატჩისთვის სათანადოდ განწყობა ვერ მოვახერხეთ".*

უკრაინის თასის ფინალური ოთხეულის გუნდები კიევში 8-9 თებერვალს შეიკრიბებიან, ჯერ ნახევარფინალს ითამაშებენ, შემდეგ ფინალს. "კიევის" მეტოქე ჯერ არ გარკვეულა.

კალათბურთი



ქართველები თურქეთში: ქვაცაბაია, შაფათავა, ყავლაშვილი

# ყავლაშვილის ერთი მოგება

**20 წლის თინათინ ყავლაშვილმა** (609) სტამბოლის საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) ერთ წარმატებას უკვე მიაღწია, ხუთი ქართველი ჩოგბურთელიდან ერთადერთმა შეძლო ძირითად ბადეში გასვლა, თუმცა, როგორც ჩანს, თინათინს მხოლოდ ამ მიღწევამ აღარ დააკმაყოფილა - პირველ წრეში მან მოულოდნელად აჯობა მსოფლიოს 236-ე ჩოგან გერმანელ **საბინე ლისიცკის** - 3:6, 6:4, 6:3. მარცხი გერმანელმა იდაყვის ტრავმას დააბრალა. მერვედფინალში ყავლაშვილი ტურნირზე მე-8 ნომრად განთესილ 20 წლის რუმინელ **მონიკა ნიკულესკუს** (208) შეხვდა. ერთი საინტერესო დეტალი - ამ ჩოგბურთელებს ერთმანეთში 2005 წლის მაისში უთამაშიათ, მაშინ ყავლაშვილმა სამ სეტში დაამარცხა ნიკულესკუ და ნახევარფინალში მონიკას უფროს და **გაბრიელასთან** წააგო. ამ ტურნირის შემდეგ ყავლაშვილს ორ სეზონზე მეტი გაუცდა. წუხელ ნიკულესკუს უპირატესობა აშკარა იყო - 1:6, 3:6.

წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალში **ეკა გორგოძისა** და **სოფიო ქვაცაბაიას** დუეტი არ გამოუცხადდა პირველ ნომრად განთესილ ბოსნიელ **იუგიჩსა** და თურქ **სენოღლუს**. მიზეზი გორგოძის ტრავმაა. **ოქსანა კალაშნიკოვასა** და თურქი **პემრა ოზგენის** წყვილმა კი სლოვენიური დუეტი (**ზეკ-პეშკირიჩი, მაჟერიჩი**) დაამარცხ ა- 4:6, 6:4, 10:5. დღეს, ნახევარფინალში ოქსანა და პემრა ჰოლანდიურ წყვილს (**კილსდონკი, ტამაელა**) დაუპირისპირდებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## თარიღი

**ბორის ანტონოვი.** დაიბადა 24.10.1924, თბილისი. სასტენდო სროლა (მრგვალი სტენდი). ევროპის ჩემპიონი გუნდურ პირველობაში (1955), ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1955), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1955, 57), ორგზის მეორე (1954, 56) და მესამე (1957) პრიზიორი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ანზორ ქიბროწაშვილი.** დაიბადა 25.10.1939, ახმეტა. ძიუდო (93 კგ). მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1965), ევროპის ორგზის ჩემპიონი პირად (1962, 65) და ოთხგზის ჩემპიონი გუნდურ (1962, 63, 66, 67) პირველობაში, სამგზს მეორე (1963, 67, 69) და მესამე (1966) პრიზიორი პირად ჩათვლაში. სსრკ ორგზის ჩემპიონი სამბოში (1966, 69). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრკ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ღირსების ორდენის კავალერი.

# მანუჩარ მარკოიშვილი: თბილისელი კიევში

**უკრაინულ** გაზეთებში ხშირად იწერება ქართველი ფეხბურთელების შესახებ, რადგან იქ არაერთი ჩვენიანი თამაშობს. ქართველი კალათბურთელის ინტერვიუ კი პირველად გაზეთმა "სეგოდნიამ" დაბეჭდა. როგორც მიხვდით, საუბარია მანუჩარ მარკოიშვილზე, რომელმაც უკრაინელ ჟურნალისტს სთხოვა, არა რუსულად, არამედ ინგლისურად ესაუბრა. "სეგოდნიას" წარმომადგენელ ალექსანდრე მუზიკას ისიც ეუცნაურა, რომ მანუჩარი საკუთარ წარმატებებზე საუბარს გაჩუმებას ამჯობინებდა.

**- უკრაინული ფეხბურთისგან განსხვავებით, ჩვენს კალათბურთში ქართველი ლეგიონერების ნაკლებობაა. რატომ?**

- ეს მეც ვიცი, მაგრამ კითხვაზე რატომ? - ვერ გიპასუხებთ. თუმცა, უკრაინაში თავს ეულად ნამდვილად არ ვგრძნობ, აქ კომფორტულად ვარ. ზოგჯერ თქვენს საუბარს ვერ ვიგებ, მაგრამ არც ესაა დიდი პრობლემა - თანაგუნდელები გადათარგმნაში მეხმარებიან. საერთოდ, ჩვენი მენტალიტეტი უკრაინულთან ძალიან ახლოსაა, თანაც კიევში ქართველი რესტორანიც აღმოვაჩინე...

**- ახალ გუნდზე რა აზრის ხარ?**

- შესანიშნავი. მწვრთნელ ტომო მაჰორიჩს კარგად ვიცნობ, მასთან სლოვენიაში მიმუშავია. კალათბურთელებზეც ბევრი მქონდა გაგებული და "კიევში" მომზადებული მოვედი. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ ბიჭები აქ ფულისთვის კი არა, თამაშისა და გამარჯვებისთვის მუშაობენ. მეც ჩემსას ვცდილობ (იღიმება), მაგრამ ჯერ ყველაფერი ისე არ გამომდის, როგორც მინდა. გასულ სეზონში სლოვენიის ჩემპიონატის სნაიპერთა ხუთეულში ვიყავი, "კიევში" კი ხშირად მიწევს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა, მაგრამ, ვფიქრობ, საკუთარ შესაძლებლობებს აქაურ ქომაგს მალე ვუჩვენებ.

**- უკრაინის ჩემპიონატზე რას იტყვი?**

- იგი ახლახან დაიწყო, მაგრამ მგონია, რომ უკრაინის პირველობის დონე სლოვენიისაზე ოდნავ მაღალია. ალბათ იმიტომ, რომ აქაურ გუნდებს მეტი მატერიალური მხარდაჭერა აქვთ.

**- ჯერ 21 წლისა ხართ, თუმცა მოასწარით საქართველოს, იტალიის, სლოვენიის ჩემპიონატებისა და ევროპის თასის მოგება!**

- როცა რაღაცას მოვიგებ, ვცდილობ, შემდეგში ამაზე აღარ ვიფიქრო. საკუთარი მიღწევების დათვლა არასწორად მიმაჩნია. კარიერას რომ დავამთავრებ, მედლებითა და თასებით მერე ვიამაყებ. ახლა მხოლოდ იმას ვფიქრობ, როგორ ვითამაშო და რა მოვიგო მომავალში.

**- საქართველოს ნაკრებში NBA-ელი ზაზა ფაჩულია და ევროპის დონის არაერთი ვარსკვლავი თამაშობს, მაგრამ A დივიზიონში ვერ ხვდებით. რატომ?**

- სათანადოდ მომზადებისთვის ერთი თვე საკმარისი არ არის. ვარჯიშებზე თითქოს ყველაფერი კარგადაა, მაგრამ მატჩებისას ბურთი ხელიდან გვივარდება. ამასთან, მწვრთნელის ტაქტიკის მიხედვით თამაში ზაზა ფაჩულიაზე ეწყობოდა, რაც იოლი ნამდვილად არ იყო...

**- კიევში გასასეირნებელი დრო გამონახე?**

- ცოტა დრო გამოვძებნე. აქ ძალიან ლამაზი გოგონები დადიან. თუმცა, არც საქართველოში არიან ნაკლებები.

**- ოჯახი ჯერ არ გყავს?**

- როგორ არა - მამა, დედა, ძმა... სამწუხაროდ, შინ ძალიან ცოტა დროს ვატარებ, ყველა კალათბურთელს ხომ წელიწადში მხოლოდ 2-3 თვე აქვს დასასვენებლად. საქართველოში რომ ჩავდივარ, ოჯახში მისვლას ვერ ვასწრებ, რომ ნაკრებში მეძახიან. ჩემებს ძალიან ვენატრები, ისევე როგორც მე - ისინი.



# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

# დროებითი პრეზიდენტი გოგი თოფაძე

პირველი გვერდიდან



ლერი ხაბელოვის (მარცხნივ) განცხადებას გიორგი გაბაშვილის მწვავე რეაქცია მოჰყვა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

სხდომა ლერი ხაბელოვმა გახსნა, რომელმაც ჯერ ბადრი პატარკაციშვილს გადაუხადა მადლობა ქართული სპორტისთვის გაწეული სამსახურისთვის, მერე კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორ პერე მიროს წერილი წაიკითხა.

"გავეცანით 2007 წლის 12 ოქტომბერს მოსულ არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის წერილს და მის გადაწყვეტილებას სეოკ-ის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

ვსარგებლობთ შემთხვევით და გამოვხატავთ გულწრფელ მადლიერებას მის მიმართ მთელი იმ ძალისხმევისა და საქმიანობებისთვის, რაც პრეზიდენტობისას განახორციელა საქართველოში ოლიმპიური და სპორტული მოძრაობის საკეთილდღეოდ და მადლობას მოვახსენებთ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან უწყვეტი თანამშრომლობისთვის.

გთხოვთ, სასწრაფოდ მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში შექმნილი დღევანდელი მდგომარეობისა და განვითარებული მოვლენების შესახებ. ასევე, იმის თაობაზეც, თქვენი ეოკ-ი რის გაკეთებას აპირებს სამომავლოდ ინსტიტუციონალური და იურიდიული თვალსაზრისით ოლიმპიური ქარტიისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წესდების შესაბამისად".

ამის საპასუხოდ სპორტისა და კულტურის მინისტრმა **გიორგი გაბაშვილმა** განაცხადა, რომ სოკ-ს ასევე გაეგზავნა უკლებლივ ყველა სპორტული ფედერაციის მიმართვა იმის თაობაზე, რომ მათ არ სურთ ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელად ბადრი პატარკაციშვილი, თუმცა სოკ-დან რა რეაქცია მოჰყვა ამ წერილს, ამაზე არაფერი უთქვამს. აქ ოლიმპიურმა ჩემპიონმა **რომან რურუამ** იკითხა, პატარკაციშვილი გადადგა თუ გადააყენესო.

ვიდრე მედიას დარბაზიდან გამოგვისტუმრებდნენ, მანამ ლერი ხაბელოვმა ერთი ხმაურიანი განცხადებაც მოასწრო: *"ამიხსენით, რატომ ვარ მთავრობისთვის მიუღებელი - 5-ჯერ მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი რომ გავხდი, იმიტომ, თუ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი - ოსი რომ ვარ"?* - იკითხა მან. ამ განცხადებას უმწვავესი რეაქცია მოჰყვა. გაბაშვილმა ხაბელოვს პოლიტიკურად ანგაჟირებული ფიგურა უწოდა და კატეგორიულად უარყო ეროვნული ნიშნით დაყოფა. იმ აურზაურში ერთი საინტერესო ფრაზაც გავიგონე - ლერი, რამდენჯერ გთხოვე, ეგ არ თქვა, ეგ მიშამ არ გაიგოსო! სამწუხაროდ, იმ დროს დარბაზი უკვე ჟურნალისტებით იყო სავსე, რომლებიც მეფარებოდნენ. ამიტომ ფრაზის ავტორი ვერც დავინახე, ვერც ხმაზე ვიცანი, ადრესატი კი, სავარაუდოდ, ხაბელოვი იყო, რადგან დარბაზში ლერი სხვა არავინ იყო. ასევე სავარაუდოდ, მიშაში ქვეყნის პრეზიდენტი იგულისხმებოდა.

ამ ხმაურიანი განცხადების შემდეგ მედია სასწრაფოდ დაგვითხოვეს დარბაზიდან. იქ მიმდინარე ამბებზეც კანტი-კუნტად, გარეთ გამოსული სხდომის მონაწილეთაგან ან ხმამაღალი ყვირილიდან თუ ვიგებდით. არადა, დარბაზში მდგომარეობა ხშირად იძაბებოდა, რასაც იქიდან გამოღწეული ხმები ადასტურებდა.

როგორც მერე გავიგეთ, ხაბელოვს თავიდანვე აღუთქვეს პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის შენარჩუნება, ალმასკომზე კამათი კი, ერთი შეხედვით, მარტივმა საკითხმა გამოიწვია - პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად ხაბელოვისთვის ეყარათ კენჭი თუ თოფაძისთვის. სეოკ-ის წესდებით, პრეზიდენტის გადადგომის შემთხვევაში მის მოვალეობას პირველი ვიცე-პრეზიდენტი ასრულებს, ანუ ეს უფლება კენჭისყრის გარეშე ხაბელოვს უნდა მინიჭებოდა. მონაწილეთა ერთი ნაწილი სწორედ ამას ითხოვდა. მაგალითად, **მამუკა ხაზარაძე** ამ ინიციატივით გამოვიდა კიდეც, მაგრამ მისი წინადადება არ მიიღეს და მანაც მოუცლელობის გამო მალევე დატოვა სხდომა. საბოლოოდ, კენჭისყრაზე ორივე კანდიდატურა დააყენეს და უფრო მეტი ხმა თოფაძემ მიიღო. არადა, აქამდე იგი მუდმივად იმეორებდა, რომ კანდიდატურას ხაბელოვის სასარგებლოდ მოხსნიდა.

სხდომის დამთავრების შემდეგ თოფაძე აშკარად უხასიათოდ გახლდათ. თავიდან იგი პრესასაც არ დაგველაპარაკა და აივანზე **ნონა გაფრინდაშვილი** გაიხმო. სამწუხაროდ, მათი საუბარი კარგად არ გვესმოდა, მაგრამ ერთი კი გავიგონეთ, როცა თოფაძე ამბობდა, მე მოვითხოვე პირველ პირთან შეხვედრის გარანტია, რადგან პირდაპირ ვუთხარი, მე მხოლოდ პირველ პირს ვენდობიო, მაგრამ ვერ მივიღეო. სამწუხაროდ, მოგვიანებით ამაზე საუბარი არც ერთმა არ ისურვა და ზუსტად ვერ გეტყვით, პირველ პირში ვინ იგულისხმებოდა, მაგრამ ვარაუდები კი შეიძლება. გაფრინდაშვილთან საუბრის შემდეგ თოფაძემ ხაბელოვთან პირისპირ ისურვა დარჩენა და რამდენიმე წუთი დახურულ კარს მიღმა ისაუბრეს. როგორც ზევით გითხარით, თოფაძემ 14 დეკემბრის შემდეგ პრეზიდენტად მუშაობის შესაძლებლობა გამორიცხა. ბუნებრივად გაგვიჩნდა კითხვა - ხელისუფლებამ რომ დაავალოს დარჩენა, მაშინ რას იზამს? ამაზე თოფაძემ განაცხადა, რომ იგი ხელისუფლებისთვის მიუღებელი კადრია და მის შემცვლელად სხვა კანდიდატს მოძებნიან.

მედიას თავისუფლად მუშაობის საშუალება სხდომის დამთავრების შემდეგ მოგვეცა და ბევრ რამეზე განმარტებები მაშინ მივიღეთ. სწორედ მაშინ გავარკვიეთ ხაბელოვის აღელვების მიზეზი - თურმე ეს მისი მისამართით საინფორმაციო საშუალებებში გაკეთებულ განცხადებებს გამოუწვევია, ბოლო წვეთი კი ერთ-ერთ გაზეთში სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურთან** გამოქვეყნებული ინტერვიუ გამხდარა, სადაც რესპონდენტი ამბობს, რომ ხაბელოვის პრეზიდენტად არჩევა ხალხის შეურაცხყოფა იქნება. თუმცა ნამგალაურს ამ სიტყვების ავტორობა სხდომაზევე უარუყვია.

სხდომის დამთავრების შემდეგ მის რამდენიმე მონაწილეს გავესაუბრეთ.

**კახა გენაძე, ალმასკომის წევრი, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი:** - სხდომაზე ლერი ხაბელოვმა თავისი კანდიდატურა წამოაყენა, ალმასკომის წევრთა უმრავლესობამ - გოგი თოფაძისა. საბოლოოდ არჩევნებში თოფაძემ გაიმარჯვა.

**- კი მაგრამ, იგი არ აპირებდა არჩევნებში მონაწილეობას...**

- არ ვიცი, გუშინ იგი რა მოსაზრებით ამბობდა უარს, მაგრამ დღეს ალმასკომის წევრთა უმრავლესობამ ასე დაავალა და მანაც მიიღო მონაწილეობა, ოლიმპიური მოძრაობა ჩიხში რომ არ შესულიყო. 14 დეკემბრამდე იგი შეასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას.

**ნონა გაფრინდაშვილი:** - ამ შედეგში ჩემთვის მოულოდნელი არაფერი ყოფილა - წინასწარ ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა. სხდომა იმიტომ გაჭიანურდა, რომ არ სურდათ წესდების მიხედვით ემოქმედათ და საკითხები მისი მოთხოვნებისამებრ განეხილათ. როგორც კი ამაზე შევთანხმდით, 5 წუთში დამთავრდა ყველაფერი. ალმასკომში ამ შედეგისთვის წინასწარ იყო მომზადებული სიტუაცია. თოფაძის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. იგი იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო.

**ლერი ხაბელოვი:** - არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ იმიტომ მივიღე, რომ დამენახებინა საზოგადოებისთვის, რომ ალმასკომი არაა თავისუფალი. სესიამდე დავრჩები პირველ ვიცე-პრეზიდენტად, მერე კი გადავდგები და დავტოვებ ოლიმპიურ კომიტეტს. ასევე დავტოვებ ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელის პოსტს, რომელიც პეკინში უნდა შემესრულებინა. არ მესმის, მომავალ სესიაზე რატომ უნდა შეიცვალოს წესდება - საამისო მიზეზს ვერ ვხედავ. ალბათ, იმიტომ, რომ ოლიმპიურ კომიტეტში საკუთარი მიზნები განახორციელონ.

**- ეროვნული ნიშნით დევნაზე ძალიან ხმამაღალი განცხადება გააკეთეთ და რამ მოგცათ ამის საფუძველი, რა რეალური მიზეზი გქონდათ საამისოდ?**

- ამის თქმის საშუალება იმ განცხადებებმა მომცა, რასაც ჩემი მისამართით ვისმენდი ტელევიზიით თუ ვკითხულობდი პრესაში. მე ის ოსი ვარ, რომელმაც საქართველოს დროშა არაერთხელ გავიტანე უცხოეთში და საქართველოს ჰიმნი ავაჟღერე და ვერ გავიგე, რატომ ვარ მიუღებელი ამ მთავრობისთვის? ისე არავინ გაიგოს, თითქოს საზოგადოებაზე ვლაპარაკობდე - მისგან მსგავსი რამ არასოდეს მიგრძვნია. მე მხოლოდ ხელისუფლებაზე ვსაუბრობ.

**გოგი თოფაძე:** - მართლაც ვამბობდი, რომ ხაბელოვს დავუჭერდი მხარს და კენჭისყრაზე ასეც მოვიქეცი - ხმაც მივეცი და ისიც ვთქვი, რომ იგი ღირსეული კანდიდატია და ეს თანამდებობა ეკუთვნის, როგორც ცნობილ სპორტსმენს და ცნობილ მოღვაწეს. მაგრამ ალმასკომის წევრებმა ასე გადაწყვიტეს. სესიის შემდეგ არც მე ვაპირებ ამ პოსტის დაკავებას. ამიტომ წესდებაში ცვლილებებია შესატანი, რათა ახალი პრეზიდენტი ავირჩიოთ.

**- ეთანხმებით ხაბელოვის განცხადებას, რომ ალმასკომის წევრები თავისუფალნი არ იყვნენ?**

- ალბათ, მართალია ხაბელოვი. ვფიქრობ, აქ მოსული ალმასკომის წევრები გაფრთხილებულნი იყვნენ, როგორც უნდა განვითარებულიყო მოვლენები.

**- თუ სესიის შემდეგ არ აპირებთ პრეზიდენტის მოვალეობის გაგრძელებას, მაშინ მოვალეობის დროებით შესრულებას რატომ დათანხმდით?**

- ისეთ რამეს მეკითხებით, რაც ყველასთვის ნათელია - რატომ ატყდა ეს ყველაფერი; რატომ გადააყენეს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი... ჩემთვის გაუგებარია, თავად რატომ დაწერა განცხადება გადადგომის თაობაზე. მისი გადაყენება წესდების აშკარა დარღვევით მოხდა, რისი გაპროტესტებაც შეეძლო. ამაზე ვილაპარაკეთ კიდეც, მაგრამ განცხადება დაწერა, რითაც ყველაფერი შეიცვალა.

## საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომს

ქალბატონებო და ბატონებო,

საფრანგეთში მივლინებით ყოფნის გამო, ვერ დავესწარი ალმასკომის წინა სხდომას, რომელზეც "ისტორიული" გადაწყვეტილება მიიღეთ და ბატონ ბადრი პატარკაციშვილს უფლებამოსილება შეუჩერეთ. პირველ რიგში, ნება მომეცით, სწორედ ეს აბსურდული გადაწყვეტილება გავაპროტესტო. რა თქმა უნდა, ამას არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს, მით უფრო, მას შემდეგ, რაც თავად ოლიმპიური კომიტეტის კანონიერმა პრეზიდენტმა გადაწყვიტა თანამდებობის დატოვება... მაგრამ ზოგიერთი თქვენგანისგან განსხვავებით, მე ჯერ კიდევ მაქვს სინდისი, ღირსება და თავმოყვარეობა, ამიტომაც ვაფიქსირებ ჩემს პოზიციას, თუნდაც დაგვიანებით...

და რახან ღირსება ვახსენე, გთხოვთ, ეს წერილი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომიდან ჩემი გასვლის განცხადებად ჩათვალოთ, ვინაიდან სწორედაც რომ პიროვნული ღირსების შემლახავად მიმაჩნია დღევანდელი შემადგენლობის ზოგიერთი წევრის გვერდით ყოფნა. ასეთი წერილების დამთავრება მიღებულია ფრაზით: "ჩემთვის პატივი იყო თქვენთან ერთად მუშაობა"... სამწუხაროდ, მე ამის თქმის საფუძველი არ გამაჩნია...

**ბიძინა ბარათაშვილი,**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის ყოფილი წევრი,
23.10.2007

ძიუდო

## ირანელები გორელი ჩემპიონების დარბაზში

ირანის ძიუდოისტთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ინდოეთში გასამართი აზიის თასისთვის ბოლო მოსამზადებელი ეტაპის გასავლელად გორი შეარჩია. სტუმართა ძიუდოისტებიც და მწვრთნელებიც კმაყოფილნი არიან გორელ კოლეგებთან ერთობლივი ვარჯიშებით და ფიქრობენ, რომ მოსამზადებელი ეტაპის ეს მონაკვეთი აუცილებლად დადებით როლს ითამაშებს ინდოეთში მათი წარმატებული ასპარეზობის საქმეში.

გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზში ვარჯიშისას ორი სიტყვით და უბრალო ჟესტიკულაციით აგვიხსნა ირანის ნაკრების მწვრთნელმა აქ ჩამოსვლის მიზეზი - მან მიგვითითა დარბაზში გამოკრული **კობა კურტანიძის, თემურ ხუბულურის, შოთა ჩოჩიშვილისა** და სხვა გორელ ფალავანთა სურათებისკენ და გვითხრა: „ჩემპიონ, ჩემპიონ, ჩემპიონ... ძიუდოს ასეთი დიდი ტრადიციების მქონე ქალაქში სავარჯიშოდ ჩამოსვლა რა გასაკვირია?"

მისასალმებელია, რომ ჩვენი ქვეყნის ძიუდოს ერთ-ერთი უპირველეს კერას კვლავაც დიდ პატივს სცემენ უცხოელები. ირანელებამდე გორს საბერძნეთის ძიუდოს ნაკრებიც სტუმრობდა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

## ერთი ოქრო და კიდევ ათი მედალი

**სამბო.** სერბულ სომბორში დამთავრებულ ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა მსოფლიო პირველობაზე წარმატებით გამოვიდნენ ქართველი სპორტსმენები. განსაკუთრებით ჭაბუკები, რომლებმაც ერთი ოქროს და 2-2 ვერცხლ-ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ახალგაზრდების მონაგარი 1 ვერცხლი და 5 ბრინჯაოა. ჭაბუკებში ჩემპიონი **ილია ტყეშელაშვილი** (56) გახდა, **ირაკლი მერკვილაძე** (81) და **მირიან გონჯილაშვილი** (+87) მეორეზე გავიდნენ, **გენადი ჩირგაძე** (52) და **გიორგი ბოლოთაშვილი** (87) - მესამეზე.

ახალგაზრდებში ვერცხლი **გიორგი გეჯაძემ** (48) მოიპოვა, ბრინჯაოს კი **გიორგი ბახტაძე** (62), **ბექა იმერლიშვილი** (68), **გიორგი იაძე** (74), **ნუგზარ ბადაშვილი** (100) და **ვახტანგ ზოიძე** (+100) დაეუფლნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

BTA Silk Road Bank
ქვარციტი QUARTZITE
LOYALCAPITAL group

ინტერვიუ მარკ იგანთან

# საქართველო უკვე ზედა დონეზეა

## ელიტაში გადასასვლელად საჭიროა...



მარკ იგანი (შუაში)

IRB-ის განვითარების კომიტეტის მენეჯერი, ირლანდიელი მარკ იგანი ერთ-ერთი იმ დიდმოხელეთგანია, რომელმაც ახლახან პარიზში გამართულ გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს ნაკრებსა და რაგბის კავშირის მუშაობაზე საქები სიტყვები არ დაიშურა. მისი და IRB-ის სხვა ფუნქციონერთა კეთილგანწყობაზე დიდადაა დამოკიდებული ქართული რაგბის მომავალი განვითარება. მარკ იგანს დუბლინში დავუკავშირდით.

**- საქართველოს ნაკრებმა, საყოველთაო აღიარებით, საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში წარმატებით იასპარეზა. თქვენზე, როგორც რაგბის ერთ უბრალო ქომაგზე, როგორი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენი გუნდის თამაშმა?**

- როგორც რაგბის ქომაგი, აღფრთოვანებული ვარ საქართველოს ნაკრების თამაშით. თქვენმა ბიჭებმა გასაოცარი თავდადებით, ვაჟკაცურად ითამაშეს. მიმაჩნია, რომ თითოეულ მათგანს და გუნდის მწვრთნელებს შეუძლიათ თამამად იამაყონ თავიანთი თავით. განსაკუთრებით ალსანიშნავია მათი ფანტასტიკური თამაში ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ. როცა ამ შეხვედრას ვუყურებდი, როგორც ირლანდიელს, გაორებული გრძნობა მქონდა. გულის ერთი ნახევრით ირლანდიის გამარჯვება მინდოდა, მეორეთი კი საქართველოს ნაკრების. ეს მეორე ნახევარი IRB-ის გული იყო. საქართველოს ნაკრებმა გაცილებით უკეთ ითამაშა მსოფლიო თასზე, ვიდრე მისგან მოელოდნენ. როგორც IRB-ის ფუნქციონერი ამით დიდად ნასიამოვნები დავრჩი.

**-კარგით, მაშინ ჩვენი გუნდის თამაში როგორც IRB-ის ფუნქციონერმა ისე შეაფასეთ.**

- IRB-ში ყველა უაღრესად კმაყოფილა თქვენი გუნდის თამაშით. ამასთან "ლელოები" სამაგალითონი იყვნენ ქცევით, როგორც მოედანზე ისე მის მიღმა. აშკარად ჩანდა, რომ პროფესიონალიზმი როგორც მოთამაშეების, მწვრთნელების, ისე რაგბის კავშირის მენეჯმენტის, რომელიც გუნდის მზადებას ხელმძღვანელობდა მსოფლიო თასისთვის გაცილებით მაღალ დონეზე იყო, ვიდრე ოთხი წლის წინ, ავსტრალიაში. მენეჯმენტი, მოედნის მიღმა საორგანიზაციო საკითხების უნაკლოდ მოგვარება კი გუნდის თამაშთან უშუალო კავშირშია.

ცხადია, ყოველივე ზემოთ თქმული არ შეიძლება, რომ არ გვახარებდეს. IRB საქართველოს რაგბის კავშირთან თითქმის ორი წელია მჭიდროდ თანამშრომლობს. ამ დროის განმავლობაში ჩვენ გამოვყავით გრანტები სანაკრებო ბაზის შექმნისთვის, მწვრთნელთა გადამზადებისთვის, მოვაწყვეთ ტურნირი, IRB-ის ერთა თასი, თქვენი გუნდის მონაწილეობით. სასიამოვნოა, რომ ჩვენი ძალისხმევა საქართველომ ძალიან ეფექტურად გამოიყენა. ის დივიდენდები რაც ჩვენ გავილეთ, თქვენმა ნაკრებმა ერთი ასად დაგვიბრუნა.

**- საქართველოს ნაკრების მსოფლიო თასზე გამოსვლის შემდეგ ქვეყნის ხელისუფლების დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. საქართველოს პრეზიდენტმა რაგბი ფეხბურთთან ერთად სპორტის პრიორიტეტულ სახეობად გამოაცხადა. იქმნება რაგბის განვითარების პროგრამა, რომლის განხორციელებაში სახელმწიფო აქტიურად იქნება ჩართული. რა რეაქცია მოჰყვება ყოველივე ამას IRB-ში?**

- საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ეს გზავნილი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ცხადია, იგი თქვენი მორაგბეების თავგანწირული, ვაჟკაცური თამაშის გამოძახილია. IRB-ისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მხარს უჭერს თუ არა ამათუ იმ ქვეყნის მთავრობა რაგბის განვითარებას. ხელისუფლების დახმარების გარეშე, მარტო სპონსორებისა და IRB-ის დაფინანსებით რაგბის განვითარება ძალიან გაჭირდება. სახელმწიფოს დახმარების კარგი მაგალითებიც არსებობს - რუმინეთი, იგივე ირლანდია, სადაც ინფრასტრუქტურაზე, რაგბის პოპულარიზაციაზე ხელისუფლება ზრუნავს.

თუ ჩემი, როგორც IRB-ის ფუნქციონერის აზრი გაინტერესებთ, სახელმწიფომ პრიორიტეტად რაგბის პოპულარიზაცია, უნდა დაისახოს, ესე იგი, მეტი ყურადღება ბავშვთა რაგბს უნდა დაეთმოს. დღეისათვის, რამდენადაც ვიცი, საქართველოში სამი ათასამდე მორაგბეა. თუ თქვენი ქვეყნის მოსახლეობას გავითვალისწინებთ ეს რიცხვი 7-10 ათასამდე უნდა გაიზარდოს. ეს საშუალებას მოგცემთ, ნაკრებისთვის უფრო მეტი არჩევანი გქონდეთ. ეს ყველაფერი სახელმწიფო მოხელეთა ყურამდე რაგბის კავშირმა უნდა მიიტანოს. თუ გინდათ, არსებული დონე შეინარჩუნოთ და კიდევ უფრო განვითარდეთ, სხვა გზა არ არსებობს.

**- საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს სარაგბო გრანდებთან თამაში მხოლოდ ოთხ წელიწადში ერთხელ უწევს. არადა, მათთან ხშირი თამაში სასიცოცხლოდ აუცილებელია შემდგომი პროგრესისთვის. მიეცემა თუ არა ჩვენს გუნდს გაისად ან თუნდაც უახლოეს მომავალში, გრანდებთან ტესტების საშუალება?**

- გეთანხმებით. პროგრესისთვის ძლიერ სარაგბო ქვეყნებთან ხშირად თამაში აუცილებელია. ჩვენ ვაპირებთ სამომავლოდ შევიმუშავოთ ინტეგრირებული სარაგბო კალენდარი ნაკრები გუნდებისთვის. სამწუხაროდ, მომავალი წლის განრიგს თუ გადავხედავთ იქ ძნელია გამოიძებნოს თუნდაც ერთი თარილი, რომელშიც თქვენი ნაკრების თუნდაც ინგლისის ნაკრებთან თამაში ჩაისმება. თუმცა აქვე ხაზგასმით უნდა ალვნიშნო, რომ ყველანაირად ვეცდებით ამ მიმართულებით რაიმე მოვახერხოთ.

გაცილებით თამამად შემიძლია ვისაუბრო საქართველოს ნაკრების მოსალოდნელ შეხვედრებზე თქვენივე დონის გუნდებთან, როგორებიცაა ტონგა, ფიჯი, კანადა და სხვა. IRB აპირებს ისევ გაიღოს ინვესტიციები ისეთი ტურნირების მოსაწყობად, სადაც საქართველოს ნაკრებს ამ გუნდებთან თამაშის საშუალება მიეცემა.

**- როგორ ფიქრობთ, არ დადგა დრო საქართველო მე-2 დონის ქვეყნების რიგში ჩააყენოთ?**

- მინდა გაუწყოთ, რომ ქვეყნების პირველ, მეორე და ასე შემდეგ დონეებად დანაწილება ალარ ხდება. დაფინანსების მხრივ, ახლა ისინი დანაწილებულნი არიან ელიტურ, მაღალი დონის, მიზნობრივ და განვითარებად ქვეყნებად. საქართველო მაღალი დონის ქვეყნებს შორისაა. ამ ახალი სისტემის მიხედვით გეკუთვნით გრანტები ინფრასტრუქტურის გამართვისთვის, მწვრთნელთა გადამზადებისთვის და ასე შემდეგ. თუ საქართველოს რაგბის კავშირი ამ დახმარებას ისევე ეფექტურად გამოიყენებს, როგორაც ამას აქამდე აკეთებდა, შორს არ იქნება ის დრო, როცა ელიტაში გადახვალთ.

**- რას ფიქრობთ მსოფლიო თასზე გუნდების რაოდენობის შემცირებასა და მინი მსოფლიო თასის გამართვის თაობაზე?**

- მსოფლიო თასზე გუნდების შემცირებაზე გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არაა. ამ საკითხზე ჯერ კიდევ ვფიქრობთ და ვმსჯელობთ. ამიტომ სანამ გადაწყვეტილება მიღებული არაა, მირჩევნია ამაზე არ ვილაპარაკო. სამაგიეროდ, გადაჭრით შეიძლება ვისაუბრო ახალ ტურნირზე, რომლის შექმნაც უკვე გადაწყვეტილია. 2010 წელს, მსოფლიო თასამდე ერთი წლით ადრე გაიმართება ტურნირი "ვორლდ ტროფი", რომელიც იმავდროულად მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი იქნება. გარდა იმისა, რომ ეს რაგბის ქომაგებისთვის ახალი, საინტერესო სანახაობა იქნება, მონაწილე გუნდები მსოფლიო თასამდე ერთი წლით ადრე შესანიშნავ გამოცდილებას მიიღებენ.

სად გაიმართება "ვორლდ ტროფი", ჯერ გადაწყვეტილი არაა. შესაბამისად. საქართველოს შეუძლია ამ ტურნირს უმასპინძლოს კიდეც, თუკი საქართველოს რაგბის კავშირი ამის სურვილს გამოთქვამს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ხელბურთი



მამუკა მჟავანაძე

# მზადება დასრულდა, ბრძოლისთვის მოემზადეთ!

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა დაასრულა ათდღიანი მოსამზადებელი ეტაპი და დღეს "ჩელენჯ ტროფიში" ჩაერთვება. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ხელბურთისთვის ისტორიული მომენტი დგება. დამოუკიდებელი ქართული ხელბურთის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ეროვნულ ნაკრებს რომელიმე ოფიციალური ტურნირი მოეგოს და ახლა ამასთან ყველაზე ახლოსაა. საამისოდ, საჭიროა თბილისში ვაჯობოთ სომხებს, აზერბაიჯანსა და მოლდოვას, მერე კი ნორვეგიაში, ფინალში დავამარცხოთ ლუქსემბურგის ჯგუფის გამარჯვებული.

როგორც იცით, ნაკრები დაბანაკებულია "დინამოს" საკალათბურთო ბაზაზე, სადაც დილაობით ვარჯიშობდა, სალამოს კი "ქარიშხალას" დარბაზში ემზადებოდა.

გუშინ, ბოლო ლეგიონერი – **სერგო დათუკიშვილიც** ჩამოვიდა გერმანიიდან და გუნდი სრულიად დაკომპლექტდა. გუშინვე, გუნდმა სპორტის სასახლეს მიაშურა და განახლებულ, იდეალურ მდგომარეობაში მყოფ მოედანზე ივარჯიშა.

ნაკრების თავკაცმა **მამუკა მჟავანაძემ**, გაფართოებული შემადგენლობა გაცხრილა და ის 17-კაციანი გუნდი დაასახელა.

ტურნირის რეგლამენტის თანახმად, ყველა მწვრთნელს შეუძლია, მაქსიმუმ, 18-კაციანი განაცხადის შეტანა. აქედან, თითოეული მატჩის წინ, არაუგვიანეს შეხვედრის დაწყებამდე ერთი საათით ადრე, 14 ხელბურთელი უნდა შეიყვანოს განაცხადში.

რაც შეეხება მეტოქეებს, აზერბაიჯანი და სომხეთი უკვე ჩამოვიდნენ, მოლდოველები კი დღეს ჩამოვლენ და მიუხედავად ამისა, ალბათ უპრობლემოდ გადაუვლიან სომხებს. აი, საქართველოს ნაკრებს კი დღეს საკმაოდ რთული ბრძოლა ექნება აზერბაიჯანთან. ჯერ ერთი, აზერებს ჰყავთ რამდენიმე ლეგიონერი და თანაც, პირველი მატჩი მუდამ ფსიქოლოგიურ წნეხთან ასოცირდება. კარგი გუნდი უნდა ჰყავდეს მოლდოვასაც, რომელსაც ბოლო დღეს ვეთამაშებით, სომხეთი კი უიმედო აუტსაიდერია.

მოკლედ, გველის ორი ომი და ერთი გასეირნება. რეალურად, ყველაზე ძლიერი შემადგენლობა გვყავს და თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, თბილისიდან არავის უნდა გავატანოთ ფინალის საგზური. დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება...

დასასრულ, ერთ არასასიამოვნო ამბავზეც ვთქვათ. სამწუხაროდ, საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ ვერ მიაღწია შეთანხმებას ვერცერთ ტელეკომპანიასთან. შესაბამისად, არცერთი ქართული არხი არ აჩვენებს "ჩელენჯ ტროფის" პირდაპირ რეპორტაჟებს. ასე რომ, ვისაც გაქვთ საშუალება, ბილეთში გადაიხადოთ 3 და 5 ლარი, არ დაიზაროთ და მობრძანდით სპორტის სასახლეში. ბილეთების გაყიდვა დღეს, დილიდან დაიწყება სასახლის სალაროებში.

**კობა ხატისაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოდით, გვნახეთ, გავიმარჯვებთ!



შოთა თევზაძე
სტუ-"თელავი"
მეკარე
21.02. 1981
200 სმ. 125 კგ
42 მატჩი ნაკრებში



გიორგი ქობელაშვილი
სტუ-"თელავი"
მარცხენა გარემარბი
16.11 1976
185 სმ. 89 კგ
34 მატჩი, 61 გოლი



გიორგი წიწნიძე
"თბილისი"
მარცხენა გარემარბი
30.12. 1981
190 სმ, 96 კგ
14 მატჩი, 58 გოლი



გიორგი კვერნაძე
"აკადემია", საბერძნეთი
მარჯვენა შუამარბი
25.12. 1986
200 სმ, 107 კგ
6 მატჩი, 14 გოლი



გაგა სამყურაშვილი
სტუ-"თელავი"
მეკარე
16.12. 1988
191 სმ. 84 კგ
17 მატჩი, 1 გოლი



ომარ ყიფიანი
სტუ-"თელავი"
ხაზის მოთამაშე
14.06 1975
197 სმ. 105 კგ
37 მატჩი, 16 გოლი



შოთა გრიშიკაშვილი
"ორმანი", თურქეთი
ხაზის მოთამაშე
08.09. 1984
200 სმ, 110 კგ
7 მატჩი, 14 გოლი



სერგო დათუკიშვილი
"ლიუბეკი", გერმანია
გამთამაშებელი
28.04. 1978
190 სმ, 90 კგ
73 მატჩი, 134 გოლი



კორნელი ანდრიაძე
"თბილისი"
მეკარე
18.04 1984
184 სმ. 90 კგ
7 მატჩი



ვლადიმერ რუსია
"დინამო", რუმინეთი
მარცხენა გარემარბი
30.05 1984
200 სმ, 109 კგ
23 მატჩი, 121 გოლი



ტიტე კალანდაძე
"თბილისი"
მარცხენა გარემარბი
10.10. 1972
193 სმ, 104 კგ
117 მატჩი, 304 გოლი

მთავარი მწვრთნელი:
**მამუკა მჭავანაძე**
მწვრთნელი:
**ლევან გელაშვილი**
კონსულტანტი:
**იმედო ფხაკაძე**

## მეტოქეები

### აზერბაიჯანი

მეკარეები: ვადიმ სკრებეცოვი ("ტრაბზონი", თურქეთი), ელხან ქერიმოვი ("დინამო", აზერბაიჯანი)

მოედნის მოთამაშეები: ნიჯატ აზიზოვი, უზეირ სალიმოვი, ემინ აიდამიროვი, ჰუსეინ აიდამიროვი, ანდრეი გოჯი, საბირ ნაზარალიევი, ქემრან ალხაშოვი, რაშიდ ჰუსეინოვი (ყველა "დინამო"), ელდარ ფარაჯოვი, ოლეგ გეორგიევსკი, სერგეი გეორგიევსკი ( ყველა "ტრაბზონი", თურქეთი), ვალერი პარშკოვი ("ბეშიქთაში", თურქეთი), რომან მოვიკინი ("კერმანი", ირანი)

### მოლდოვა

მეკარეები: ვლადისლავ ვუკარუკი ("ოლიმპუსი", მოლდოვა), ევგენი ანდრეევი ("პორტოვიკი", უკრაინა), ვიქტორ სერდიუკი ("ოლიმპუსი")

მოედნის მოთამაშეები: ალექსეი პერვანკიუსი, ალექსანდრე პერვანკიუსი, სერგეი ნაზარკო, ალექსანდრ ბორეტი, ალექსანდრ გარგაუნი, დიმიტრუ ჩემირტანი, ვიტალი ნენიტა, სტანისლავ პურიცი, ანატოლი კიორბა (ყველა "ოლიმპუსი"), სერგეი ლუკასოვი, მაქსიმ მუტიევი (ორივე "ტირასპოლი", მოლდოვა), ალექსანდრ ჯედიცი ("დინამო", რუსეთი), იგორ პეტრიჩეევი ("ვივე კიელცე", პოლონეთი), ანდრეი სტარიკოვი ("პოლტავა", უკრაინა)

### სომხეთი

მეკარეები: გარეგინ თუმასიანი ("შენგავიტი", სომხეთი), არარატ გასპარიანი ("ფიმა", სომხეთი)

მოედნის მოთამაშეები: არტურ უზუნიანი, გევორქ მელქოიანი, არმენ მელქოიანი, გორ მატეოსიანი (ყველა "შენგავიტი"), არმენ ისრაელიანი, ვაჰან დერბინიანი, ფრუნზე ლუკასიანი, ვარდან მარკოსიანი, ნარეკ მატინიანი, ჰაიკ იერანოსიანი, ედუარდ ოჰანიანი (ყველა "ფიმა"), ტიგრან შაჰბაზიანი ("უნივერსიტეტი", სომხეთი), ტიგრან ტატევოსიანი, არმენ ბარსეგიანი (ორივე "ვანაძორი", სომხეთი)



რევაზ ჭანტურია
"მეტალურგი", მაკედონია
მარჯვენა გარემარბი
31.05. 1982
178 სმ. 73 კგ
37 მატჩი, 67 გოლი



მამია კოზახიძე
სტუ-თელავი
მარჯვენა შუამარბი
31.07 1982
198 სმ, 98 კგ
24 მატჩი, 54 გოლი



ამირან ყიფიანი
სტუ-"თელავი"
მარცხენა გარემარბი
22.12. 1984
182 სმ, 76 კგ
16 მატჩი, 17 გოლი



რატი მსხვილიძე
"სტიარნანი". ისლანდია
მარჯვენა შუამარბი
19.06. 1988
205 სმ, 110 კგ
17 მატჩი, 87 გოლი



დავით ნიკოლაიშვილი
სტუ-"თელავი"
მარცხენა შუამარბი
19.09. 1978
188 სმ, 95 კგ
34 მატჩი, 26 გოლი



ანდრო ანდრიაშვილი
"არანგა სორია", ესპანეთი
მარჯვენა გარემარბი
11.01. 1975
183 სმ, 84 კგ
24 მატჩი, 36 გოლი

**დღეს, სპორტის სასახლეში დაიწყება "ჩელენჯ ტროფის" თბილისური ეტაპი. როგორც იცით, აღნიშნული ტურნირი ტარდება ევროპის ხელბურთის ფედერაციის ეგიდით და მასში ათი ქვეყანა მონაწილეობს. ექვსი გუნდი ლუქსემბურგში გაარკვევს ურთიერთობას, ხოლო თბილისში საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და მოლდოვა ითამაშებენ. ჩვენი და ლუქსემბურგის ჯგუფების გამარჯვებულები, იანვარში ევროპის ჩემპიონატზე წარდგებიან ნორვეგიაში, სადაც "ჩელენჯ ტროფის" ფინალურ მატჩს გამართავენ.**

გუშინ, საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ და ეროვნული ნაკრების მწვრთნელ-მოთამაშეებმა პრესკონფერენცია ჩაატარეს სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში.

თამაზ თევზაძე, **ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:** - მოგეხსენებათ, "ჩელენჯ ტროფიზე" ის შედარებით სუსტი გუნდები ასპარეზობენ, რომლებიც ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე ვერ გადიან. ამ ტურნირს ევროპის ფედერაცია ატარებს და ყველაფერს აკეთებს, რომ მისი პოპულარობა გაზარდოს. კულუარული ინფორმაციით, დაგეგმილია, რომ შემდეგ წლებში, "ჩელენჯ ტროფის" გამარჯვებული დაუშვან პირდაპირ ევროპის ჩემპიონატზე...

ასეთი რანგის შეჯიბრებას პირველად ვმასპინძლობთ და დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ. თბილისში ჩამოდის ევროპის ხელბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობაც და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ აქედან უკმაყოფილოები არ წავიდნენ.

დავით ნამგალაური, **სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე:** - სახელმწიფოსთვის სათამაშო სახეობების დახმარება და მხარდაჭერა საკმაოდ მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, მათ შორისაა ერთ-ერთი ყველაზე უფრო ლამაზი სახეობა ხელბურთი, რომელშიც დიდი ტრადიციები გაგვაჩნია.

მიუხედავად ბოლო წლებში არსებული კრიზისისა, შორს არაა ის დრო, როდესაც ქართული ხელბურთი ისევ მიაღწევს დიდ წარმატებებს საერთაშორისო არენაზე. შესაძლოა, ამას რამდენიმე წელიწადიც დასჭირდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ მოლოდინით ვიცხოვროთ. აუცილებელია, რომ არცერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება არ გამოვტოვოთ და ყველგან ვითამაშოთ.

საქართველოს ხელისუფლება არაფერს იშურებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ხელბურთი განვითარდეს. წლის ბოლოს მწყობრში ჩადგება ექვსი ახალი ხელბურთის დარბაზი სხვადასხვა რეგიონში, რომლებზეც იქნება თანამედროვე, "ჯერ ფლორის" საფარი.

წარმატებებს ვუსურვებ საქართველოს ნაკრებს "ჩელენჯ ტროფზე". ვიმედოვნებ, ნაკრები გულშემატკივარს შეახსენებს, რომ ხელბურთის თამაში ისევ შეგვიძლია და ქართული ხელბურთის ისტორიაში კიდევ ერთ ლამაზ ფურცელს ჩაწერს.

ჯემალ ცერცვაძე, **ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი:** - გულშემატკივარს მოვუწოდებ, რომ აუცილებლად მობრძანდეს სპორტის სასახლეში. ყველას ვპირდები, რომ საქართველოს ნაკრები აჩვენებს იმ დიდ ხელბურთს, რომლის ნახვაც მრავალი წლის განმავლობაში ენატრებათ.

მამუკა მჭავანაძე, **საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:** - ყველაზე მთავარი, რასაც მივაღწიეთ, არის ის, რომ ჩამოვიდა ყველა ლეგიონერი. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ტრავმები არ გვაწუხებს. ათდღიანი შეკრება დავასრულეთ, ყველაფერმა გეგმის მიხედვით ჩაიარა. მზად ვართ, რომ საკუთარი გულშემატკივარი გავახაროთ და ამისთვის ყველაფერს გავიღებთ.

შოთა თევზაძე, **საქართველოს ნაკრების მეკარე:** - ჩვენს გულშემატკივარს მოვუწოდებ, რომ შეავსონ სპორტის სასახლის ტრიბუნები. მათი მხარდაჭერა ძალიან გვჭირდება. ჩვენი მხრივ, მაყურებელს თანამედროვე, გამართული თამაშის ჩვენებას ვპირდებით. ყველაზე ძლიერი მეტოქე, ალბათ, მოლდოვა იქნება, მაგრამ პირველი მატჩი აზერბაიჯანთან გველის და შესაბამისად, მთელი კონცენტრაცია ამ შეხვედრაზე გვაქვს გადატანილი.

რეზო ჭანტურია, **საქართველოს ნაკრების გარემარბი:** - ტურნირის მოსაგებად ვართ განწყობილები და მაქსიმუმს გავიღებთ, რომ მიზანს მივაღწიოთ. ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად დასრულდება.

რატი მსხვილიძე, **საქართველოს ნაკრების შუამარბი:** - მეც შევუერთდები გუნდის მოწოდებას და ხვალიდან სპორტის სასახლეში გიწვევთ, სადაც ლამაზ თამაშსა და გამარჯვებებს გპირდებით.

**კობა ხატისაშვილი**




პრესკონფერენციაზე
ალექსანდრე კოტრიაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

## მორისონი სეზონს გამოტოვებს?

უსიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს "შარლოტ ბობკეტსის" გულშემატკივრებმა. კლუბის ერთ-ერთ ლიდერს, **ადამ მორისონს** ტრავმირებულ მუხლზე სასწრაფო ოპერაცია სჭირდება.

*"ჩვენმა სამედიცინო შტაბმა გვაცნობა, რომ ადამს მუხლთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები აქვს. მას ოპერაცია ესაჭიროება და ამის გამო, შესაძლოა მთელი სეზონის გამოტოვება მოუწიოს"*, - განაცხადა "ბობკეტსის" მთავარმა მწვრთნელმა **სემ ვინსენტმა**.

მორისონს NBA-ში დებიუტი გასულ წელს ჰქონდა. მან "შარლოტის" რიგებში 78 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ შეხვედრაში 11.8 ქულას, 3 მოხსნასა და 2.1 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

## ოდომის დაბრუნება გადაიდო

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ერთ-ერთმა ლიდერმა, **ლამარ ოდომმა** გუნდის მთელი წინასასეზონო შეკრება გამოტოვა. ამის მიზეზი გახლდათ ოპერაცია მარცხენა მხარზე.

როგორც ირკვევა, კალათბურთელი ვერ ასწრებს რეგულარული ჩემპიონატის სტარტისთვის მწყობრში ჩადგომას და ამის გამო, ოდომს რამდენიმე შეხვედრის გამოტოვება მოუწევს. უფრო ზუსტად, ფორვარდი სანყის ორ კვირას ვერ დაეხმარება "ლეიკერსს".

აღსანიშნავია, რომ ოდომს გასულ წელსაც აწუხებდა ტრავმები: მუხლის დაზიანების გამო, მან მხოლოდ 56 მატჩში მიიღო მონაწილეობა. მისი სტატისტიკური მონაცემები 15.9 ქულას, 9.8 მოხსნასა და 4.8 შედეგიან გადაცემას უტოლდებოდა.

## ლიგამ მსაჯები დასაჯა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა ის ექვსი არბიტრი დასაჯა, რომლებიც რეგულარულად სტუმრობდნენ კაზინოებს. მსაჯების გვარები ჯერ არ გაცხადებულა. მათი ეს მავნე ჩვევა ასოციაციის სპეციალურმა დეპარტამენტმა გამოავლინა.

როგორც ამერიკული პრესა იუწყება, არბიტრებს მსაჯობას არ აუკრძალავენ და ამჯერად, ექვსივესთან მიმართებაში უკანასკნელი გაფრთხილებით შემოიფარგლებიან.

## გასოლი მემფისის ფანებს შეურიგდა

"მემფის გრიზლისის" ესპანელმა ლეგიონერმა **პაუ გასოლმა** კლუბის გულშემატკივრებთან ძველი ურთიერთობის აღდგენა გადაწყვიტა. როგორც იცით, გასულ სეზონში გასოლი ამბიციურ კლუბში გადასვლას ითხოვდა, რის გამოც ძალიან გაანაწყენა "გრიზლისის" ფანები. წლევანდელი სეზონის წინ, ესპანელი "მემფისის" გენერალურ მენეჯერთან **კრის უოლასთან** მივიდა და სთხოვა მას, გულშემატკივრებისთვის ბოდიშის მოხდის საშუალება მიეცა.

უოლასმა კალათბურთელის თხოვნა შეასრულა: ერთ-ერთი საქველმოქმედო მატჩის შემდეგ, ესპანელი სასეზონო აბონემენტების მფლობელებთან დიდხანს საუბრობდა და ავტოგრაფებს არიგებდა.

*"მინდა, რაც შეიძლება მეტი გავილო ჩემი გუნდისთვის. გულშემატკივრებმა უნდა იცოდნენ, რომ მოედანზე ბოლომდე ვიხარჯები. ნუ ჩამთვლიან ხარბ ადამიანად, რომელსაც თამაში არ სურს და არ უყვარს"*, - განაცხადა პაუმ.

## მილანს მწვრთნელი შეუცვალეს

იტალიის "მილანს" ევროლიგაში პირველი მატჩი ჯერ არ ჩაუტარებია, მაგრამ ამ გუნდს უკვე შეუცვალეს დამრიგებელი. დღეიდან, **ზარე მარკოვსკის** ნაცვლად მილანელებს **ატილიო კაია** გაწვრთნის. ეს სპეციალისტი "მილანს" სამწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. შარშან, 46 წლის კაია "რომას" მთავარი მწვრთნელი იყო.

მარკოვსკის გარდა, მილანელთა რიგები დატოვა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ჯინო ნატალიმ**.

ჩოგბურთი

## ჩაკვეტაძე მადრიდში მიდის

რუსი **ანა ჩაკვეტაძე** მეექვსე ჩოგბურთელი გახდა, ვინც სეზონის ბოლოს, მადრიდში წლის შემაჯამებელ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. სეზონის დასკვნითი ჩემპიონატი ესპანეთის დედაქალაქში 6-11 ნოემბერს ჩატარდება.

ამ მომენტისთვის, ჩაკვეტაძის ანგარიშზე 2626 ქულაა და დარჩენილ ტურნირებში, ის ნებისმიერ შემთხვევაში შეინარჩუნებს ადგილს რვა საუკეთესოს შორის. ჩაკვეტაძემდე, მადრიდში თამაშის უფლება მიიღეს ბელგიელმა **ჟუსტინ ანენმა**, რუსმა **სვეტლანა კუზნეცოვამ**, ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** და სერბებმა - **ანა ივანოვიჩმა** და **ელენა იანკოვიჩმა**.

ჩაკვეტაძემ კარიერაში პირველად მოიპოვა სეზონის შემაჯამებელ ტურნირში მონაწილეობის უფლება.

ჰოკეი

## აილენდერსმა ბერარი დაკარგა

დაახლოებით ერთი თვე ვერ შეძლებს ყინულზე გასვლას "ნიუ იორკ აილენდერსის" 30 წლის მცველი **ბრაიან ბერარი**.

ამ ჰოკეისტმა "კუნძულელებთან" ერთწლიანი კონტრაქტი ორი კვირის წინათ გააფორმა და ამ დროის განმავლობაში, 4 ქულის (2 გოლი+2 პასი) მოპოვება მოასწრო.

ბერარმა ბარძაყის ტრავმა კვირას, "ნიუ ჯერსი დევილზთან" მატჩში მიიღო.

ფორმულა 1

## ინჟინრები არ დაშავებულან

ბრაზილიის გრან-პრის დროს, "უილიამსის" ბოქსებში უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. იაპონელმა **კაზუკი ნაკაჯიმამ** პიტ-სტოპის დროს ორი ინჟინერი გაიტანა, რომლებიც მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს.

საბედნიეროდ, დებიუტანტის გაუფრთხილებელ მოქმედებას სერიოზული შედეგი არ მოჰყოლია. მექანიკოსებს უმნიშვნელო დაზიანებები აღმოაჩნდათ. მათ ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ მცირე ხანი დაჰყვეს საავადმყოფოში და მალე გამოწერეს კიდეც.

რალი

## როსი ბრიტანეთის რალისთვის ემზადება

მოტორბოლის იტალიელი ვარსკვლავი, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **ვალენტინო როსი** რალის წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ეტაპზე აპირებს გამოსვლას. "ბრიტანეთის რალი" 30 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე უელსში გაიმართება.

ამ ამბავთან დაკავშირებული ჭორები, ჯერ კიდევ სექტემბერში გავრცელდა, რის შემდეგაც "სუბარუს" ხელმძღვანელობამ დაადასტურა იტალიელთან მოლაპარაკების ფაქტი. მოგვიანებით კი, იგივე განუცხადა ჟურნალისტებს თავად მოტომრბოლმაც.

როსის თქმით, მოლაპარაკებები თითქმის დასრულებულია და ის მოასწრებს 26 ოქტომბრამდე შესაბამისი განაცხადის შეტანას.

კალათბურთი

გამოკითხვა სეზონის წინ

# მენეჯერების აზრით



ლებრონ ჯეიმსი

ოკეანისგაღმეთში საკმაოდ საინტერესო გამოკითხვა ჩატარდა. ყველა გუნდის გენერალურმა მენეჯერმა, სეზონის მთავარი ჯილდოების მაძიებელთა საკუთარი ფავორიტები დაასახელა.

მენეჯერთა უმრავლესობის აზრით, ჩემპიონი კვლავ "სან ანტონიო სპურსი" (37 პროცენტი) გახდება, რისი მთავარი მიზეზიც ტეხასელთა საოცრად დაბალანსებული შემადგენლობაა. მეორე ადგილზე გავიდა "ფინიქს სანზი" (26), პირველ ოთხეულში კი, "დალას მავერიქსი" (15) და "დეტროიტ პისტონზიც" (7) მოხვდნენ.

**ლებრონ ჯეიმსი** სეზონის ბოლოს MVP-ს ჯილდოს მოპოვების მთავარი ფავორიტია. "კლივლენდ კავალიერსის" სუპერვარსკვლავმა 30 პროცენტი მიიღო, მეორე და მესამე ადგილები კი სანანტონიოელმა **ტიმ დანკანმა** (22) და "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** (19) დაიკავეს.

ვის თვლიან აღმოსავლეთის ფავორიტებად? "დეტროიტ პისტონსი" და **კევინ გარნეტითა** და **რეი ალენითა** გაძლიერებული "ბოსტონ სელტიქსი" 26-26 პროცენტით ლიდერობენ, მათ მერე კი, "ჩიკაგო ბულზი" (11) მოდის.

საინტერესოა, რომ "სპურსის" საჩემპიონო ფავორიტად დასახელების მიუხედავად, გენერალურმა მენეჯერებმა **პოპოვიჩის** გუნდი თავისი დივიზიონის ფავორიტად არ მოიხსენიეს. აქ პირველ ადგილზე **დირკ ნოვიცკის** "დალას მავერიქსია" (44), "სპურსი" კი თანაშტატელს 3 პროცენტით ჩამორჩა.

დანარჩენი დივიზიონების გამარჯვებულებად გამოკითხულებმა "ბოსტონი" (28), "ჩიკაგო" (32), "მაიამი" (22), "იუტა" (19) და "ფინიქსი" (34) მიიჩნიეს.

"სიეტლ სუპერსონიქსის" ახალბედა ფორვარდი **კევინ დიურანი** საუკეთესო პირველწლიანის პრიზის მოგების ფავორიტია (34), მეორე ადგილზე კი **ზაზა ფაჩულიას** ახალი თანაგუნდელი, მძიმე ფორვარდი **ელ ჰორფორდია** (14).

რეგულარულის ტოპ-მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი (24) უნდა გახდეს, მეორე ადგილზე კი მისი ყოფილი შეგირდი, დღესდღეობით კი "დალასის" დამრიგებელი **ეივერი ჯონსონი** (14) გავიდა.

ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის პრიზი მოგების ფავორიტი რატომღაც "ლეიკერსის" ცენტრი **კვამე ბრაუნი** (19) მიიჩნიეს. საინტერესოა, რაში და როგორ უნდა გააუმჯობესოს ამ ზარმაცმა კრიმინალმა თავისი გამოსვლა.

ბოლოს კი გეტყვით, რომ სეზონის საუკეთესო მეექვსე მოთამაშის, ანუ რეზერვისტის პრიზისთვის გენერალურმა მენეჯერებმა "გოლდენ სტეიტ უორიორზის" ლატვიელი ცენტრი **ანდრის ბიედრინსი** (22) "გაიმეტეს", რომელიც შარშანდელ რეგულარულში კალიფორნიელთა ძირითადი ცენტრი კი იყო, მაგრამ **დონ ნელსონმა** პლეიოფში მას სხვები ამჯობინა და სავარაუდოდ, დამდეგ რეგულარულშიც ასე იქნება. ნელსონი ძირითადში, ალბათ, ნომინალურად ფორვარდს **ელ ჰარინგტონს** დააყენებს.

**ზურაბ თალაკვაძე**

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**პიტსბურგი-რეინჯერსი 1:0**

0:0, 1:0, 0:0

**გოლი:** 1:0 მალკინი-3 (რაიან უიტნი-2, კროსბი-8).

**ტორონტო-ატლანტა 4:5 (ბ)**

1:2, 2:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 სუნდინი-6 (ჯ. ბლეიკი-7), 1:1 ენსტრიომი-1 (კოვალჩუკი-3, პერენი-2), 1:2 კოვალჩუკი-5 (ტ. უაიტი-4), 2:2 გილი-1, 2:3 პერენი-1 (ჰაიდერი-3, სტერლინგი-2), 3:3 ანტროპოვი-7 (ჯ. ბლეიკი-8, სუნდინი-10), 3:4 ტ. უაიტი-2 (პერენი-3, კოვალჩუკი-4), 4:4 პონიკაროვსკი-3 (სუნდინი-11, ჯ. ბლეიკი-9).

**ბულიტები გაიტანეს:** ანტროპოვი (ტორონტო), ვიაჩ. კოზლოვი (ატლანტა), კოვალჩუკი (ატლანტა).

**ჩიკაგო-კოლამბუსი 4:7**

1:2, 2:2, 1:3

**გოლები:** 0:1 ნეში-6 (პეკა-2), 0:2 ნოვოტნი-2 (ფრიტში-1, ჰეინსი-3), 1:2 კეინი-2 (ტ. რუუტუ-1), 1:3 ნოვოტნი-3 (ბრული-1, ფრიტში-2), 2:3 ტოევზი-3 (კეინი-9, ვანდერმეერი-2), 3:3 კეინი-3 (რუუტუ-2, სიბრუკი-4), 3:4 ფიოდოროვი-2 (ნეში-5, ვიბორნი-3), 3:5 ნეში-7 (კლესლა-1, პეკა-3), 3:6 ჟერდიოვი-2 (პეკა-4, კლესლა-2), 4:6 ვიშნევსკი-2 (კეინი-10, რუუტუ-3), 4:7 ტოლეფსენი-1 (ნორენა-1).

**სენტ ლუისი-ანაჰაიმი 4:2**

0:0, 3:2, 1:0

**გოლები:** 0:1 ე. მაკდონალდი-2 (ჰასკინსი-4, კუნიტცი-4), 1:1 ტკაჩუკი-4 (კარია-7, მაკკი-1), 2:1 ბოიესი-5 (კარია-8, ტკაჩუკი-4), 3:1 ბოიესი-6 (კარია-9, სტემპნიაკი-5), 3:2 მოუერსი-1 (პერი-3, მილერი-1), 4:2 კარია-2 (ტკაჩუკი-5).

**ედმონტონი-კოლორადო 2:4**

1:3, 0:0, 1:1

**გოლები:** 0:1 არნასონი-2, 1:1 პენერი-2 (კოლიანო-5, სემ განიე-5), 1:2 ჰლინკა-1 (ლაილსი-4, არნასონი-3), 1:3 ვოლსკი-3 (ფინგერი-2, საკიკი-5), 2:3 გილბერტი-2 (პენერი-2, სემ განიე-6), 2:4 ბ. კლარკი-1 (გიტი-1, უ. სმიტი-1).

**ლოს ანჯელესი-ნეშვილი 6:0**

2:0, 2:0, 2:0

**გოლები:** 1:0 კამალერი-9 (რ. ბლეიკი-2), 2:0 ვიშნოვსკი-1 (ნადი-5, რ. ბლეიკი-3), 3:0 ივანანსი-1 (დ. არმსტრონგი-4, პრისინგი-2), 4:0 ფროლოვი-2 (ნადი-6, ბ. სტიუარტი-2), 5:0 ნადი-1 (ო'სალივანი-3, ფროლოვი-7), 6:0 კამალერი-10 (მოდრი-1, ვიშნოვსკი-7).

[illegible]

- "პიტსბურგის" მეკარემ **მარკ-ანდრე ფლერიმ** 36 დარტყმა მოიგერია და კარიერაში მერვე შათაუტი შეასრულა. ამ შედეგის მისაღწევად ახალგაზრდა მეკარეს 144 მატჩი დასჭირდა.
- ფლერიმ ბოლო ორ მატჩში ერთი შაიბა გაუშვა, სულ კი, მეტოქეთა 67 დარტყმიდან 66 მოიგერია.
- ამ ზაფხულს, "რეინჯერსმა" დიდი ფული დახარჯა შეტევის გასაძლიერებლად და ორი მაღალი კლასის ფორვარდი - **სკოტ გომესი** და **კრის დრური** დაიმატა. მიუხედავად ამისა, ნიუიორკელებმა ზედიზედ მეორე შეხვედრა წააგეს ერთნაირი ანგარიშით - 0:1. ასეთი რამ, კლუბის 82-წლიან ისტორიაში არ მომხდარა.
- სულ "რეინჯერსს" 8 მატჩში მხოლოდ 13 გოლი აქვს გატანილი. სეზონის სტარტზე ასეთი ცუდი შედეგიანობა, კლუბს 1950 წლის შემდეგ არ ჰქონია. მაშინ, "რეინჯერსის" აქტივში 8 მატჩში 9 გოლი იყო.
- "რეინჯერსის" "მშრალი" სერია 181 წუთი და 9 წამი გრძელდება. ბოლოს გუნდმა 13 ოქტომბერს, "ოტავასთან" მატჩში გამოიჩინა თავი.
- მასპინძელთა ლიდერმა, **იარომირ იაგრმა** რვა მატჩში ერთი გოლი გაიტანა. ჩეხ ფორვარდს 17-წლიან კარიერაში ასეთი ცუდი სტარტი არ ჰქონია.

■ ■ ■

- კოლამბუსელმა **რიკ ნეშმა** ზედიზედ მეოთხე მატჩში გაიტანა გოლი. ამ სერიის განმავლობაში, ფორვარდს ხუთი შაიბა და სამი შედეგიანი პასი დაუგროვდა.
- "კოლამბუსმა" სეზონში მეოთხე გამარჯვებას მიაღწია. წინა სამი მატჩი ისე მოიგო, რომ საკუთარ კარში გოლი არ გაუშვია. სამივე შათაუტის ავტორი მეკარე **პასკალ ლეკლერი** გახდა. ამჯერად, "ბლუ ჯეკეტსის" კარს **ფრედრიკ ნორენა** იცავდა.
- "ჩიკაგოს" რიგებში კვლავ გამოიჩინა თავი წლევანდელი დრაფტის პირველმა ნომერმა, **პატრიკ კეინმა** - მან ორი გოლი და ორი საგოლე პასი მიითვალა. კეინი 13 ქულით (3+10) "ბლეკჰოქსის" საუკეთესო ბომბარდირია.
- ერთი გოლით დაასრულა შეხვედრა შარშანდელი დრაფტის პირველმა ნომერმა, **ჯონათან ტოევზმა**. ამ ჰოკეისტმა წლევანდელ სეზონში 7 მატჩი ჩაატარა და თითოში მინიმუმ ერთი ქულა დააგროვა (3 გოლი, 4 პასი).

■ ■ ■

- "სენტ ლუისის" ახალწვეულმა **პოლ კარიამ** თავისი ყოფილი გუნდის კარში გატანილ ოთხივე გოლში მიიღო მონაწილეობა. ვეტერანმა ფორვარდმა ერთი გოლი და 3 პასი მიითვალა.
- "ბლუზმენებში" "ნეშვილიდან" გადასული კარიას ანგარიშზე, 7 მატჩში 11 ქულა (2+9) მოდის.
- "ანაჰაიმს" ამ სეზონში ჯერ არ მოუგია გასვლითი შეხვედრა. სტენლის თასის მფლობელმა ექვსიდან ხუთი მატჩი ძირითადში წააგო და ერთიც - ოვერტაიმში.
- "სენტ ლუისის" მეკარე **მენი ლეგასს** მხოლოდ 14 დარტყმის მოგერიება მოუხდა. ამ გოლკიპერს განსაკუთრებით უმართლებს "ანაჰაიმის" წინააღმდეგ - კარიერაში 11-დან ცხრა შემთხვევაში, ლეგასმა "იხვების" დამორჩილება" მოახერხა.

■ ■ ■

- "ედმონტონ ოილერზმა" ბოლო შვიდი მატჩიდან მეექვსე მარცხი იწვნია.
- "კოლორადოს" ვეტერანმა **ჯო საკიკმა** ერთი საგოლე პასი გააკეთა და ახლა ორი ქულა სჭირდება იმისთვის, რომ NHL-ის ისტორიაში მერვე მოთამაშე გახდეს, ვისი მონაგარიც 1600 ქულას მიაღწევს.

■ ■ ■

- "ლოს ანჯელესის" მეკარემ **ჯეისონ ლაბარბერამ** 17 დარტყმა მოიგერია და კარიერაში მეორე შათაუტი შეასრულა.
- "კინგზის" ფორვარდმა **მაიკლ კამალერიმ** დუბლი მიითვალა და 10 გოლით ლიგის საუკეთესო სნაიპერთა დავაში დაწინაურდა.
- "ნეშვილმა" ზედიზედ მეექვსე მატჩი წააგო.
- "პრედატორზმა" ზედიზედ მეორე შეხვედრაში ვერ შეძლო გოლის გატანა, ბოლო სამ მატჩში კი, მის ანგარიშზე ერთი შაიბაა.




იაგრმა და რეინჯერსმა ფლერის ვერაფერი დააკლეს

ტურის ჩემპიონი

# კონტადორი ასტანაში გადავიდა



ალბერტო კონტადორი

ტურ დე ფრანსის ესპანელმა ჩემპიონმა **ალბერტო კონტადორმა** კონტრაქტი გააფორმა ყაზახურ გუნდ "ასტანასთან" სადაც ორ სეზონს დაჰყოფს. კონტადორი თავისუფალი აგენტი მას შემდეგ გახდა, რაც ტელეკომპანია "დისქავერი ჩენელმა" აღარ ისურვა ამავე სახელწოდების გუნდის სპონსორობა. შედეგად, გუნდი დაიშალა, მისი ველომრბოლები კი თავისუფალი აგენტები გახდენ.

*"რამდენიმე შეთავაზება მქონდა, რომელთა განხილვის შემდეგ, არჩევანი "ასტანაზე" შევაჩერე. ეს კი იმიტომ გავაკეთე, რომ გუნდი ძირეულად იცვლება და ამის მიუხედავად, თანამედროვე ველოსპორტში, შესაძლებლობათა მხრივ ის ერთ-ერთი საუკეთესოა"*, - განაცხადა კონტადორმა, ვინც კონტრაქტი თავის ყოფილ შეფთან, ბელგიელ მენეჯერ **იოჰან ბრიუინეელთან** გააფორმა.

სწორედ ბრიუინეელია ის კაცი, ვინც კონტადორი თავის დროზე "დისქავერი ჩენელში" მიიწვია. ამავე მენეჯერმა თავის დროზე დიდი გავლენა იქონია ამერიკელი **ლენს არმსტრონგის** მიღწევებზე. "დისქავერიდან" წამოსვლის შემდეგ ის ამბობდა, რომ ერთი სეზონის გამოტოვებას აპირებდა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და "ასტანაში" მუშაობას დათანხმდა, სადაც ახლა თავის ველომრბოლებს უყრის თავს.

შეგახსენებთ, რომ დოპინგსკანდალების გამო, "ასტანამ" წლევანდელი ტურიდან მთელი გუნდი მოხსნა, მოგვიანებით კი, ვუელტას ორგანიზატორებმა ის რბოლაზე მონაწილეობისთვის არ მიიწვიეს. ყოველივეს მიუხედავად, "ასტანას" სპონსორული კონტრაქტი გაუგრძელა მისმა მთავარმა სპონსორმა, კომპანია "ცეუს სარლმა", რომელიც გუნდის ფინასურ მხარდაჭერას 2010 წლამდე გააგრძელებს.

*"ცოტა ხნით დასვენებას ვაპირებდი, მაგრამ როცა გავეცანი "ასტანას" გეგმებს, მაშინვე გადავიფიქრე. უფრო მეტიც, მოხარული ვარ, რომ გუნდის განახლების საქმეში ერთ-ერთი მთავარი როლის შესრულება მომიწევს. ამასთან, ბედნიერი ვარ, რომ გუნდის ლიდერად აქაც კონტადორი მეყოლება. რატომ? იმიტომ, რომ ის მომავლის ველომრბოლია და მას ყველაფერი წინ აქვს, მის გარშემო კი შესანიშნავი გუნდის შეკვრა შეიძლება"*, - ამბობს ბრიუინეელი, ვინც 1999-2005 წლებში, როცა არმსტრონგი შვიდჯერ გახდა ფრანგული ტურის ჩემპიონი, ბელგიელი მენეჯერი "დისქავერის" (ადრე იუ.ეს. პოსტალი) შეფი იყო.

კონტადორი კი აცხადებს, რომ "ასტანა" იმის გამო აირჩია, რომ დარწმუნებულია, ეს გუნდი ყველაზე მეტად დაეხმარება ფრანგული ტურის მოგებაში. *"ჩემი მთავარი მიზანი მომდევნო სეზონში ტურის კიდევ ერთხელ მოგებაა. მინდა, ყველას დავუმტკიცო, რომ წლეულს მოპოვებული გამარჯვება არ იყო შემთხვევითი და რომ გაცილებით მეტიც შემიძლია"*, - ამბობს ესპანელი ველომრბოლი.

კონტადორის და ბრიუინეელის გარდა, "დისქავერიდან" "ასტანაში" კიდევ ერთი ძლიერი ველომრბოლი, ამერიკელი **ლევი ლაიპჰაიმერი** გადავიდა, ვინც წლევანდელ ტურზე მესამე ადგილი დაიკავა და სულ რამდენიმე წამი დათმო გამარჯვებულთან. ლაიპჰაიმერმა განაცხადა, რომ იმ ხალხთან ერთად მუშაობას ამჯობინებს, ვისთანაც დიი ხნის მეგობრობა აკავშირებს. შესაძლებლობა მომეცა და მისი ხელიდან გაშვება არ იქნებოდაო, - ამბობს ამერიკელი.

*"მას შემდეგ, რაც "დისქავერი" დაიშალა, ისე ჩანდა, თითქოს ყველა სხვადასხვა გზას დავადგებოდით. ახლა კი ისევ ერთად ვართ და ეს ძალიან კარგია. ჩვენ ერთმანეთის კარგად გვესმის და ეს რბოლებს დროს ძალიან გვადგება. როცა გუნდი ერთად კარგად მუშაობს, მაშინ იღბალიც მის მხარესაა და გამარჯვებაც სწორედ მაშინ მოდის"*, - ამბობს ლაიპჰაიმერი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

**25 ოქტომბერი. ხუთშაბათი**

**I არხი**

22:45 არენა - სპორტული ტოქ-შოუ.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბეშიქთაში-ლივერპული.
14:15 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბენფიკა-სელტიკი.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. მარსელი-პორტუ.
18:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რეალი-ოლიმპიაკოსი.
20:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:50 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
21:00 ტოქ-შოუ - 2:1.
21:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
00:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:30 ზუსტი გათვლა.
00:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:00 საფეხბურთო კლუბი.
01:30 ტოქ-შოუ - 90 წუთი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. სევილია-სტიაუა.
08:48 ფეხბურთი. Barca TV.
08:56 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
10:20 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-რეინჯერსი.
12:08 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბენფიკა-სელტიკი.
13:58 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ვერდერი-ლაციო.
15:48 ფეხბურთი. Barca TV.
15:57 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. მარსელი-პორტუ.
17:45 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. ვასკო და გამა-ამერიკა.
19:42 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. დეფენსორი-რივერ პლეიტი.
21:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:43 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:01 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
22:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ოლიმპიაკოსი-ტაუგრესი (LIVE).
00:20 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:31 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
01:52 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:48 სპორტდოსიე. ჩოგბურთი.
03:41 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ტორონტო (LIVE).
06:07 მინი-მოედანი.
06:36 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

**EUROSPORT**

10:30 მულტისპორტი.
11:00 სპიდვეი. გერმანიის გრან-პრი.
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. გალათასარაი-სიონი.
12:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ერჩიესი-ატლეტიკო.
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ბელენენსეში-ლევერკუზენი.
13:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ჰამბურგი-ლიტექსი.
14:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩები.
15:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
16:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ლინცი. ავსტრია (LIVE).
18:00 ჩოგბურთი. ATP-ს ტური. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ჩოგბურთი. ATP-ს ტური. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
21:45 სუმო.
22:45 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. ბრიტანეთი.
23:15 პროფესიული კრივი. WBC. მჩატე წონა. ჯ. ვიტერი (ბრიტანეთი)-ვ. პარისი (განა). ბრიტანეთი.
01:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. იზმირი (თურქეთი)-მალიორკა (ესპანეთი).
13:00 სუპერკროსი. ბილბაო. ესპანეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. იზმირი (თურქეთი)-მალიორკა (ესპანეთი).
17:00 სუპერკროსი. ბილბაო. ესპანეთი.
18:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ლინცი. ავსტრია (LIVE).
19:30 ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ჰამბურგი-ლიტექსი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 სერფინგი (საფრანგეთი).
21:00 რალი. IRC-ს სერია. შვეიცარია (LIVE).
21:15 ახალი ამბები.
21:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. იზმირი (თურქეთი)-მალიორკა (ესპანეთი).
22:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. აპელდორნი (ჰოლანდია)-რუზელარე (ბელგია) (LIVE).
00:30 პული. ევროპის ტური. ჰოლანდია.
01:00 ახალი ამბები.

## სამთო თხილამურები

ვარსკვლავი

# მილერი აშშ-ის ნაკრებს ტოვებს

მსოფლიო თასის ყოფილმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **ბოდე მილერმა** აშშ-ის ნაკრების სახელით ასპარეზობაზე უარი განაცხადა და ამიერიდან, მსოფლიო თასის რბოლებში დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას. ამის მიზეზი კი გახდა ის ფაქტი, რომ მილერი აშშ-ის ნაკრებთან ერთად თავს შეზღუდულად გრძნობს.

ნაკრების ხელმძღვანელობასთან არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, მილერი აშშ-ის სამთო თხილამურების ფედერაციის დირექტორ **ჯეს ჰანტსა** და ვაჟთა ნაკრების მწვრთნელ **ფილ მაკნიკოლს** შეხვდა, რომლებთანაც მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. მოლაპარაკების დროს, მილერი ითხოვდა, რომ მას ნაკრების წევრებთან შედარებით, შეღავათიანი პირობებით ესარგებლა. მაგრამ მოთხოვნებზე მტკიცე უარი მიიღო.

*"ბოდემ ნაკრების სახელით გამოსვლას თავისუფლება ამჯობინა. ჩვენ გვესმის მისი და ვეცდებით, საჭიროების შემთხვევაში, ყველანაირად დავეხმროთ"*, - განაცხადა აშშ-ის თხილამურობის ასოციაციის მარკეტინგის და კომუნიკაციების განყოფილების დირექტორმა **ტომ კელიმ**. ის დასძენს, რომ ჯერ არ იცის, თუ როგორ დაგეგმავს მილერი თავის სავარჯიშო და სარბოლ პროგრამას და ვინ დაეხმარება მას ამაში. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ მას საჭიროების შემთხვევაში დავეხმარებითო.

მილერს თავისი დამოუკიდებლობა საკმაოდ ძვირი დაუჯდება. მას თავად მოუწევს ოფიციალურ სავარჯიშო სესიებსა და რბოლებში მონაწილეობისთვის აუცილებელი ხარჯების გაღება. ამასთან, მას აუცილებლად დასჭირდება მენეჯერი, რომელიც ყოველგვარი ფორმალურ საქმეებს აარიდებს.

შეგახსენებთ, რომ მილერს მსოფლიო თასზე სულ 25 რბოლა აქვს მოგებული, ორით ნაკლები, ვიდრე ჯერჯერობით ყველაზე ტიტულოვან ამერიკელ სამთომოთხილამურე **ფილ მარეს**.

2003 და 2005 წლებში ბოდე მილერმა მსოფლიო ჩემპიონატებზე ოქროს ოთხი მედალი მოიპოვა (გიგანტურ სლალომში, კომბინაციაში, სუპერგიგანტსა და დაშვებაში), 2005 წელს კი მსოფლიო თასის აბსოლუტურ ჩათვლაში გაიმარჯვა და ბროლის დიდ გლობუსს დაეუფლა. გარდა ამისა, ბროლის მცირე გლობუსებს ფლობდა კომბინაციაში (ორჯერ), სუპერგიგანტსა (ორჯერ) და გიგანტურ სლალომში. სამაგიეროდ, შარშან, ოლიმპიადასა და წლეულს მსოფლიო ჩემპიონატზე ხელმოცარული დარჩა - ორივე ტურნირი მედლის გარეშე დაასრულა.

მილერი, ვინც პროფესიული კარიერის დასაწყისში ტექნიკური დისციპლინების (სლალომი, გიგანტური სლალომი და კომბინაცია) სპეციალისტი იყო, შემდეგ კი უნივერსალ და ჩქაროსნული დისციპლინების (დაშვება და სუპერგიგანტი) სპეციალისტად ჩამოყალიბდა, გასულ სეზონში ის მეტისმეტად არასტაბილურად ასპარეზობდა. მართალია, ოთხი რბოლის მოგება შეძლო, მაგრამ საერთო ჯამში, თავისი ჭირვეულობის გამო, მაინც ხელმოცარული დარჩა. ის მუდმივად აკრიტიკებდა აშშ-ის ნაკრების ახალ წესებს, რომლებიც მას სასტუმროებში თანაგუნდელებთან ერთად ყოფნას ავალდებულებდა. მილერი კი საკუთარ მობილურ ბინასაა მიჩვეული და ასეთი სიმკაცრე არ მოსწონდა.



ბოდე მილერი

ტურინის ოლიმპიადის დროს, მილერმა ღამეული ორგიებით გაითქვა სახელი. სამაგიეროდ, დროსტარებით დაქანცული, ტრასაზე თავის შესაძლებლობათა მინიმუმსაც ველარ ავლენდა. ამის ალსაკვეთად, ამერიკელებმა ნაკრებში ახალი წესი შემოიღეს - ნაკრების წევრებსა და ტექნიკურ პერსონალს ერთად ქეიფი ეკრძალებოდათ. ამაზე ბოდე სულ გადაირია და სანაკრებო ბანაკის მიტოვებითაც კი დაიმუქრა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| ბრისტოლი-საუთჰემპტონი | 2:1 |
| კარდიფი-ვულვზი | 2:3 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ლიუბეკი-ბრაუნშვაიგი | 0:0 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ნამენი-დაინცე | 4:0 |
| ტურნე-ოსტენდე | 1:2 |
| სტ. ქილი-ეუპენი | 0:2 |
| ვირტონი-ლომელი | 4:1 |
| ჰევერლე-ტინენი | 2:1 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| მანდალი-პიონეფოსი | 2:2 |
| **ფინეთი** | |
| ლაჰტი-მიუპა | 0:1 |
| ოულუ-ჰიკ | 0:1 |
| ჰაკა-მარიეჰამნი | 1:2 |
| ჰონკა-ინტერი | 1:2 |
| კტპ-ტამპერე | 0:3 |
| ტურკუ-იარო | 1:1 |
| ვაასა-ვიიკინგიტი | 1:1 |
| **ავსტრია** | |
| ტიროლი-ალტახი | 0:1 |
| **სლოვაკეთის თასი** | |
| ინტერი-არტმედია | 0:4 |
| **პოლონეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| გროცლინი-ლეგია | 3:3 |
| ვისლა-ზაგლებე | 1:1 |
| **ხორვატიის თასი** | |
| ლიაკოვო-ზაგრები | 0:7 |
| სეგესტა-რიეკა | 3:0 |
| შიბენიკი-დინამო | 2:3 |
| სლავენი-პომორაცი | 1:0 |
| **სლოვენიის თასი** | |
| ბელა კრაინა-კოპერი | 0:1 |
| ინტერბლოკი-ნაფტა | 3:1 |
| დომჟალე-ცელიე | 3:1 |
| მარიბორი-ოლიმპია | 3:1 |
| **სერბეთის თასი** | |
| ჰაიდუკი-იავორი | 0:1 |
| ინდიია-ოფკ | 0:2 |
| შინდელიცი-ბეჟანია | 2:0 |
| სმედერევო-ჩუკარიჩკი | 1:1, პენ. 3:5 |
| შრემი-პარტიზანი | 0:3 |
| ზემუნი-ვლაშინა | 1:1, პენ. 6:5 |
| **უნგრეთის თასი** | |
| დიორი-ფეჰერვარი | 1:1 |
| კაპოშვოლდიე-დებრეცენი | 2:5 |
| კაზინცბარციკაი-დიოშდიორი | 3:1 |
| პუტნოკი-ვაშაში | 1:3 |
| ფერენცვაროში-კაპოშვარი | 2:2 |
| დირმოტი-ნირეგიჰაზა | 2:0 |
| პონველდი-სოპრონი | 2:1 |
| **ჩილე** | |
| პალესტინო-სანტიაგო | 6:0 |
| კობრესალი-ნუბლენსე | 2:2 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ციბონა-ეფესი | 93:85 |
| არისი-უნიკახა | 87:83 |
| პანათინაიკოსი-რომა | 86:83 |
| ვირტუსი-ჟალგირისი | 81:75 |
| მონტეპასკი-ოლიმპია | 80:52 |
| პარტიზანი-ბარსელონა | 81:78 |
| **იტალია** | |
| ბენეტონი-რიეტი | 85:57 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. ბაზელი** | |
| კანიასი-აკასუსო | 6:4, 6:3 |
| გოლუბევი-დელიჩი | 6:4, 6:3 |
| ბერდიხი-ფ. ლოპესი | 7:6, 3:6, 6:3 |
| დელ პოტრო-რასელი | 6:2, 6:0 |
| ბლეიკი-ერნანდესი | 6:3, 6:4 |
| ნალბანდიანი-ვავრინკა | 6:7, 2:6 |
| ბალდატისი-მონტანიესი | 6:2, 6:2 |
| კიფერი-ბერლოკი | 6:1, 6:1 |
| **ATP. ლიონი** | |
| ჟიკელი-ბეკერი | 6:3, 6:3 |
| გასკე-კ. როხუსი | 7:6, 6:3 |
| გროსჟანი-კადარტი | 6:3, 6:2 |
| მონაკო-ჰარტფილდი | 4:6, 3:6 |
| **ATP. სტ. პეტერბურგი** | |
| ვერდასკო-ეშაუერი | 7:6, 6:1 |
| კოლშრაიბერი-მაცუკევიჩი | 6:1, 6:1 |
| მასუ-გულბისი | 1:6, 2:6 |
| დავიდენკო-ვოლანდრი | 6:1, 6:1 |
| ტურსუნოვი-პაშანსკი | 4:6, 6:3, 6:4 |
| **WTA. ლინცი** | |
| ვაიდიშოვა-პენეტა | 4:6, 6:3, 7:6 |
| პაჩეკი-მედინა გარიგესი | 6:3, 7:5 |
| გოლოვინი-დანიილიდუ | 4:6, 1:6 |
| საფინა-კნაპი | 6:2, 6:2 |
| ჩაკვეტაძე-სკიავონე | 6:0, 6:2 |

# ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური

## A ჯგუფი

### ბეშიქთაში–ლივერპული 2:1

ბეშიქთაში: ჰაქან არიქანი, ალი თანდოგანი, გიოქჰან ზანი, იბრაჰიმ თორამანი, იბრაჰიმ უზულმეზი, სერდარ ქურთულუში (42. ქორაი ავჩი), ედუარდ სისე, ტელო, სერდარ ოზქანი, მატიას დელგადო (63. ფ. იგუაინი), ბობო (86. დიატა).

ლივერპული: რეინა, ფინენი, კარაგერი, ჰიიპია (83. კრაუჩი), რიისე, პენანტი (59. ბენაიოუნი), ჯერარდი, მასკერანო (767 ლუკას ლეივა), ბაბელი, ვორონინი, კუიტი.

გოლები: 1:0 ჰიიპია (13-საკ. კარში), 2:0 ბობო (82), 2:1 ჯერარდი (85)

მაყურებელი: 32 145

არბიტრი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ლივერპული

პირველი ჯარიმა: ლივერპული

პირველი კუთხური: ბეშიქთაში

პირველი გაფრთხილება: არავინ

| | | |
|---|---|---|
| 12(4) | დარტყმა | 28(8) |
| 3 | ჯარიმა | 7 |
| 4 | კუთხური | 11 |
| 0 | გაფრთხილება | 0 |
| 44% | ბურთის ფლობა | 56% |

### მარსელი–პორტუ 1:1

მარსელი: მანდანდა, ბონარი, ზუბარი, ფატი, ჟივე (68. ჟივე), კანა, შეირუ, ნიანგი, ვალბუენა, ზენდენი (55. არაში), ჯიბრილ სისე (88. აიევი).

პორტუ: ჰელტონი, ბოსინგვა, ბრუნო ალვეში, სტეპანოვი, ფუჩილე, ლუჩო გონსალესი, პაულო ასუნსაო, რაულ მეირელესი (72. ლეანდრო ლიმა), კუარეშმა, ლისანდრო ლოპესი, მარიანო გონსალესი (46. ელდერ პოშტიგა).

გოლები: 1:0 ნიანგი (69), 1:1 ლუჩო გონსალესი (80-პენ)

მაყურებელი: 34 000

არბიტრი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: მარსელი

პირველი ჯარიმა: მარსელი

პირველი კუთხური: პორტუ

პირველი გაფრთხილება: მარსელი

| | | |
|---|---|---|
| 7(3) | დარტყმა | 12(4) |
| 22 | ჯარიმა | 18 |
| 6 | კუთხური | 4 |
| 2 | გაფრთხილება | 1 |
| 49% | ბურთის ფლობა | 51% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარსელი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 2. პორტუ | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 3. ბეშიქთაში | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 4. ლივერპული | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |

## B ჯგუფი

### რუსენბორგი–ვალენსია 2:0

რუსენბორგი: ჰირშფელდი, სტრანდი (86. სტოორი), კვარმე, რიზეტი, დორსინი, ივერსენი, სკიელბრედი ტეტეი, საპარა, ტრაორე, კონე (80. სტორფლორი).

ვალენსია: კანისარესი, მიგელი (78. ანგულო), ალბიოლი, ივან ელგერა, მორეტი, ხოაკინი, ალბელდა, მარჩენა (67. ბარახა), გავილანი (67. ჟიგიჩი), სილვა, მორიენტესი.

გოლები: 1:0 კონე (53), 2:0 რიზეტი (61)

მაყურებელი: 21 000

არბიტრი: კრეიგ ტომსონი (შოტლანდია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ვალენსია

პირველი ჯარიმა: ვალენსია

პირველი კუთხური: რუსენბორგი

პირველი გაფრთხილება: რუსენბორგი

| | | |
|---|---|---|
| 15(7) | დარტყმა | 11(2) |
| 16 | ჯარიმა | 10 |
| 9 | კუთხური | 2 |
| 3 | გაფრთხილება | 0 |
| 46% | ბურთის ფლობა | 54% |

### ჩელსი–შალკე 2:0

ჩელსი: ჩეხი, პაულო ფერეირა, რიკარდო კარვალიო, ალექსი, ბრიჯი, ჯო კოული (89. შევჩენკო), მაკელელე, ესიენი (70. ობი მიკელი), ლემპარდი, მალუდა (84. კალუ), დროგბა.

შალკე: ნოიერი, რაფინია, ვესტერმანი, ბორდონი, როდრიგესი (81. ბაირამოვიჩი), ერნსტი, გროსმიულერი (77. აზაუაგი), ჯონსი, ასამოა (61. რაკიტიჩი), კურანი, ლოვენკრანდსი.

გოლები: 1:0 მალუდა (4), 2:0 დროგბა (47)

მაყურებელი: 40 910

არბიტრი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: შალკე

პირველი ჯარიმა: ჩელსი

პირველი კუთხური: ჩელსი

პირველი გაფრთხილება: შალკე

| | | |
|---|---|---|
| 11(6) | დარტყმა | 10(3) |
| 19 | ჯარიმა | 13 |
| 4 | კუთხური | 7 |
| 0 | გაფრთხილება | 2 |
| 54% | ბურთის ფლობა | 46% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 2. რუსენბორგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 3. შალკე | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 4. ვალენსია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |



ბეშიქთაშმა ლივერპული თითქმის ჯგუფში ჩატოვა



რეალი რობინიომ გადაარჩინა



რუსენბორგი აღარ ხუმრობს



სანოგოს გოლი ლაციოს კარში

## C ჯგუფი

### ვერდერი–ლაციო 2:1

ვერდერი: ვიზე, ფრიტცი, მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი (46. ტოშიჩი), დ. იენსენი, ფრინგსი, დიეგო, ბოროვსკი (73. ანდრეასენი), უგო ალმეიდა, სანოგო (64. როსენბერგი).

ლაციო: ბალოტა, ბეჰრამი, სტენდარდო, ძაური, კორალოვი, მუდინგაი, მეგნი (51. დელ ნერო), მანფრედინი, მუტარელი, პანდევი (69. მაკინვა), როკი (82. ტარე).

გოლები: 1:0 სანოგო (28), 2:0 უგო ალმეიდა (54), 2:1 მანფრედინი (82)

მაყურებელი: 37 500

არბიტრი: ოლეგარიო ბენკერენსა (პორტუგალია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ლაციო

პირველი ჯარიმა: ლაციო

პირველი კუთხური: ვერდერი

პირველი გაფრთხილება: ლაციო

| | | |
|---|---|---|
| 18(6) | დარტყმა | 9(5) |
| 19 | ჯარიმა | 19 |
| 6 | კუთხური | 4 |
| 1 | გაფრთხილება | 4 |
| 57% | ბურთის ფლობა | 43% |

### რეალი–ოლიმპიაკოსი 4:2

რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო (64. გ. იგუაინი), სერხიო რამოსი, მეტცელდერი, მარსელო, რობინიო, გუტი, გახო, სნეიდერი (82. ბალბოა), ვან ნისტელროოი, რაული (88. ტორესი).

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, ტოროსიდისი, ანცასი, ჟულიო სეზარი, რაულ ბრავო (75. ჟევლაკოვი), გალეტი, პაცაცოგლუ, სტოლტიდისი, კრისტიან რაულ ლედესმა (86. ნუნიესი), პ. ჯორჯევიჩი, ლუა ლუა (72. კოვაჩევიჩი).

გოლები: 1:0 რაული (2), 1:1 გალეტი (7), 1:2 ჟულიო სეზარი (47), 2:2 რობინიო (68), 3:2 რობინიო (83), 4:2 ბალბოა (90+3)

78-ე წუთზე ვან ნისტელროოიმ ვერ გამოიყენა პენალტი

გაძევება: ტოროსიდისი (13. ოლიმპიაკოსი)

მაყურებელი: 60 000

არბიტრი: ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ოლიმპიაკოსი

პირველი ჯარიმა: რეალი

პირველი კუთხური: რეალი

პირველი გაფრთხილება: რეალი

| | | |
|---|---|---|
| 20(10) | დარტყმა | 14(8) |
| 14 | ჯარიმა | 16 |
| 9 | კუთხური | 4 |
| 2 | გაფრთხილება | 4 |
| 62% | ბურთის ფლობა | 38% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 8-5 | 7 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-6 | 4 |
| 3. ვერდერი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| 4. ლაციო | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |

## D ჯგუფი

### ბენფიკა–სელტიკი 1:0

ბენფიკა: კუიმი, მაქსი პერეირა, ლუიზაო, კაცურანისი, ლეო, ნუნუ ასისი (62. დი მარია), ბინია, რუი კოშტა, კრისტიან როდრიგესი (84. ლუიშ ფილიპე), ბერხესო (61. ადუ), ოსკარ კარდოსო.

სელტიკი: ბორუცი, გ. კოლდუელი, კენედი, მაკმანუსი, ნეილორი, იაროშიკი, ს. ბრაუნი, ჰარტლი, დონატი (63. სნო), მაკგიდი, კილენი (74. მაკდონალდი).

გოლი: 1:0 ოსკარ კარდოსო (87)

მაყურებელი: 39 000

არბიტრი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: სელტიკი

პირველი ჯარიმა: სელტიკი

პირველი კუთხური: ბენფიკა

პირველი გაფრთხილება: სელტიკი

| | | |
|---|---|---|
| 22(8) | დარტყმა | 9(3) |
| 9 | ჯარიმა | 13 |
| 10 | კუთხური | 4 |
| 1 | გაფრთხილება | 3 |
| 60% | ბურთის ფლობა | 40% |

### მილანი–შახტარი 4:1

მილანი: კალაჩი, ოდო, კალაძე, ნესტა, ფავალი (61. ბონერა), გატუზო, პირლო, ამბროზინი (83. ემერსონი), კაკა, ზეედორფი, ჯილარდინო (75. სერჟინიო).

შახტარი: პიატოვი, სრნა, ჩიგრინსკი, კუჩერი (17. ჰუბშმანი), რატი, ილსინიო, ლევანდოვსკი, ფერნანდინიო, ჟადსონი (63. კასტილიო), ლუკარელი, ბრანდაო (75. გლადკი).

გოლიბი: 1:0 ჯილარდინო (6), 2:0 ჯილარდინო (14), 2:1 ლუკარელი (51), 3:1 ზეედორფი (62), 4:1 ზეედორფი (69)

მაყურებელი: 47 000

არბიტრი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: შახტარი

პირველი ჯარიმა: შახტარი

პირველი კუთხური: მილანი

პირველი გაფრთხილება: შახტარი

| | | |
|---|---|---|
| 16(10) | დარტყმა | 11(8) |
| 10 | ჯარიმა | 13 |
| 7 | კუთხური | 9 |
| 2 | გაფრთხილება | 3 |
| 43% | ბურთის ფლობა | 57% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| 2. შახტარი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| 3. ბენფიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 4. სელტიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |

ლელო
სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჰელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა